

# ლიტერატურული გაზეთი

## ? რას ნიშნავს თქვენთვის მახაბლის 13


— პეტრიაშვილის ქაზაზი, რვა ნომერ სახლში ცხოვრობდნენ ჩვენი ნათესავები, რომლებთანაც ხშირად ვსტუმრობდით ხოლმე. ბავშვობაში, სანამ ნამოვიზრდებოდი და შევძლებდი მთლიანობაში აღმეკვია ამ უცნაური შენობის ფასადი (თბილისური მოდერნის ტიპური ნიმუში), მე მანცვიფრებდა დეტალები: ქუჩიდან სადარბაზოში შემავალი კარის ოვალური, დაბინდული შუშებით შემინული ლიობები, უცნაურად მოხრილი სახელურები, ხელოვნური მარმარილოს ინკრუსტირებული იატაკები სადარბაზოში, თუჯის ფანტასტიკური, ასიმეტრიული მოაჯირები კიბის მარშების გასწვრივ და ასე შემდეგ... ეს იყო იმდენად აშკარა სხვაობა ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ხუთსართულიან „ხრუშჩოვებთან“ (სადაც იმხანად ცხოვრობდით), რომ შვიდი წლის ასაკში არაცნობიერად ჩამომიყალიბდა ქვეყანაში მომხდარი რაღაც საშინელი ისტორიული კატასტროფის შეგრძნება... გაუწელებელი აღფრთოვანება და ნოსტალგია მოდერნის, როგორც დაკარგული სამშობლოს მიმართ, რომელიც მთელი ცხოვრებაა მომყვება, შესაძლოა, სწორედ იმ სადარბაზოდან იღებს სათავეს.

ათწლეულების შემდეგ, როდესაც უკვე მახაბლის ცამეტ ნომერში, მწერალთა კავშირის შენობაში, „არტ ნუვოს“ სტილის ამ ბრწყინვალე სახლში პირველად აღმოვჩნდი, მოულოდნელად ბავშვობის დროინდელი ტკბილ-მწარე განცდა დამიბრუნდა — ზღაპრული სასახლე, სადაც სისხლიანი მოჩვენებანი სახლობენ...

ეს სახლი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და ღვანდლისოვლ ქართველ მეცენატსა და კულტურტრეგერს ეკუთვნოდა, მომსწრეა ძალიან ბევრი პატრიოტული, ჰუმანური და სასიკეთო ნამოწყებისა, აზრის სიმაღლის, განცდათა სიღრმის და იდელების უანგარო მსახურებისა. დავით სარაჯიშვილისა და მისი ბრწყინვალე პლეადის მიერ თავისუფალი აზროვნების, კულტურისა და ხელოვნების საგანედ გამიზნული ეს მშვენიერი სახლი, ბედის ირონიით, გასაბჭოების შემდეგ ადამიანური და პროფესიული ღირსების გათვალისწინებით, მორალური ტერორის, შემოქმედი სულის დათრგუნვის, შიშის, ბინიერებისა და ღალატის ასპარეზად გადაიქცა. აქ ტყვეობით არავინ მოუკლავთ, სიტყვით კი მრავალი დახვრიტეს. თუმცა ამ კედლებს რეალური სისხლიც ახსოვთ — შენობის მესამე სართულზე იქუხა პაოლო იაშვილის თოფმა.

მაგრამ, საუბედუროდ, მაშინ დაღვრილმა პოეტის სისხლმა თურმე ბევრი ვერაფერი გვასწავლა შთამომავლებს და ოცდაჩვიდმეტის სისხლიანი ტრაგედია, სულ ახლახანს, შემზარავი ფარსის ფორმით ხელახლა გავითამაშეთ ჩვენს, ახლა უკვე „დამოუკიდებელ და დემოკრატიის მაშენებელ“ ქვეყანაში.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მწერალთა კავშირი შეიქმნა „კადემიური ჯგუფის“, „ცისფერი ყანების“, „არიფონის“, ფუტურისტული და სხვა შემოქმედებითი გაერთიანებების განადგურების ფასად და მათ ჩასანაცვლებლად. სხვათა შორის, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ამ დაჯგუფებების ბედი გაიზიარა პროლეტკულტელ მწერალთა წრეც, ბენიტო ბუაჩიძის „რაპმაც“ და სხვა, პირნავარდნილ ბოლშევიკთა ლიტერატურულმა გაერთიანებებმაც. ეტყობა, ვერც ისინი თავსდებოდნენ მწერლობის ერთიანი, ცენტრალიზებული და ტოტალიტარული მართვის მოდელში. ამიტომ, ნიკოლო მინიშვილთან, ტიცინ ტაბიძესა და მიხელ ჯავახიშვილთან ერთად, სწორედ იმავე წლებში, დაიხვედნენ ან რეპრესირებული იყვნენ პროლეტმწერლები: ფრიდონ ნაროშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, კალე ფეოდოსიშვილი, დავით დემეტრაძე. ვინც გადაარჩა — ნიჭიერიც და უნიჭოც, ღირსეულიც და ჩამშვებიც, მოდერნისტიც და სოცრეალისტიც — ყველანი ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდნენ. ყველა სხვა გზა, უბრალოდ, „ენკავედეს“ ჯურღმულებში, „გულაგში“, ან პირდაპირ საფლაგში მიდიოდა. ამიტ-



კოტე ჯანდიერი

## „ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

ომ, მწერალთა კავშირში ყველაირი მწერლები იყვნენ გაერთიანებული — უნიგნურნიც და განსწავლულნიც, უზნეონიც და წმინდანნიც, დებილებიც და გენიოსებიც.

მერე ტერორი შენელდა; ყველა შეეჩვია საბჭოურ თამაშის წესებს; დახვრეტები მატერიალურმა წახალისებამ და ლამის ოფიციალურად წახალისებულმა კორუფციამ შეცვალა. კვლავ ინერებოდა შესანიშნავი, კარგი, საშუალო, ცუდი და, უბრალოდ იდიოტური ნიგნები. კეთდებოდა ბევრი კარგი და კეთილი საქმე; კიდევ უფრო მეტი იყო მტაცებლობა, ინტრიგები, მომხვეჭელობა. კოლეგების კარგ ნიგნებსა და საქმეებს ამოფარებული მანკიერება მწერალთა კავშირის სახელით ყელყელაობდა. პარტიულ ხელმძღვანელობასაც თითქოს მოუჩლუნგდა ავისა და კარგის გარჩევა, ბოლოს აღარავის ესმოდა, ვინ იყო მტერი ან მოყვარე, „არაბი ან ვენეციელი“ — ყველანი ბედკრული მწერალთა კავშირის წევრები იყვნენ. ვინც კარგად იცავდა თამაშის წესებს, ის ღებულობდა პრივილეგიებს. მაგრამ მთლად მშვიდი და ნიგნგამოუცემი, პრაქტიკულად, არავინ დარჩენილა. გამორჩეულ ინდივიდებს ხანდახან წესების დარღვევასაც კი პატიობდნენ, ვინაიდან, სინამდვილეში, სწორედ ასეთი მწერლების პოპულარობა და კარგი რეპუტაცია იყო ამ ორგანიზაციის მატერიალური კეთილდღეობის გარანტი და ერთგვარი შირმა წვრილ-წვრილი სისაძაგლეებისა და ფულის საკეთებლად.

მაგრამ ამბობენ, რომ უქმე დღეებში, მწერალთა კავშირის უკაცრიელ, გამოყრუებულ დერეფნებში ანაზდად თოფის გავარდნის ხმა მოისმოდა ხოლმე. ეს, ალბათ, პაოლოს საბედისწერო გასროლის ექო იყო...



## ? როგორ წარმოვიდგინოთ მწერალთა სახლის მომავალი

— საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, მწერალთა კავშირმა, როგორც კონტროლისა და მატერიალური უზრუნველყოფის ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ არსებობა შეწყვიტა. ის აღესრულა ხელოვნურად გახანგრძლივებული, ნელი გარდაცვალებით. ამისი პირველი სიმპტომები იყო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში შექმნილი დამოუკიდებელი ლიტერატურული გაერთიანება „ოტარიდი“ და რამდენიმე კერძო სალიტერატურო ჟურნალი თუ გაზეთი და, რაც მთავარია, საშუალო და ახალი თაობის მრავალი თვალსაჩინო მწერლის უარი კავშირში განწევრიანებაზე.

მაგრამ დავით სარაჯიშვილისეული სახლი, ბოლო დრომდე, ერთ კონკრეტულ ლიტგაერთიანებად გარდაქმნილი ორგანიზაციის კუთვნილებად მიიჩნეოდა. ამისი მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ორგანიზაციამ გარდაცვლილი საქ.სსრ მწერალთა კავშირის სახელი დაირქვა, რამაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში ცნებათა აღრევა და დაბნეულობა გამოიწვია. ცხადია, შეუძლებელია რომელიმე ერთმა, ცალკე აღებულმა ორგანიზაციამ თავი გამოაცხადოს იმ სახელმწიფო უწყების სამართალმემკვიდრედ, რომელსაც მწერალთა კავშირი ერქვა. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ექსკლუზიურ სამართალმემკვიდრეობაზე პრეტენზიის გამოცხადება რომელიმე ერთი, დღეს არსებული ლიტერატურული გაერთიანების მიერ.

მაჩაბლის ცამეტ ნომერში განთავსებული მწერალთა სახლი დღეს სახელმწიფოს საკუთრებაა, რაც, ჩემი აზრით, სრულიად კანონზომიერია. სახელმწიფომ კი მას უნდა აღუდგინოს მთლიანად ქართული მწერლობის (და არა რომელიმე ერთი ლიტერატურული გაერთიანების) მსახურების ფუნქცია. სისხლიანი აწრდილები წარსულს უნდა ჩავაბაროთ. აქ უნდა განლაგდეს სალიტერატურო ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციები (ასეთი, სულ რამდენიმეა), რათა ამ დუხჭირ დროში, მწირი სარედაქციო თანხები ოფისების ქირაობას კი არა, მწერალთა და მთარგმნელთა ჰონორარებს მოხმარდეს.

აქვე უნდა მოეწყოს მარჯორი უორდროპის სახელობის მთარგმნელობითი ცენტრი, რომელიც უმასპინძლებს ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესებულ უცხოელ კოლეგებს, დაეხმარება მათ ქართული ენის შესწავლაში, კონკრეტული ნაწარმოებების თარგმანში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან უცხოელ ქართველოლოგთა და ქართული ლიტერატურის მთარგმნელთა ძველი პლეადა დაუყოვნებლად საჭიროებს ახალ შევსებას. ამის გარეშე ძალიან გაძნელებდა დღევანდელ გლობალისტურ სამყაროში საკუთარი ცივილიზაციური ადგილის დამკვიდრება.

ეს სახლი უნდა გადაიქცეს ქართული კულტურის პოპულარიზაციის კერად, ქართული და სხვაენოვანი ლიტერატურების შეხვედრის, ურთიერთგამდიდრებისა და ლიტერატორთა შორის პირადი ურთიერთობების დამყარების ადგილად. აქ უნდა იყოს მდიდარი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, რამდენიმე კომფორტული სასტუმრო ნომერი, ნორმალური კაფე, უფასო ინტერნეტმოსახურება.

ეს ყველაფერი კი, უნდა ემსახურობდეს ლიტერატურული პროცესის გამრავალფეროვნებას, გაღრმავებას, ნიგნიერების სტიმულაციას, ახალგაზრდა ლიტერატორთა წარმოჩენას და ქართული მწერლობის დამკვიდრებას მსოფლიო ლიტერატურულ ლანდშაფტში.

რა არის აქ შეუძლებელი? საჭიროა მხოლოდ წინ გახედვა, საკუთარ ამბიციებზე მალა დადგომა, გაუგებარ პრეტენზიებზე უარის თქმა საზოგადო საქმის სასარგებლოდ და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პოლიტიკური ნება და ელემენტარული ფინანსური მხარდაჭერა.

ბიოგრაფია

კოეზი ნუ გიჭირავს მარცხენა ხელში. იდაყვით მაგიდას ნუ ეყრდნობი. ლამაზად მოკეცე ხელსახოცი. ამით დაიწყო ყველაფერი.

სამიათას სამას სამიდან ამოიღე კვადრატული ფესვი. სად მდებარეობს ტანგანიკა? რომელ წელს დაიბადა სერვანტესი? ყოფაქცევაში მიიღებ ნულიანს, გვერდით მჯდომს თუ ესაუბრები. აი, გაგრძელება გახლავთ ასეთი.

ლექსების წერა რომ დაიწყო ინჟინერმა, როგორ გგონიათ, ბუნებრივია? საქმე – საქმეა და კულტურა მარტოოდენ სამკაულია. იმ გოგოს თავს თუ არ დაანებებ, ფეხს ვერ გადაგამ სახლიდან. ცხოვრებაც ნელ-ნელა გავიდა.

გიჟი ნუ იქნები. იყავი მუდამ თავაზიანი, ჭკვიანი. არ სვა. არ მონიო. არ ახველო. არ ისუნთქო. და, ნეტავ, მართლაც არ ვისუნთქო! ყველა არას ეუთხრა არა. და დავისვენო: სული უფალს მივაბარო.

ამ ერთ პატარა ლექსში მოაქცია ესპანელმა პოეტმა გაბრიელ სელაიამ თავისი ბიოგრაფია, თუმცა არა მგონია მისი მღელვარე ცხოვრება მარტოდენ ოთხმა სტროფმა დაიტოვოს.

რაფაელ გაბრიელ ხუან მუხიკა სელაია ლესეტა სენდოია დაიბადა 1911 წლის 18 მარტს ბასკეთის ერნანში სან სებასტიანის მახლობლად. ზავშობაჯ აქვე გაატარა.

1928 წელს იგი გაემგზავრა მადრიდში, სადაც ინჟინერ-მშენებლის პროფესიას უნდა დაუფლებოდა. დასახლდა პინარის ქუჩაზე, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. ბემა სწორედ იმ კორპუსსა და იმ ოთახში მიუჩინა ბინა, სადაც მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, სალვადორ დალი და ფედერიკო გარსია ლორკა ცხოვრობდნენ. მალე ისინიც გაიცნო და დაუმეგობრდა ხუან რამონ ხიმენესს, ბუნიუელს, ორტეგა ი გასეტს, უნამუნოს... სელაია სიამოვნებით იხსენებს ლორკასთან შეხვედრას: ერთ მშვენიერ დღეს ტრამვაიში იჯდა და ახალნაყიდ წიგნს კითხულობდა. წიგნს ყდაზე ეწერა — ლორკა, „ბოშური რომანსერო“. თურმე ფედერიკოც იმავე ტრამვაით მგზავრობდა და საკუთარი წიგნი რომ დაინახა, გაბრიელს შეეკითხა: „მოგნონს, რასაც კითხულობ?“ „ეს წიგნი? დიდი აბდა-უბდაა, რომელშიც მარტო ბოშებზე წერია“, — უპასუხა ბიჭმა ისე, რომ არც კი დაქვებულა, ავტორს თუ ელაპარაკებოდა. ლორკასაც, წყენის ნაცვლად, ძალიან სახალისოდ მოსწონებია ეს ყველაფერი და გამოკითხვა გაუგრძელებია. იმას თქმარად უნდა, როგორ გაცდა ახალგაზრდა ბასკი, როცა ფედერიკომ თავისი უჩვეულო სიცილით გასცა თავი, სიცილით, რომელიც სელაიას მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩაესმოდა...

„ჩემი მეგობრები მეუბნებიან, რომ ბევრს ვიცინი. შენც ფედერიკო, შენც ბევრს იცინოდი, რადგან ცხოვრების ისევე გჯეროდა, როგორც მე. თუმცა ჩვენი ღიმილი არ გავს ერთმანეთს. ჩემი ღიმილის უკან შენ დგახარ და ამრიგად ვისურვებდი უფრო მეტი იყო ჩემში“.

როგორ ფიქრობთ, გულს დაუდებდით საინჟინრო საქმის სწავლას 17 წლის ასაკში, თუკი ფილოსოფიითა და ლიტერატურით იქნებოდით გატაცებული და მსგავს გარემოცვაში მოხვდებოდით? მე ვერა... ალბათ ვერც თქვენ. სელაიამაც ლექსების წერა დაიწყო და სწავლის დამთავრებისთანავე 1935 წელს გამოაქვეყნა კრებული „სიჩუმის ტალღა“, რომელიც ბეკერის პრემიით დააჯილდოვა ქალთა კლუბის ლიცეუმმა. პირველი ნაწარმოებები რაფაელ მუხიკას სახელით იბეჭდებოდა, მაგრამ რადგანაც იგი ამ დროს უკვე საოჯახო საქმიანობაში იყო ჩართული, იძულებული გახდა ფსევდონიმით განეგრძო წერა. ინჟინერ-მენეჯერს, რომელიც „ლექსების შეთხზვით ერთობოდა“, შეიძლება ჩრდილი მიეყენებინა ბიზნესის რეპუტაციისთვის. ასე დაიბადა გაბრიელ სელაია.

ორმოცდაათზე მეტი ლექსების კრებული, ექვსი პროზაული ნაწარმოები, ორი პიესა, თხუთმეტამდე ესე, თარგმანები, წერილები... სიტყვა ყოველთვის თბილი, გულუხვი, მამაცი და ალალი... გულახდილობა არ აკლია მის არცერთ სტრიქონს და ეს ისეთი გადამდებია, რომ არ შეიძლება, არ მოექცე მისი გავლენის ქვეშ. ლექსებს ხშირად აკლია რითმა, მაგრამ ყოველთვის სასგა სინათლით, სისუფთავით, ხან ყვირილით და ხანაც ტირილით, ზოგჯერ წკიპურტიც შეიძლება იგრძნო, მაგრამ სიმართლესა და ჰუმანურობას ვერასდროს მოისაკლისებ.

გაბრიელ სელაიასათვის ლექსი არ არის მარტოდენ ლამაზი ნყოფის რითმული ნაწარმოები. იგი თავის პოეზიას განსაზღვრავს, როგორც „მომავლისთვის გადატენილ იარაღს“, ხელსაწყოს, დროში და სივრცეში მოქმედების საშუალებას. პოეტი მიიჩნევს, რომ ერთ ლექსს შეუძლია ცხოვრებისეული მორალის შეცვლა და ამით პოეზიის ტრადიციულ აღქმაში წარმოუდგენელ გადატრიალებას ახდენს.



პოეზია მომავლისთვის გადატენილი იარაღია

როცა აღარ ელი პირად აღმაფრენას, თუმც ცნობიერება შენი

ბინძურ ყოფაში ყველაფერს ბრმად ეთანხმები, თითქოს პულსი ფეთქავს უკუნ ღამეში,

როცა დაჟინებით გაშტერდება სიკვდილის თავბრუდამხვევად ნათელი თვალები, მაშინ უკლებლივ ყველა ამბობს

ბარბაროსულს, დაუნდობელს და სამინელს. ამბობენ ლექსი, სულშეხუთულ ფილტვებს რომ ხეთქავს, მოითხოვს შენ სულს და მოითხოვს რითმას, და უნესებს კანონს, მათ ვინც ყველაფერს გრძნობს.

ინსტიქტით ძალიან სწრაფად, სასწაული გაეღვებით, გარდუვალი ჯადოსნობით, რეალობას მოგწყვეტს და საკუთარ თავს დაგვამსგავსებს.

უქონელი კაცისაა პოეზია, ისეთივე საჭიროა, როგორც პური არსობისა, როგორც ჰაერი ჩასასუნთქად ნუთში ოცდაათჯერ, რათა ვიცოცხლოთ მარტო იმით, რაც განგვანათლებს.

ცხოვრობთ წნეხის ქვეშ და თუკი ვიტყვით, რაც ვართ, ესა ვართ, ჩვენი სიმღერა ცოდვით მოირთვება.

წყეულიმც იყოს ის პოეზია, ზოგს ფუფუნება რომ ჰგონია მხოლოდ, პილატესავით რომ იბანს ხელებს, ვითომ არ ეხმის და თავს არიდებს. წყეულიმც იყოს ის პოეზია,

სამარცხვინოდ რომ არ აქვს აზრი. ყველა შეცდომას ვიზიარებ. ვგრძნობ ყველას ტკივილს და ოხვრით ვმღერი. ვმღერი და ვმღერი, და ამ სიმღერით ჩემს დარდასა და ტკივილს ვშორდები, მასზე მალლა ვდგები.

მინდა ახალი სიცოცხლე მოგცეთ, ახალი ქმედების დროა, და ამისთვის ვაკეთებ ტექნიკურ გათვლებს, როგორც შემოძლია. მე პოეზიის ინჟინერი და მშენებელი ვარ, ვინც ესპანეთის სახელით სხვებთან ერთად შრომობს და იბრძვის.

ჩემი პოეზია ასეთია: ის საბრძოლო იარაღია, ერთსულოვნად ფეთქავს და ჩინი აკლია თვალში. ჩემი პოეზია მომავლისთვის გადატენილი იარაღია, რომელსაც გიმინებ გულში.

ნათია ჭაბუკიანი

გაბრიელ სელაია – პოეზიის ინჟინერი

ეს არ არის სიტყვა-სიტყვით ნაფიქრი ლექსი.

ეს არ არის მშვენიერი შემოქმედება. ეს იმ ჰაერს ჰგავს, რომლითაც ვსუნთქავთ, და ის სიმღერაა გულით რომ ვმღერი.

ამ სიტყვებს ისე ვიმეორებთ, როგორც საკუთარს, იმ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რაც გულში გვედო. სწორედ ის არის უფრო საჭირო, რასაც არა აქვს ჯერაც სახელი. ლოცვა უნდა შეჰღალადო ცას და მინაზე უნდა იმოქმედო. („ინბერიული სიმღერები“, 1955)

როგორც წესი, ერთფეროვნება პოეტებისთვის უცხოა. თითოეული მათგანი საკუთარი შემოქმედების განვითარების მანძილზე აუცილებლად გადის სხვადასხვა ეტაპს. გაბრიელ სელაიას პოეზია, ამ მხრივაც რთულად აღსაქმელია. მეგრძობილი სულის წყალობით, იგი მისთვის მისაღებ აზრს ეძებს ლიტერატურულ მიმდინარეობებს შორის, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. თუმცა, ეს არ ხდება გიჟური სპონტანურობით. რადგანაც მეგობრობდა „27-იანელებთან“ (პედრო სალინასი, რაფაელ ალბერტი, ფედერიკო გარსია ლორკა, ლუის სერნუდა, დამასო ალონსო, ზერარდო დიეგო და სხვ.), კარგად იცნობდა სიურეალიზმს, აქედან გამომდინარე, ქვეცნობიერის ახსნას შეეცადა, შემდეგში ექსისტენციალიზმმა გაიტაცა და აბსურდის თეატრი ცხოვრების ძირითად კრედიოლ მიიჩნია.

„პოეზია არ არის თვითმიზანი. პოეზია ის ერთ-ერთი იარაღია, რასაც სამყაროს შეცვლა შეუძლია. თავიანთსმცემლებს კი არ ეძებს, ელოდება იმ დროს, როდის იქნება გამოსადეგი და არა ის, რაც დღეს არის“. ასე დაუპირისპირა სელაიამ მოვარაყებულ უმიზნო შემოქმედებას ლექსი, რომელიც ისეთივე საჭიროა, როგორც „პური ჩვენი არსობისა“, უარყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და მთელი სიცოცხლე მიუძღვნა პოეზიას, რომელიც ხალხს ემსახურებოდა. ესპანური ლიტერატურის ისტორიაშიც „სახალხო პოეტის“ სახელით დამკვიდრდა.

„მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე პოეზიის სხვადასხვა ფორმაზე ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ერთადერთი და უმთავრესი აზრი ჩემი შემოქმედებისა ხალხთან ურთიერთობა გახლდათ. ამისთვის პოეზია საუკეთესო ხერხია, თუმცა შენი ნათქვამი გაგონილ უნდა იქნას. რა მნიშვნელობა აქვს „თანამოსაუბრე“ შორს არის შენგან თუ ახლოს, შესაძლოა სულ სხვა ეპოქიდან იყოს ან საერთოდ, ჯერ არც კი დაბადებულიყოს, მთავარი ის არის, რომ პოეზია შენ ხარ თვითონ“.

\*\*\* ბასკი პოეტის შემოქმედებიდან რაც შეიძლება ქართული მკითხველისთვის ყველაზე საგულდისხმო გახდეს, ეს იბერიის თემაზე შექმნილი უამრავი ლექსი თუ ესეა. თავის მშობლიურ ეუსკარას — ბასკების ქვეყანას მიუძღვნა „იბერიული სიმღერები“ (1955), „ბასკური ბალადები და თქმულებები“ (1961-65), „ჩაძირული იბერია“ (1978), „ბასკური ტრილოგია“ (1984). მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორც ჩანს, მოსვენებას არ აძლევდა საკუთარი ხალხის წარსული და 1990 წელს გამოსცა კრებული „წარმომავლობა“, რადგან „ისტორია ადამიანის ცხოვრების ფილტვებია. თითოეულ ჩვენგანში მარტო ჩვენი კი არა, მთელი კაცობრიობის წარსული არის დაბუდებული“. ისტორიის ზუსტ მტკიცებულებად კი მითებს და ლეგენდებს მიიჩნევდა. ზღაპრები, მითები, ნიმუშები და სიმბოლოები მთელი კაცობრიობის ყველაზე უტყუარი ისტორია არისო, ამბობდა პოეტი და ამ ისტორიას, რომელიც არავის გადაუწყვია ქალაქზე და დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, სელაია „ჯადოსნურ ცნობიერებას“ უწოდებდა. ეს ის ისტორიაა, რომელმაც „დიდი კვალი დატოვა ადამიანის არაცნობიერში“.

კრებულის წინასიტყვაობაში ავტორი განმარტავს: „ჩვენ, ბასკები არ ვართ ავტოქტონები, ჩვენ ემიგრანტები ვართ. ჩვენი სამშობლო კრეტაა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ნამდვილია. (...) ამ წიგნში ისეთ ფაქტს თემას შევხვებ, რომელზეც არავინ საუბრობს. საქმე ისაა, რომ ბასკების ქვეყანა კუნძულ კრეტადან წარმოიშვა და ეს აღარავის ახსოვს“. სელაიას აზრით, ბასკური და მინოსური კულტურის კავშირი უფრო მეტია, ვიდრე მითი.

ის ბასკები ვართ, ოდესღაც რომ კრეტაზე მოგვწყვიტეს კერას, ძირს მოასწორეს ჩვენი დედა-ქალღმერთის მინა, რათა ეთესათ საკუთარი ომი და ძალა. თუმც ახლაც გვახსოვს რანი ვიყავით უწინ, იმ ზღვის მფლობელები, ახლა რომ ლათინურს უწოდებს ყველა, ჩვენი ზღვა, ჩვენი ზღვა, გვეკუთვნოდა მარტო კრეტელებს: ჩვენი ყოფა, ჩვენი სიმღერა და მუდამ იდუმალი გრძნობა, დარჩა უცვლელი, ვამბობ დასტურით, რაც რომ კრეტაზე გვეკონდა. („წარმომავლობა“, 1990)

„რა ვიცით ბასკებმა ჩვენს წარმომავლობაზე?“ – ამ მითიურ კითხვაზე პასუხის გაცემა სელაიამდე მრავალმა მკვლევარმა, ისტორიკოსმა თუ მეცნიერმა ცადა. ბასკებს ჯერ კიდევ ჰომეროსი, ვერგილიუსი, აპოლონიოს როდოსელი, ჰეროდოტი, ქსენოფონტი, სტრაბონი და ძველი სამყაროს სხვა მრავალი პოეტი თუ მემკვიდრე მოიხსენიებს თავის ნაწარმოებებში.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, იცნობდა თუ არა სელაია ყველა მეცნიერის შრომას, მაგრამ მისი შემოქმედება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვთქვათ, პოეტს ბევრი აქვს ნაფიქრი და მოკვლევული: „ჩვენ, ბასკები, დევნილი ხალხი ვართ. ისევე გვდევნიდნენ ხმელთაშუაზღვის კულტურის შემქმნელები, როგორც ებრაელებს ქრისტიანულ დასავლეთში, ამიტომ რელიკვიასავით ვიცავთ და ვუვლით ჩვენს ადათ-წესებს ჩვენსავე ეუსკადში“. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი მოსაზრებების დასტურად მხოლოდ მითიური ფაქტები მოჰყავს, ძნელია უარყო კავშირი თუნდაც ამ ლეგენდების შორის.

დედა-ქალღმერთი – მარი ბასკი სელა-

პატრიკ ზიუსკინდს შეეძლო, დაენერა ტრაქტატი სუნებზე, სუნამოებზე ან პირველად მასალაზე, რომლითაც ესა თუ ის სურნელი მზადდება. შესაძლებელია, თავიდან მწერალს სწორედ ყნოსვითი შეგრძნებების ფენომენი აინტერესებდა და ამით დაედო კიდეც დასაბამი მის ერთობ



ვრცელ ნაწარმოებს – „სუნამო“. ზიუსკინდი ალბათ ფიქრობდა, რომ „სუნების წარმავალი სამყარო“ მძავრად ზემოქმედებდა დროსა და სივრცეში ადამიანებზე და არა მხოლოდ მათ ინდივიდუალურ ქმედითუნარიანობას განსაზღვრავდა, არამედ სოციალურ ძვრებსაც იწვევდა. მწერლის გონებაში წარმოშობილმა ამ აზრმა მერე უკვე წარმოსახვაში გადაინაცვლა და ნაწარმოების მხატვრულობაც ამან განაპირობა.

ზიუსკინდმა აბსტრაქტული დროითი

ანდრო ბუაჩიძე

ყნოსვითი შეგრძნების ფენომენი

პატრიკ ზიუსკინდის „სუნამო“

პანორამა წარმოისახა და მერე დაიწყო დაკონკრეტება – მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთი, „გენიალური და საზიზღარი ადამიანებით სავსე ეპოქა“, მარკიზ დე სადი, სენ-ჟიუსტი, ფუკე, ბონაპარტი და სხვები, აქვე დაიბადა მისი გმირი — ჟან ბატისტ გრენუი, ყველა დროის ყველაზე დიდი პარფიუმერი, რომლის სახელიც მხოლოდ იმიტომ არ შემორჩა დღევანდლობას, რომ „სუნების წარმავალ სამყაროს ეკუთვნოდა“.

თავისთავად ყნოსვით აღქმული სამყაროს წარმოდგენა ორიგინალურია და საინტერესო,

მაგრამ ამ ინტერესს ამძაფრებს გრენუის გროტესკის ზღვარზე დახატული სახე. ზიუსკინდმა ყნოსვით აღქმული სამყაროს იდეა ერთ პიროვნებაში გააბაგნა. მხატვრულ-ლიტერატურული პირობითობაც დროით შემოსაზღვრა და მარკიზ დე სადის ეპოქაში შეგვიძღვა. ნაწარმოებში ყოფით-ფაქტობრივი რეალიზმის არის და პირობითიც. ეს ორი კომპონენტია გაერთიანებული გრენუის სახეშიც. ეს სახე უმთავრესია ამ რომანში. ზიუსკინდი მოგვითხრობს მთავარი გმირის თავგადასავალს, სხვადასხვა სიტუაციაში ახვე-

დრებს მას და ცდილობს, განსხვავებული რაკურსით დაგვანახოს მისი უჩვეულობა და უცნაურობა.

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ყნოსვითი მომენტების გამძაფრება და გამუდმებული ხაზგასმა ერთგვარად წინასწარ გამიზნულია და რაციონალური, მაგრამ აზრს ანეიტრალებს თვითონ გრენუის სახე, რომელიც ირაციონალურია და ცოცხალი, პარადოქსული და პლასტიური, უცნაურიც და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დამაჯერებლად ხელშ-



ესახებიც. მე, პირადად, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ავტორმა ეს სახე უკიდურესად გაფაქიზებული რეცეპტორებით შეიგრძნო. ასეთი პლასტიური, კონტურებმორღვეული, რეალობის და არარეალობის მიჯნაზე მოძრავი პერსონაჟების შექმნა მხოლოდ უაღრესად დახვეწილი ინტუიციის მხატვარს შეეძლო. კლასიკურ ანალოგად სმერდიაკოვი მესახება დოსტოევსკის „კარამაზოვებიდან“. ამ დახვეწილი ინტუიციით შექმნილ პერსონაჟს თავისი ადგილი აქვს რომანის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ სტრუქტურაში.

ის ავანტიურისტია, ვინაიდან ანგარეზიანია. მისი გენიალური ყნოსვა და სუნამოების თუ სუნების შექმნის ხელოვნება ერთ მშვენიერ დღეს მისივე ფარული მიზნების მიღწევის საშუალებად იქცევა. ეს მიზანი – ადამიანების დამორჩილება და მათზე ზემოქმედების მოხდენაა. გრენუი სუნებით მანიპულირებს, სუნი ისეთი მანიპულატორია, რომელიც ყველგან აღწევს და რომელსაც ვერაფერი ეღობება წინ.

ჟან ბატისტ გრენუი უცნაური არსებაა, მას არა აქვს საკუთარი სუნი, არა აქვს საკუთარი აურა. ის ბავშვობაშივე აითვალწუნა აღმზრდელმა ქალმა, რადგან უსუნო

არსებად მიიჩნია. ასეც იყო, მოგვიანებით გრენუიმ ხელოვნურად შექმნა თავისივე სუნი. გრენუის არ უყვარს ფიქრი, ის არ აზროვნებს, მისი „ტვინი“ ყნოსვით შეგრძნებაშია მოცემული და დროდადრო ამ ყნოსვით შეგრძნებასთან ერთად იბადება მისივე აზრები.

გრენუი განსჯებით და მედიტაციებით არ ცხოვრობს. ზოგიერთი ფრაზა იშვიათი გამონაკლისია და იმ კაცის მოულოდნელი თვითრეფლექსის ნაყოფია, რომელიც გულუბრყვილოა და რომელსაც ნაკვირვანად გამოაქვს დასკვნა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უფრო მოქმედების კაცია და გადაწყვეტილებებს თითქოს ინსტინქტურად იღებს და მიმართულებასაც ინსტინქტურად იცვლის. გრენუი სოციალური არსებაა და ამავე დროს ასოციალურიცაა. ის, ვთქვათ, ბალდინისთან (ისევე, როგორც სხვებთან) ურთიერთობას ფრთხილად ამყარებს, ტკიპას სიფრთხილით ეკვრის მას, მოთმინებით ნოვს სისხლს. გრენუი გენიოსია, და, ამავე დროს, მუდმივი შეგირდი. ეს „ვითომ შეგირდი“ მასწავლებლების გაოცებას და გაოგნებას იწვევს. რატომ არის გრენუი შეგირდი? ერთი მხრივ იმიტომ, რომ პარფიუმერისთვის საჭირო ელემენტარულ ჩვევებს სწავლობს და მეორეც იმიტომ, რომ ის მუდმივად მალავს თავის გენიალურ ყნოსვას და, აქედან გამომდინარე, საკუთარ თავს. დამალვა ემპატიური ხრიკია და ამიტომაც უფრო ადამიანურია, ვიდრე — ცხოველური, ეს დამალვა ბოროტმოქმედ ადამიანებს ახასიათებთ, ისინი ქრებიან საზოგადოების თვალთახედვიდან, რათა მერე ისევ გამოჩნდნენ და თავიანთი ბნელი საქმედი ალასრულონ. ასეა გრენუიც. ის ფარულად, მანიაკისთვის დამახასიათებელი ემპატიობის მოშველიებით კლავს ულამაზეს ქალიშვილებს, რათა მათგან უმშვენიერესი სუნამოები დაამზადოს. გრენუი არ არის სექსუალური მანიაკი, იგი გრძნობს ადამიანებზე ზემოქმედების ძალას და, ალბათ, რამდენადმე ტკბება კიდეც, მაგრამ ღმერთკაცობას მაინც არ მოინდომებს, რადგან საკუთარ სუნს ვერ გრძნობს, ის მართლაც უსუნოა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკუთარი სიდიადის მიუხედავად, ადეკვატური კმაყოფილების გრძნობა არ ეუფლებია. გრენუიმ არ იცის, რა აზრი აქვს ადამიანების მონუსხვის მიხედვით გენიალურ უნარს, თუკი საკუთარი სიძლიერის შეგრძნება არ ექნება. იგი თანდათან კარგავს არსებობის აზრს და ცხოვრებასაც თვითგანადგურებით ამთავრებს.

იას პოეზიაში იმ საიდუმლო მატრიანის მცველია, რომლის ამოხსნასაც მრავალი წელია ლამობენ ეუსკადის ისტორიის მკვლევარნი. ბასკურ წარმართულ მითოლოგიაში იგი დედამიწის ან ადგილის დედის სინონიმია (მოიხსენიებენ ასევე როგორც „მთვარის ქალმერთს“ – „Madre Lua“), ნაყოფიერების სიმბოლო. „ვუბრუნდები რა ჩვენს (ბასკების) კრეტულ წარმომავლობას, ვხედავ საოცარ მსგავსებას დიდ დედაქალმერთსა და ჩვენ მარი ბასკს შორის და ჩემს გადარწმუნებას ამაოდ შეეცდებიან მაგანნი, რადგან სწორედ ეს თეთრი ქალბატონია წინამორბედი იმ პატრიარქალური რელიგიების, რაც დაამკვიდრეს აქაველებმა ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში კრეტული ცივილიზაციის განადგურების შემდეგ“ („Poesia y origen“, 1990). ამ დროს, ძალაუნებურად, გვახსენდება ქართული მითოლოგია და სვანური მზის განმასახიერებელი ქალმერთი ბარბაღე, ადგილის დედა, დედა ბოძი... და რადგანაც „მითები და პოეზია არასდროს არაფერს აყალბებს“, გაბრიელ სელაიაც დაფიქრდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა ნათესაობის თაობაზე.

„შესაძლოა, ისიც მართალი იყოს, რომ ჩვენ ბასკები პონტოს ზღვის ტერიტორიიდან მოვდივართ, რაზეც მეტყველებს ჩვენი ადათ-წესების მსგავსება, ჩვენი მითების, რწმენისა და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი ენების მსგავსება, ასე რომ განსხვავდება დანარჩენი ინდოევროპული ენებისაგან“.

ქართული და ბასკური ენების ნათესაობის კვლევას მრავალმა ენათმეცნიერმა თუ ისტორიკოსმა მიუძღვნა საკუთარი ნაშრომი და თითქმის ყველა ერთხმად

გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენები ტიპოლოგიურად მეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან და მათი გენეზისური კავშირის ჰიპოთეზას იზიარებენ.

ძველი ბერძენი ავტორი ჰეკატეოს მილეტელი (ძვ. წ. VI ს.) თავის ხელნაწერებში პირველად მოიხსენიებს პირინეის ნახევარკუნძულზე მობინადრე იბერებს (ხმელთაშუა ზღვის არეალში მცხოვრებ ხალხთა ერთი შტო); ბერძენიცა და რომაელებიც მათ უწოდებდნენ იბერებს (Iberi, Hiberi). არაერთი მეცნიერი სწორედ ამ იბერთა შთამომავლებად მიიჩნევს ბასკებს. თუმცა ბასკების და ბასკური ენის იბერიული წარმოშობის ფართოდ გავრცელებული თეორია (ვ. ჰუმბოლტი, პ. შუხარტი, ე. ბურსიე და სხვ) დღემდე სადავოდ რჩება. ისტორიული ფაქტები – პირინეის მრავალგზის დალაშქვრა-დაპყრობა კელტების, კართაგენელების, გუთების, რომაელების და სხვათა მიერ, რომელთაც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილობრივი მკვიდრნი – იბერები, მრავალ მეცნიერს აფიქრებინებს, რომ ამ ისტორიული ქართველების ჟამს, შესაძლოა იბერთა შტომ მიუვალ მთებს შეაფარა თავი, ან მომხდურებმა მიიმწყვდიეს. ერთი რამ ცხადია, ისინი გადაურჩნენ ეთნიკური ასიმილაციის ძლიერ პროცესებს და მათი გადაგვარება ვერ შეძლეს ვერც რომაელებმა, ვერც ვესტგუთებმა და ვერც არაბებმა. მათ დღემდე შემოინახეთ თავიანთი განსაკუთრებული ენა, ყოფა-ცხოვრების ძველთაძველი წესები, ფაქტობრივი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა; მაგრამ ამავე დროს, არ შემონახულა არც წერილობითი ძეგლები და არც დოკუმენ-

ტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მათი ისტორიის აღდგენა (გარდა ფრაგმენტული წარწერებისა და ტოპონიმების ნიმუშებისა, რაც მხოლოდ დამწერლობის არსებობის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს). ეს უძველესი პერიოდი მაინც ბურუსითაა მოცული – ეს არის ისტორია ლეგენდარული ხალხისა, რომელთა წარმოშობისა და თავდაპირველი სამშობლოს ირგვლივ კიდეც დიდხანს გაგრძელდება კამათი.

რა ახსოვთ ბასკებს თავისი წარმომავლობის? ანდა არ ახსოვთ არც არაფერი და ისე ცხოვრობენ, როგორც სიზმარში და წარსული აგრძელებს მათში სიცოცხლეს.

... მუდამ გახსოვდეს, რომ ბასკ ხალხში განისვენებს საუკუნენი და დაეინყებულნი უხსოვარი ისტორია, გახსოვდეს საქართველო და გახსოვდეს კრეტა, აკი იქიდან გამოვედით ჩვენ ბასკები, დაუნდობელ იონელთა, აქაველთა და ძმათა მათთა მიერ დევნილნი, რომელთა დაიბყრეს ბერძენთ ქვეყანა და ის ზღვაც, სადაც ჩვენ ვიშვით. („მარის კანტატა“, 1990)

შენ კრეტავ, დროსა და სივრცეში ჩაკარგული, აღარც კი მჯერა ოდესმე, სადმე თუ არსებობდი, ხანდახან თავსაც კი ვეკითხები, ვაითუ მხოლოდ სიზმრად გიხილე,

ანდა სულაც მოგონება ხარ მარტოკა ბასკის... საქართველოდან ჭრიალ-ჭრიალით რომ დაიძრნენ მძიმე ურმები, უცხო ქვეყნების გზას რომ დაადგნენ ვაი-ვიშით ბასკი-კრეტელნი, დაუნდობელი აქაველები თავს რომ გვესხმოდნენ, ჩვენს მძიმე გემებს გასაქანსაც არ აძლევდნენ მათი მსუბუქი, სწრაფი გემები... გახსენებაც აღარ გვინდა იმ შავ დღეების, სჯობს დავიწყებას მივცეთ ყოველი... („კუნძულის კანტატა“)

„წარმომავლობა“ – ეს არის წიგნი, რომელმაც თავი მოუყარა სელაიას მთელ შემოქმედებას და „ჯადოსნური ცნობიერების“ გავლენით განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პოეტის ბიბლიოგრაფიაში. ამ ბილინგვიზმა წიგნმა იდეალურად დაავიზგვინა პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება. 79 წლის უკვე შეუძლოდ მყოფი პოეტი შეეცადა განესაზღვრა თავისი არსებობის მიზანი და თავისი ძვირფასი სამშობლოს ისტორია.

2011 წელს გაბრიელ სელაიას დაბადების ასი წლის იუბილე აღინიშნა ესპანეთში.

ეპილოგი მდუმარებამ დაისადგურა ბოლოსდაბოლოს. და როგორც ყოველთვის, რომ არც კი გვინდა, ისე ვინახავთ ჩვენ საიდუმლოს.



**ნინო  
სადლობელაშვილი**

ყოველ დილას მოდიოდა  
ბალის მასწავლებელი,  
გაციკროვებული და  
მიმოზების მტვერდაყრილი  
მომწვანო კაბის სახელოებზე  
ჯდებოდა ოთახის შუაგულში,  
ისე რომ ზურგით მთლიანად დამფარვოდა  
და დაემალა ჩემი  
საიდუმლო წესი:  
ყოველ დილას მე ხის სკამზე  
ავდიოდი,  
კედლის დაფაზე ჩამწკრივებულ  
ჩვენს სურათებს შორის  
ერთი სურათისთვის რომ მეეცნა.  
ის სურათი მესამე რიგში იყო,  
ზევით და განაპირას  
და მე მას ნიკაპთან ვწვდებოდი.  
მასწავლებელმა იცოდა  
ჩემი საიდუმლო რიტუალი და  
ყოველ დილას თვალს მარიდებდა,  
გაბრწყინებულ, მშვენიერ თვალს.

ეს იყო პატარა ხის სკამი,  
გარშემოწერილობით მეტრი და 20 სმ,  
ჩიტებისფეხებიანი სკამი და  
როცა მე ის ერთხელ  
კედელთან მივიდგი,  
მასწავლებელი მთელი ტანით  
მოტრიალდა, ხელი მკრა და სკამიდან  
გადმომაგდო.  
არ მიტირია, რადგან როცა  
მის თვალებს მხოლოდ ერთი წამით  
შევხედე,  
ისინი ჩემზე დამსხვრეული იყო,  
ჩემზე ნალვლიანი და  
უმწეო.  
მაშინ გადავწყვიტე,  
მოქანდაკე გამოვსულიყავი  
და ერთ დღეს ხის სკამისთვის  
ძეგლი დამეგა.  
ხანდახან კი, გაზაფხულზე,  
მიმოზები როცა მოვიდოდა,  
შევკრავდი პატარა თაიგულს და  
ძეგლს ჩიტებიან ფეხებთან დავუნყოფდი.  
ძეგლი მაღალი უნდა ყოფილიყო,  
ჩემზე და მასწავლებელზე მაღალი,  
სახლებზე და ხეებზე მაღალი,  
ჩიტებზე და ვარსკვლავებზე  
მაღალი.  
მესამე რიგში და განაპირას —  
როგორც ლურჯთვალემა  
გაბრწყინებული ანგელოზი.

\*\*\*  
მე ქარიშხლად მოგელოდი,  
შენ ნიადად დამენამე,  
ბალახ-ბალახ გამითენე  
უმთვარო და შავი ღამე,  
მე კლდეებზე ვაყუდებდი  
მოყრიალე სულის კიბეს,  
შენ ხის ტოტი მომინე,  
ზედ თოვლივით გადაამკიდე,  
მკლავებს ვშლიდი ლურჯთვალემა  
ოკეანის ჩასაკონად,  
შენ კი ცვარი მომირუე,  
გულზე წყაროდ გააგორე,  
მე სიზმრების დევებს ვზრდიდი  
და ღრუბლების ქამანდებოთ  
დღეებს იქით მივდენიდი  
წუთისოფელს — სანახირეს,  
შენ სამყურა მინდვრებიდან  
პეპლის ფრთებით მომიხვედი  
და სიცოცხლე ერთი წამის  
სალაჟვარდოდ დააღირე...

მე ქარიშხლად მოგელოდი,  
შენ ნიადად შემეგებე,  
ხვალ მოხდება ცის და მიწის  
ოცნებასთან შერიგება!

\*\*\*  
მე გყვედრით თქვენ,  
ცეცხლის მომთვინიერებლებო,  
ხანძრის გამმათრახებლებო,  
დედამიწის არტახებში მომაქცევლებო,  
პირში ლუკმის გამჩერებლებო,  
პურის ისე უნიათოდ გამცოხნებლებო,  
ვიდრე გემოს არ დაკარგავს,  
ვიდრე ჩაღად არ იქცევა  
და მაგ თქვენი სტომოქების  
ჯურღმულეებში ჩაიქცევა  
როგორც ტალახი!  
მე გყვედრით თქვენ,  
სიტყვის ადლის გამზომლებო,  
მილიმეტრებში რომ ანგარიშობთ  
და ერთმანეთსაც ისე მოუჭრით,

**მაომრის სიოლარა**

ტბეთში ერთი საფლავის ქვაა — მაღალქუსლებიანი, ჩიხ-ტიკოპიანი ქალის, რომელსაც ხელში დაკეცილი ქოლგა უჭირავს და სადღაც მიდის... იქნებ ასეთი ფორმის სხვა საფლავის ქვებიც არის, და ქალის რაღაც ზოგად პორტრეტს კვეთდნენ ასე, უდროოდ ან ტრაგიკულად გარდაცვლილთა... იქნებ მხოლოდ ამ ერთ ქალს ერგო ასეთი ქვა — ქოლგით ხელში, გზაზე დამდგარი, და ვინ იცის, იმ ქოლგით რა მზეების მომჩრდილებელი...

ელისაბედ ტიმოთეს ძევ,  
აფრენილო განთიადის აღმურვივით,  
ტკბილო როგორც  
ნატკივარზე დაფენილი ბალახი,  
გადმომხედე, ღრუბლის რიდე მოიჩრდილე,  
შენი წილი ლაჟვარდები განახვენ!

ელისაბედ ტიმოთეს ძევ,  
გარდაცვლილო ათას რვაას ოცდაცამეტს,  
გულგამსკდარო  
ჩემი ტყვიის მოლოდინით,  
შენ გინდოდა შენი სახლი ყოფილიყო  
დედამიწა — სიყვარულით მელოგინე.

მე მოვედი, ელისაბედ,  
მე დაგბრუნდი დაუსიზმრებ ომებიდან,  
მოგიტანე,  
რასაც მუდამ,  
რასაც გულით ნატრობდი,  
მე მიწადა, რომ ზეცამ ფსკერი გადაიხსნას,  
მისი მარგალიტის შხამი მათრობდეს...

ელისაბედ ტიმოთეს ძევ,  
მიმავალო გაზაფხულის ბილიკებით,  
ზღვაო,  
ზღვების უნახავო,  
სანუთროზე დაცემული არილო,  
მოვედი და ლურჯი ქოლგა მოგიტანე,  
ხომ ვიცი, რომ არ მელოდი ცარიელს.

ელისაბედ, შენი ქოლგა  
ლამაზია, სხვა მისებრთ ვინ დადის!  
წუთისოფელს  
თბილ მარმაშით აფარია  
და ზამთარშიც შენზე აღარ ვიდარდებ!

ელისაბედ ტიმოთეს ძევ,  
აფრენილო ზურმუხტისფერ ქედანივით,  
ჩემზე ბევრო,  
ჩემს ლოდინში ფერნაცვალ სიზმარო,  
გამიძეხი, შენი ქოლგით მომიჩრდილე,  
ეს ქვეყანა უშენოდ რომ ვიკმარო.

\*\*\*  
შენამდე რომ წყალი ვატარე,  
იცი გზაში რამდენი მწყურვალი  
შემხვდა?

ყველას პეშვით ჩამოფურიგე,  
თითებსშუა ნანვეთარით  
ბალახს ვაძლობდი,  
მატლი ფრჩხილისტოლა გუბებში  
პირს იბანდა...  
შენ რომ წყალი ნამოგილე,  
იცი წინ რამდენი დღე შემეჩხება?  
იდგენ როგორც უქონგურო გალავნები  
და ზედ იმედის ფრთით თუ  
გადახვიდოდი,  
რამდენი თიხა იმ წყლით შევანებე,  
რამდენ ჩარღვეულ თვალს ამოვუხვიე  
დილის გორგალი,  
რამდენი ღამით დამეღვარა,  
ვარსკვლავებშიც, ფესვმომხმარი ჩითილების  
ამ ოქროსფერ ტვერში,  
რამდენი ხელ-ხელ გადავაქციე,  
მე ხომ წყალი მომქონდა —  
მამაჩემის გაპოზილი გულიდან  
გამონაწერი,  
მე ხომ წყალი შენთვის მომქონდა —  
ამ წყლით უნდა შეგხებოდი და  
მომერჩინე,  
ამ წყლით უნდა მეცოცხლებინე,  
ამ წყლით უნდა მეამბნა შენთვის  
ჩემი ბროლი და ბადახში...  
ახლა ვზივარ და კენჭებს ვისვრი —  
შენს კარს უკვე ადვილად ვაწვდენ,  
მე აქ ვარ და დაცლილი მკლავებით  
ჰაერის ჩვილს კალთაში ვარწევ,  
ჩუმად ვმღერი  
და ბგერებიც ტკბილნიავით იფლინებთა:  
მე მოვედი,  
მე მოვედი ცარიელი,  
მე სუფთა ვარ,  
მე ამშრალი ქალაღდი ვარ,  
მომეგებე სიყვარულის მასპინძელი,  
მე მოვედი,  
და რომ ცოცხლობს,  
და რომ ღვივის,  
ჩემი დაქცეული წყლებით —  
ის სამყარო მოგიტანე.

**სკამი**  
თეკლა ხუციშვილს

ეს იყო პატარა ხის სკამი,  
თაფლისფერი სკამი,  
ფეხებზე ამოკანრული ჩიტებით.  
ოთხი ჩიტი ოთხ ფეხზე,  
სიგრძით — 5-6 სმ,  
5-6 მმ მზის წნულებით  
ჩიტების თავზე,  
სკამი იყო გამძლე და  
როცა მე მას კედელთან ვდგამდი,  
მეგონა რომ დიდი ტვირთი  
გადავანაცვლე.  
ეს იყო პატარა ხის სკამი  
და მე ის მუცლამდე მწვდებოდა.

ერთი ნაპერწკალი მარცვლი არ გადაყვეს,  
და სიყვარულსაც ამითი ზომავთ,  
თქვენი პატარა კოტიტა მკლავებით,  
მკლავზე რაც გადაგეხვევათ,  
მარტო იმას იჭრევენებით,  
და სიძულვილსაც ამითი ზომავთ  
და სიძულვილიც უმნეოა,  
გაზომილი და თქვენგან მოჭრილი.  
უგემურებო,  
თქვენთან როდემდე ვყოფილიყავი,  
შეგაცვითეთ გული, ნერვები,  
თქვენ ცეცხლისთვის ერთხელ  
ენაც არ დაგიდიათ  
და საიდან უნდა იცოდეთ,  
რომ ის ტკბილია,  
ის ტკბილია როგორც ღმერთის  
ხელისგულში მოლიცლიცე თაფლის თვალები...  
ან საიდან უნდა იცოდეთ,  
რა ძალა აქვს,  
როცა ერთი ნაპირიდან  
მეორესკენ გადმოვშვები,  
როცა იცი, უფსკრულიც კი  
გულში ჩაგიკრავს,  
რადგან, ცარიელბო,  
უფსკრულმაც კი თქვენზე მეტი  
დაიუნჯა ცეცხლი და შიში...  
ან როდისღა უნდა მოასწროთ,  
მინის ნაკუნ-ნაკუნ გადამზომლებო,  
წუთისოფლის მესაფალტეებო,  
თქვენივე ილღიბქვემ გამოტეხილ  
ბალახის ღერს მოკრათ თვალი და  
გული წინ გაგექცეთ...  
თქვენ წინ რა გინდათ,  
ან უკან როგორღა გაიხედავთ,  
რაზეც დგახართ,  
იმ ცხოვრებას იცოხნით და  
სხვებისგანაც ამას ითხოვთ,  
თქვენი თავისთვის გულიც გიხლიათ,  
სხვებს შეეშვით,  
ნუ გადააქცევთ ამ ქვეყანას  
საანგარიშო აკადემიად,  
ნუ გადააქცევთ ამ სამყაროს  
მომთვინიერებელთა აკადემიად,  
და ნუ გასცემთ ატესტატებს  
უმალღესი შეფასებით: ბედნიერი.  
ადამიანი ცეცხლისგანაა,  
წინაა და უკანაა და  
თავის ჯვარიც ფრთებად ჰკიდია,  
თქვენ ვინ მოგცათ ის უფლება,  
სიყვარული უანგარიშოთ,  
ანდა ფრენა უანგარიშოთ,  
ან სიკვდილი უანგარიშოთ,  
მოჭრილო ხეებო,  
სიცოცხლე ეგეთია:  
თქვენს გადანაჭერზეც,  
რაც არ უნდა ფეხით ჩათეთქვით,  
ერთი ღმერთი მაინც თავის  
რტოს ამოიყრის...

**სიბღერა დედას ცალ ცვილის ფეხზე**

შენი ცალი ცვილის ფეხი  
იყო ჩემი ბედისწერა,  
და მე ამას ახლა ვხვდები,  
ახლა ვიგონებ,  
როცა მივადექი აღმართის კარს და  
აქვე, ძირში ფეხვი გავიდგი.  
დედა,  
შენი ცალი ცვილის ფეხი  
იყო ჩემი სევდიანი  
გაუცხოება,  
მანძილი იყო —  
ჩემსა და შენს შორის და  
მე მასზე ერთხელაც ვერ გადავიარე.  
სხვებს რომ დედეები დაჰყვებოდნენ,  
სხვების წარმატებებს  
დედეები რომ გულში იკრავდნენ —  
საზეიმოდ გამოპრანჭულნი,  
სიხარულით გაბრწყინებულნი,  
სხვების დედეები  
შვილებს ყველა კარგ დღეზე რომ ახლდნენ  
(უკეთესი დღეებიც ხომ ამოხტება ხოლმე ცხოვრებიდან,  
როგორც აშლილი როიალის თეთრი კლავიში)...  
მე ვიდექი ჩემი წილი  
სიხარულის რიგში,  
რათა მიმეღო ის და  
მარტოს მეზეიმა,  
და ჩემი გულის პანანინა დედა —  
ჯერარშობილი მე,  
ჩუმად, თმენით მამშვიდებდა,  
მიგურგურებდა,  
რადგან დედა იყო და  
შენი ესმოდა,  
თქვენ ერთმანეთს უხმოდ უგებდით.  
ის, ჩემი გულის არშობილი მე,  
მაიძულებდა შენს ცალ ცვილის ფეხზე  
მეფიქრა,

მის არარსებულ ფეხსაცმელზე მეფიქრა,  
გზაზე მეფიქრა,  
რომელზეც მას ვერასოდეს დააბიჯებდი  
და დედა,  
მე ვწყველი ამქვეყნად  
ყველა წველ ფეხსაცმელს,  
და ყველა გზას,  
რომლებმაც ჩემს სიხარულს  
შენი კარი გამოუკეტეს.  
ახლაც სხედან და იგონებენ  
შვილები იმ დღეებს,  
იმ ობიანი პურებივით ტკბილად  
დამზრალ დღეებს,  
როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ  
და მათთან იყვნენ  
დედეები — მაღალი ქუსლებით,  
დაბალი ქუსლებით,  
წვეტიანი, ან მრგვალცხვირა,  
მოლაპლაპე ან უფერო ფეხსაცმელებით,  
როცა დედეები შლიდნენ მკლავებს  
და შვილების წარმატებებს,  
და შვილების გამარჯვებებს  
ნაცრისფერ დღეებზე, —  
გულში იკრავდნენ...  
ახლა მეც, როცა ჩემი  
აღმართის კართან შევდექი  
და უკვე იმ ასაკში ვარ,  
სადაც ცოტა ხნით შეგჩერდები —  
ყველგან უნდა ფეხვი გავიდგა, —  
მეც ვიხსენებ შენს  
ცალ ცვილივით ფეხს,  
შენი შინყოფნის ნელთბილ კერიას,  
შენი ტკივილის ფერმკრთალ ყვავილებს —  
თითებიდან ნელამდე ცვილით შეკონილს,  
და სიმღერა მინდება,  
დედა,  
შენს ცალ ცვილის ფეხზე მინდა  
ვიმღერო და გითხრა:  
ის რომ არა,  
მე ხომ დედა ვერასდროს გავხდებოდი,  
ჩემი გული პანანინა დედას  
ვეღარ გააჩენდა,  
ის დედა შენ ვერ მოგქებნიდა და  
უხმოდაც ვერ მოგისმენდა,  
ის რომ არა,  
მე ყველაფერი მექნებოდა და  
რა უბედური გავჩნდებოდი...  
ის რომ არა,  
დედა ვერასდროს გავხდებოდი.

**სუთხაპათის ფსალმუნები**

*ციკლიდან „ვენების შვიდი ფსალმუნი“*

შენ დაგიმალო?  
მე ის მიყვარს თავგამეტებით.  
მისი თვალები ორი კარია  
და სხვა კარი აღარ მაქვს, რითაც  
შემეძლება გარეთ გავიდე...  
მისი ბაგენი — ძველი ტაძრის სამტრედეები,  
მოვარდისფრო ღიობები,  
საიდანაც სანთლის სხივზე განყოფილი  
უხსოვარი, უდაბური მუსიკა ისმის...  
შუბლი მისი — ჩემი ძველი თავსასთუმალი,  
ლამის ფრთებით ეკლებგადახვეტილი,  
საფეთქლები — ჩემი ლოცვის ორი კედელი,  
ჩემი ტუჩის, ჩემი გულის ანაბეჭდები...  
შენ დაგიმალო?  
მე ის მიყვარს თავგამეტებით.

გამოვფინე სიყვარული  
კალთა დავიცარიელე,  
ქუჩა-ქუჩა მასზე მღერით  
ავიარე, ჩავიარე,  
ზოგს წარსული გავუყავი,  
ზოგს ანმყოში ვვაპტიე,  
სიყვარული ბევრი მქონდა,  
რად უნდოდა თავაპტიე!  
გამოვფინე, გავაქვეყნე,  
ხმა ზეცამდე მივანვინე,  
მტვრად ქცეული ჩემი თავი  
ღმერთის ძირში მივანვინე...

შენ დაგიმალო?  
დავდივარ და  
სახით მისი სიცილი დამაქვს,  
და ხელებმაც შემოაჭდეს ჰაერს მისი წრე.  
რა კარგია, როცა ასე გამოთლიანდები,  
რა კარგია, როცა ამით სხვას თვალს აუხვევ,  
მხოლოდ შენ ვერ,  
შენ ვერასდროს დაგემალები,  
და სიკვდილმაც გაციინოს თუნდ  
შენ მაგიერ...

**ვანო ჩხიკვაძე**

\*\*\*  
ის გაზაფხული, ის მზე და  
ის მაყვლის ბუჩქიც მახსოვს —  
ტოტზე ჩიტი რომ გალობდა,  
თქვი, ბულბულის ხმას გავსო.

მახსოვს, რაც უნდა მახსოვდეს,  
რაც არა — ისიც მახსოვს,  
ქვაფენილებზე ყვავილი  
როგორ დაეპნა ქარსო.

მას შემდეგ ბევრჯერ იავდრა,  
ბევრჯერ წამერთვა სასო —  
მახსოვს რატომაც მიყვარდი,  
რად გძულდი, აღარ მახსოვს...

შემდგარი ფეხის წვერებზე  
აპრილს გავუღებ კარსო,  
გაზაფხულს მოვეფერები,  
შენს ნაბოლარა დასო.

\*\*\*  
არ გკითხავს, არა,  
მარტობით რატომ ხარ ავად —  
უცხო კაცივით  
ეს საღამოც სახლიდან გავა.

მაღალ შანდალში  
ააცრემლებ ოქროსფერ სანთელს,  
მისი ნათება,  
გზააბნეულს,  
რომ მისწვდეს სადმე.

შემოიხედავს შენს სარკმელში  
ზამთრის საღამო.  
მოვა, რომ ფიფქის  
წამწამები  
დაახამხამოს.

მოვა, რომ გითხრას  
ბილიკ-ბილიკ როგორ იარა,  
როგორ დაემსხვრა  
ნაკლულ მთვარის ვერცხლის ფიალა.

სიჩუმის ქსელს ქსოვს  
გალურსული ჭერზე ობობა —  
ჩახუტებული ღამის ჩრდილი  
შენს მარტობას.

დაზამთრებამდე  
გაიყინა გულში ჭრიჭინა,  
ისე უეცრად  
საფეთქლები გადაიჭირხლა.

და ელოდები,  
დამლელ თოვლში,  
ან დღე,  
ან ღამე,  
უკანასკნელად  
შენს სულს როდის  
შეაკანკალებს.

\*\*\*  
ომი დამთავრდა.  
დედის მოლოდინი —  
ჩამოვა პეტრე,  
ჩამოვა თომა,  
იმათ იმედებს,  
იმ მოლოდინებს  
იმედგაცრუებამ  
ჩამოათოვა.

ახლა დრო,  
ამბობ, უკეთესია,  
ხალხი წინ მიდის,  
ხალხი ბრძენდება.  
როგორც ადამის  
მოდგმის წესია —  
ომი დამთავრდა...  
ომი გრძელდება!..

\*\*\*  
სიცხიანი დღეების  
შტორმი ფილტვებს ანგრევდა,  
მაინც ვერ მოერია  
ცივი ზამთრის ბოგინი.  
ჩამომდნარი ყინული  
ღრიანცელით დახვედა,  
დილის მზეზე ფიცხდება  
ავადმყოფის ლოგინი.

დაინახა თუ არა, მაშინვე დაიძაბა. ესენი ოთხნი დგანან — ის, კელატაძე, ცალთვალა და დათუნა. ღამეა, ეზოში ბნელა, მარტო პიცერიის ფანჯრებიდან ნამოსული შუქი იღვრება ყვითლად ასფალტზე. კელატაძეს მარცხენა თვალი მოუჭუტავს და უხმოდ ქაჩავს მაიკარეტს, გაღვივებულ ნარინჯისფერ ნერტილში ნვრილად დასრიალებს ცეცხლოვანი სპირალი.

— ვინ გაგუშვავთ? — ცერად უყურებს ცას ცალთვალა.

— მუნანნიე, თან სიხარულით წავა, — პასუხობს ის.

— მუტრუკა ხო არ გავაყოლოთ? ეგ ყველაზე ჩუმად და ნადიოჟნად დადის, თორე არ გახსოვს, წინაზე მარტო მუნწო რო გავუშვით და ორი დღე რო დაავიანდა, — ეცინება დათუნას.

— ხო, რატო დაავიანდა? — ღიმილით ეკითხება ეს, რადგან იცის დათუნა აუცილებლად გამოაჯაგერებს მუნანნიეს.

— რა ვიცი, კაცო, — იჩლიქავს და ინვრილებს ხმას დათუნა, — რომ მოვდიოდი, გზაზე რაღაც მანქანა გამოვიდა, შემეშინდა, ძაღლები არ იყვნენ-მეთქი, ფაქტი ტრუსიკში ჩავიდე, იქვე რაღაც ტრაქტორი იყო და შევძვერი იმის ქვეშ, გააჩნრა ამ მანქანამ ჩემ გვერდით და აღარ წავიდა არსად. თურმე ტყნაურობდნენ, მე კიდე რა ვიცოდი, მთელი ღამე ტრაქტორის ქვეშ ვინექი და ღამის გავიყინეო.

პიცერიას უყურებს. განათებული ფანჯრების მიღმა მოჩანს სუფთა კრემისფერი კედლები, შინდისფერგადასაფარებლიანი პატარა, ოთხკუთხედი, კოხტა მაგიდები და ორ დაქალთან ერთად ზის ერთ-ერთ მაგიდასთან. შავი თმა წელამდე სცემს თეთრ სარაფანზე, პიცერიის ჭაღიდან ნამოსული შუქი ოქროსფერ ხაზად ულიცლიცებს ზურგზე.

გოგოები რაღაცაზე ლაპარაკობენ, იცინიან და ღიმილიან ნრუპავენ.

— ეგ რა არი, მუნანნიეს დედამ რა ქნა? — ჩაესმის დათუნას ხმა, თავს აბრუნებს და სწორედ ამ დროს ხედავს:

ორნი არიან, გრძელ შავ ლანდად ჩნდებიან მაღალთალიან სადარბაზოში, განათებული ქუჩის ფონზე და ნელი, ღირსეული ნაბიჯით მოდიან მათკენ. ეგრევე უსიამოვნოდ იმრიზება, ზედმეტად თამამად და შენელებულად მოიხრევა ორივე ახლადმოსული. საერთოდ, შარს თავიდანვე გრძნობს, პირველსავე წამიდან, თავადაც არ იცის, საიდან, მაგრამ ათასში ამოიცნობს ხოლმე. ამოიცნობს, დაიძაბება და არ აერიდება. არ ყოფილა მასში შიში, არასოდეს. იმის მერე, რაც სკოლიდან დაბრუნებული, თვალჩაღრუხებული და ბოღმისგან ატირებული მამამ ოთახში დაიმარტოვა და უთხრა: ნადი, შენით გამოასწორე ყველაფერი და გახსოვდეს — ის, რაც შეუძლია სხვას, შენც შეგიძლიაო.

ახლადმოსულები უხმოდ სცდებიან, მხოლოდ ერთს გამოხედავენ ოდნავ დაღლილი, დაძაბული თვალებით, შემდეგ კი პიცერიის კარს ალებენ და კედელს იქით იკარგებიან.

მაგრამ ფანჯრებიდან გადმოღვრილი სინათლე წამით მაინც ასწრებს გაანათოს მათი სხეულები და სახეები და ის ამჩნევს სამ ცუდ რაღაცას: პირველი — ორივე უცხოა და არასოდეს უნახავს აქამდე, მეორე — ჯრინების გაცრეცილი სილურჯე, მოკლე ქურთუკების მოდური ბზინვარება და მესამე — ცისკენ აჩაჩხული, თითქოს აჩეჩილი, არადა, ძალით დაყენებული პრიჩოსკები ამცნობს, რომ უცხოები გაღმიდან მოსულან, ხოლო ჩაწითლებული და უცნაური სითამამით ანთებული თვალები სიმთვრალეზე მიუთითებს.

„კიდევი კარგი ავთანდილა და გიო ფხიზლები არიან და არც შავნვერა არ არი აქ,“ — კელატაძეს და ცალთვალას უყურებს და ის ღამე ახსენდება, როგორ აუხირდა ძმაკაცებში ყველაზე მაგვე ავთანდილა ორ უცხო ტიპს ქვემოთ, ლუდის ბარში. იმათ გარეთ გამოიყვანეს.

— ავთანდილას იცნობ, კელატაძეს? — ჰკითხა ერთ-ერთმა ავთანდილას.

ამან პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ ამ დროს ავთანდილას თხელი, პატარა თითების შეხება იგრძნო მაჯაზე, ხმა არ ამოიღო, აფრთხილებდა ოქროს უბნის პირველი „დანისტი“ და გაჩუმდა.

— არა, — უპასუხა ავთანდილამ თავისი ნვრილი, ქალივით მივიანა ხმით.

— ავთანდილა კელატაძეს თუ არ იცნობ, აბა, მაშინ, რის ოქროსუბნელები ხართ? — ირონია გაეპარა ხმაში იმას.

და ავთანდილამ იმავე წამს დაჭრა ორივე. სულ უკვირდა ეგ, როგორ მოძრაობდა ასე სწრაფად ეს ერთი ბენო, გაღვივებული სხეული, როგორ ატრიალებდა ასე უჩუმრად ხელში დანას.

— რა? რა ქნა? — კითხულობს კელატაძე და ნვრილ ხმასთან ერთად პირიდან ამოსულ თეთრ კვამლს წამით ამოჰყავს სიბნელიდან მისი თხელი, სუფთად-გაპარსული სახე.

— რა და გეგუთუმი იყო თავის ძმომვილთან, — სიცილს ვერ იკავებს დათუნა, — კაიზერას ძმაც ხო იქ ზის. ჰოდა, იმან კაიზერასთან ქსივა გამოატანა, ხუთში ათასი მანეთი მაქვს ჩასაბარებელიო. ჩამოვიდა ეს, მივიდა კაიზერასთან და ეუბნება, დღეს შენ ძმას ხუთი ათასი მანეთი აქვს თავანო. გაგიჟდა კაიზერა, სამი საათი იყო უკვე, მიდგა, მოდგა, ვერ მოასწრო შოვნა, ჩემ ძმას თავანი აქვს, ვერ ვეხმარებო და გაიქანა დანა გულში ამ ხეივარმა კაცმა. ოდნავ აცდა, ფლტვში მოურტყამს, წევს ეხლა საგადამყოფოში. გადარჩა, მულადო კილასონია

# გლაგვად დარტყმული დანა

ნანნიეს დედას კი მერე გახსენებია, — აქ დათუნა ისე ინვრილებს ხმას, — უჰ, კაცო, მგონი ხუთი ათასი კი არა, ხუთი რიცხვი მითხრაო.

ბიჭები ხარხარებენ, მუდამ კუშტ ცალთვალასაც კი ეღრიცება სახე ღიმილისგან. მარტო ეს დგას უძრავად და ფანჯარაში იყურება.

ახლადმოსულებს შავი ქურთუკები აცვიათ და პიცერიის ხის მაღალ დახლს მიყრდნობიან. კეხიანცხვირიანი ოფიციანტს ელაპარაკება, ქერათმიანი კი მის დას და დის დაქალებს ათვალეირებს ამღვრეული თვალებით.

„ნეტავი რა უნდათ ამ გაღმელებს აქეთ,“ — ფიქრობს თავისთვის და შავნვერას იარებში ჩამჯდარი სახე უდგება თვალწინ...

ერთად დალიეს იმ ღამეს, ნელ-ნელა დაუმძიმდა გამოხედვა სტარავერს.

— ყაზბეგზე ვაკელებმა კლუბი რო გახსნეს, იცი? — ჰკითხა და გრძელ, უხემ, შავ ნვერზე ჩამოსვა ხელი.

— გავიგე, — ჩაეცინა ამას.

— მერე, არ ვნახოთ? — ავად აემრიზა ღიმილი შავნვერას. იყო ამ კაცში რაღაც რუსულად დაუნდობელი.

— ვნახოთ, — უდარდელად დაეთანხმა ესეც.

ქუჩა ცარიელი იყო, ხელით ანიშნა ფარებანთებულ ტაქსს, გაჩერებულყო.

— საით? — იკითხა მძღოლმა.

— იარე, — ხრინინაი ხმით უბრძანა შავნვერამ შოფერს და წინა სავარძელში ჩაეშვა.

ერთად ლადაობდნენ გზაში იმაზე, რაზეც სულ ეცინებოდათ — გაღმური ცხოვრების სტილზე, მოდნი შმოტკებზე, ნუნებდაჭრილ ფრჩხილებზე, თავზენაკრულ ბენდენებზე, ნიკუშებზე, ნატუკებზე, ნინუცებზე, გიუნებზე.

— გააჩერე, — შავნვერა მანქანიდან გადავიდა და შავი ეტლისკენ დაიძრა, რომლის ტყავის კედლებზე თეთრად ირეკლებოდა ლამპიონების შუქი.

— რა გინდა? — სიცილით ჰკითხა ამან ძმაკაცს.

— აბა, ისე ხო არ მივალთ, — თვალი ჩაუკრა შავნვერამ, შემდეგ მეეტლეს მიუბრუნდა და ჰკითხა, — არლანი იცი?

— ეხლა სძინამს, — საათს დახედა იმან.

— გააღვიძებ! — ტყავის რბილ, ნითულ სავარძელში ჩაჯდა შავნვერა და ცოტა ხანში ნამძინარევი, შემინებული, ულვაშებიანი მეარლენ რითმულად ატრიალებდა სახელურს, შავი ყუთი კი მელოდიებად იღვრებოდა ღამის ქუჩაში.

— რამე რო იყოს, — ნავანი მიანოდა შავნვერამ და თვითონაც ჩაბლუჯა რევოლვერის ტარი, მეორე ხელში ღვიზის ბოლით ეჭირა და მოყუდებოდა სვამდა.

ეგრეც მიადგნენ იმ შენობას, მოგუდულად რომ გუგუნებდა შიგნიდან, ჩაბნელებულ ფანჯრებში კი სხვადასხვა ფერში გადაედინებოდა ელექტრონათურების მყ-

ეტელა შუქი.

კარგა ხანს იდგნენ, გოცებულები, ადგილზე გაშეშებული რიგის წინ და შეუსვენებლად აკენესებდნენ არლანს.

სამნი გამოვიდნენ — მოვლილები, კარგადრაცმულები, აჩეჩილი თმებით. ყველაზე დაბალმა ჯერ ეტლს გამოხედა, მერე თავისიანებს გადაულაპარაკა რაღაც და მარტო წამოვიდა მათკენ.

საქციელზევე მოეწონა. იცოდა, ეტყოდნენ, ვინც იყო მოსული, მთვრალ შავნვერასთან სალაპარაკოდ მარტო წამოსული კაცი კი, მშვიდად რომ უახლოვდება ეტლს, ნაღდად დასაფასებელი იყო.

— აქ სხვა ამბავია, ბრატცი, ეგ პონტი არ არი, — მეარლნისკენ გააქნია თავი დაბალმა. შემინებულმა მეარლნემ თითები აუშვა სახელურს, შავნვერამ თავი მიატრიალა, ჰაერში გაშეშებული ხელი ისევე ჩაეჭიდა არლანს, ისევე დაატრიალა სახელური და ისევე გაისმა მუსიკის ხმა.

— ეგ რესტორნის პონტია, — ღიმილით გააგრძელა დაბალმა და შავნვერას შეხედა თვალებში, — ხოდა, ბრატცი, ლუბოი რესტორანს დაადეთ ხელი და წავედით!..



ქერათმიანი კი მის დას უახლოვდება, ცალ ხელს მაგიდაზე დებს, მეორეს მისი დის ზურგისკენ აცურებს, სკამის მომგრვალებულ ხის ზურგს ეყრდნობა და ლაპარაკს უწყებს. გოგოებს სახეზე ღიმილი უქრებათ, ის კი გრძნობს, როგორ ნერვიულად უთამაშდება ხელის თითები.

კეხიანცხვირიანი ხელით უხმობს ძმაკაცს, ქერათმიანი მაგიდას შორდება და დახლთან მიდის. მისი და დაძაბული, გაფითრებული სახით იყურება ფანჯარაში, შემდეგ კი ისევე დაქალებისკენ ტრიალდება. გარეთ ბნელა, არ ჩანან, ვერ დაინახა. ქერათმიანი ბრუნდება, იმავე პოზაში დგება, მარცხენა ხელით ღამისაა მისი თმას შეეხოს. სისხლი ნელ-ნელა მიიპარება საფეთქლებისკენ. გოგოები დგებიან, მისი დაც ცდილობს, წამოინიოს, მაგრამ ქერათმიანი ხელს ადებს მხარზე და ისევე სკამზე სვამს, დის დაქალები ფანჯრისკენ აცეცებენ თვალებს, იციან, რომ საღდაც აქ არიან და ეშინიათ.

ქერათმიანი გამალებით ხსნის რაღაცას, მისი და სწრაფი მოძრაობით დგება ფეხზე, მაგიდას შორდება და გასასვლელისკენ მიდის, ქერათმიანი ხელს კიდებს ხელზე, და ხელს კრავს, ზურგს აქცევს და აგრძელებს კარისკენ სვლას. ეს უკვე გზაშია, სწრაფი ნაბიჯით, ღამის სირბილით უახლოვდება პიცერიას, შავ კედელში კარის კონტური ჩნდება, გაკვირვებული ბიჭები თავებს ატრიალებენ, ქერათმიანი მხარზე კიდებს მის დას ხელს, გოგო ცდილობს, გაექცეს, მაგრამ გრძელი ღონიერი თითები სწრაფად ბლუჯავენ სარაფნის „ბრეტელს“, ვიღაც ტიპი მხარზე კიდებს მის დას ხელს, მის დას! შავნვერიანი „ლინიჩკა“ უხმაუროდ იხსნება, ლითონის პირი ოქროსფრად ელვარებს სინათლეზე და კიდევი ერთ მოძრაობას აკეთებს, „ბრეტელი“ იხვევა, კაბის მარცხენა ნაწილი ოდნავ იწვეს დაბლა და მარჯვენა ხელით ცდილობს მის დაჭერას, ქერათმიანისკენ დაძაბული კეხიანცხვირიანი ძმაკაცს აჩერებს, თვითონ ქერათმიანიც დაბნეული დგას, კარი იღება ყვითელი შუქი განთიადივით იშლება სიბნელებზე და წყვილიდან ამოყვას დაკბილული ქვის კიბე. მერე რაც ეხდება, ეგ ზურგიდან მიპარვა არ არის — ეგ ბრაზია, ბოღმა — წმინდა, გაუახრებელი, დაუნდობელი. დანის პირი ყრუ დარტყმით შედის ქერათმიანის შავ ზურგში, ბიჭი ეცემა, ისმის გოგოების კივილი. გარბიან.

— ის მოკვდება, — ამბობს ავთანდილა თავისი მწიგანა ხმით, — თან უეჭველი, ისე ბლაგვად დაარტყა უკნიდან.

„არა და, მგონი, ბოლოს თვითონაც გაჩერდა“ — ახსენდება ქერათმიანის შემცბარი, სიმთვრალისგან არეული სახე და გულთან პატარა ჩხვლეტას გრძნობს.

და ქერათმიანი მართლა კვდება იმავე ღამეს, მას კი ერთი კვირის თავზე იჭერენ.

ორთაქალაში, მანთაშევის ციხეში იხდის სასჯელს. ნახევრადჩაბნელებულ ნესტიან კამერაში ორნი არიან, ის და აფხაზი ქურდი იურა ლაკობა, განთქმული თავისი დაუნდობლობით და ვერაგვობით.

— უნდა დაბრიდო, ეგ ბოზი ეგ, ქურდის მკვლელია, — დაბალი ხმით ეუბნება სიმონა ბახტაძე, დოლიძელი ქურდი, — დაბრიდე და ხო იცი, ქურდის მკვლელი თვითონაც ქურდია.

მოსწონს პირდაპირი, ამაყი, რუსულად მოლაპარაკე აფხაზი, მარტო ზურგს უკან რო უხლართავენ რაღაცებს, პირში კი ვერაგვინ ვერაფერს ეუბნება.

მართალია ხაბულიანი, ქურდები რო არ ევასება, ყველა სახიფათო საქმეს შენ გაგაკეთებინებენ, მოგთავაზებენ, გვერდში დაგიყენებენ, მაგრამ თუ ქურდი არ ხარ, მაინც ყოველთვის ზემოდან გიყურებენ. ეგრეა, ციხეში ქურდი მეფეა, მეფე კიდე ეჭვიანი და ამაყია.

— დაარტყით ხელი და დაებრიდავ, — პასუხობს დაფიქრების შემდეგ.

ქურდები ჩუმდებიან, ნარების სიღრმეში მიმალული თვალები მოუსვენრად იწყებენ მოძრაობას. სახიფათო რამეა ლაკობაზე ხელის აწევა. სანამ იქ არის, ამას ვერავინ ბედავს და ისიც მშვიდად ცხთვრობს აფხაზთან, იმისიანები გავლენიანი და ფულიანი ხალხია, ყურადღებას არ აკლებენ, საჭმელი, სასმელი საუკეთესო აქვს. ქვეყანა არეულია, საქმეები კეთდება, სამ წელიწადში გამოდის ციხიდან.

ლაკობას კი ბოლო-ბოლო მაინც აჩერებენ, ისიც ჩვენებების მიცემას იწყებს და „ადინოჩკაში“ გადადის. 1991 წელს ბუნტი ეწყობა, მთელი ციხე კამერებიდან გამოდის, ლაკობა კი ისევე „ადინოჩკაშია“ და ოფიციალური ინფორმატორია. პატიმრები მისი საკნის კარის გამოგლეჯვას ცდილობენ. აფხაზი ღრიცოდან ბენზინს ასხამს და ექვს კაცს ცეცხლს უკიდებს, სხვებს ნაცარს აყრის თვალებში, თვითონ ორი ხელნაკეთი „შტირით“ დგას კამერის კართან და მთელ ხმაზე გაჰყვიროს:

„ია შე გეგოვრილ, ჩტო ვსე ანი პი-დარასტი ა ნე ვორი! ტისიჩა ჩეტირისტი ჩელოვეკ ნე მოგუტ მენია უბიტი! პაჟალუსტი, ნაჩალნიკ, ვირუჩაი, ვიპუსტი მენია, ატო ია, ზადონხუს ზდეს!“

ციხის ხელმძღვანელობა სარკმლის გისოსებს ხერხავს უკანა მხრიდან და ისე გაჰყავს ყოფილი ქურდი.

ლაკობა რუსეთში კვდება. ამბობენ, მონამლესო.

\*\*\*

— ჩავიდეთ? — მითხრა შახიმ და ოდნავ გვერდზე გადახარა შემელოტებული ჭალარათმიანი თავი.

— სად, წყაროზე? — ვკითხე მე.

— ჰო, ქვემოთ.

ჯვრის მონასტრის კიბესთან ვიდექით, მზე სუსტად, მხოლოდ აქა-იქ ატანდა სქელ ღრუბლებში.

— მე და შენ?

— ჰო, თორე ზოზი შიგნითაა.

— არ მორჩენილა წირვა?

— არა, მუნწო კითხულობდა ლოცვებს, მე რო გამოვედი.

დაბლა გადავიხედე. მშრალი, ზამთრისგან მონითალო-მოყავისფროდ შეღებილი მთების ძირში ორ მღვრიე მწვანე ტოტად ერთდებოდა არაგვი და მტკვარი, პატარა, შავი ნავი ნერტილად აჩნდა წყალს. მენავე ორივე ხელით უსვამდა ნიჩაბს და ნავიც ისე მიბობლავდა, როგორც ის მწერი, საცეცებით რომ დასრიალებს ხოლმე წყალზე. მცხეთის შუაგულში სვეტიცხოველი იდგა.

— წამო, — დავეთანხმე.

ქვის კედელში გაჩენილ ფართე ღრიჭოში გაძვევრი, გადავბიჯეთ ღამის მიწაზე განოლილ მავთულის ღობეს, შავი კაბელოთ რომ მიემარებინათ კედელზე და დაბლა დავეყვივით გამხმარი ბურქებით დაფარულ კლდეს, რომლის შუაგულშიც ყვითელ ხაზად მიიკლანებოდა გათეილი ბლიკი. წინ შახი მიდიოდა, უკან მე.

— ანუ ძველები მაგარი მურტალი

ხალხი იყო, ჰო? — ვკითხე შახის.  
 — უჰ, საშინელი, აი, როგორ გითხრა, ორმოცდარვა წლის ვარ, რა არ მინახავს და მასეთი ქუჩის ბიჭები არც შემხვედრია და არც გამიგია, თან ამდენი ერთად — კელატაძე, ხაბულიანი, შავწვერა, ჩაჩხიანი, ზაალა — წვრილ თითებს ითვლიდა შახი და ფრთხილად მიაბიჯებდა დღემართში.  
 — და ცალთვალა? — კითხვებს ვანეცდი მე.  
 — ცალთვალა?! როგორ იყო იცი?! თან ძმაკაცობდა ამითთან და თან არა, პატარა იყო მაინც ამათხე ძაან. ეხლა ისინი, ვინც ჩამოგივალე კიდე: კელატაძე, ხაბულიანი, ჩაჩხიანი, შავწვერა — ყველანი კლასელები იყვნენ, ბავშვობის ძმაკაცები, თან როგორი? აი, მამებიც რო ძმაკაცობენ! იარაღი ქონდათ, ღუბი და პოროხი ხო ვაბზე, ოჯახები ზურგს უკან მაგარი! მეტი ახლა ბლატაობას რაღა უნდა?! ქურდებს ერწოდნენ მაგრად, განსაკუთრებით კელატაძე და ხაბულიანი, თან ყველა უბან-

ში თავისნაირ ტიპებთან ძმაკაცობდნენ. ავთო რო იყო ცაგურია, იცი? კანონიერი ქურდი, მოკლეს ერთი ათი წელია. აი, ის თავისი ხელით რო ევასებოდა ხალხის ცემა. ეხლა ქურდი ერთ-ორს გაგარტყამს, ჰა, შეიძლება რაღაც გადაგამტვიროს, ეს არა, სიმონ, იმენა თვითონ ლენავდა ყველას, თან ჯანიანი, მთელი ცხოვრება ვარჯიშობდა. ეგეც მაგათი ძმაკაცი იყო. კაროჩე, ეგ სასტავი თუ დაგაფარებდა ხელს, ვსიო.  
 — ჩაჩხიანი?  
 — ეგეც, — თქვა შახიმ. გზა გასწორდა, შიშველი ხეივანის ბოლოში თეთრი ფილებით განწყობილი პატარა მოედანი გამოჩნდა, — მარა ეგ მავნე არ იყო, კელატაძე, შავწვერა, კი. დათვრებოდნენ და მერე ეკიდათ, ეს — არა, სამართლიანი მას იყო, კინოსტუდიის ეზოში პიცერია რო იყო, იქ მოკლა მაგან ერთი, ნიტო ვაკელი, ნიტო ბახტრონიელი ბიჭი.  
 — რატო?

შახი თეთრ პატარა სალოცავში შევიდა, სასთელი დაანთო, პირჯვარი გადაინერა და ისევ გარეთ გამოვიდა.  
 — რატო და მაგის დას „ბრეტელი“ დაახია კაბაზე. თირკმელში დაარტყა დანა უქნიდან და ადგილზე მოკლა.  
 — უქნიდან ტო? მიეპარა? — გამიკვირდა მე.  
 — არა, — თვალები მოჭუტა შახიმ — მგონი, ის გარბოდა.  
 ბეტონის აუზს პლასტმასის მონითალო მილი უფრთხვობდა, გამოვნივ, წყლის კამკამა უფრთხვო ტოტი წვრილ ხაზად დაეკიდა ჰაერში, ჭიქა შევუშვირე, სანახევროდ ავახვე და შახის გაუწოდე, შემდეგ მეორეს დავწვდი, ჩემთვისაც ავიხვე და მოვსვი, მართალი იყო მუნანნიე, წყალს მართლაც რძის გემო დაკრავდა, ხელმოვრედ შევუშვირე ჭიქა, ისევ სანახევროდ ავახვე. წყალი სახეზე შევისხი და სველი ხელებით დავისრისე თავზე ის ადგილები, საიდანაც თმა მცვიოდა. ღმერთი არი, არ

არი, ეგ არავინ იცის, წყალმა კიდე იქნება და გიმელოს, შენი რა მიდის?!  
 — ციხეშიც ჩაჯდა მაგის გამო, — გააგრძელა შახიმ, — ერიდებოდა მაგ ამბის, რალაცნაირად ანუხებდა. არ მიდიოდა იმ ბიჭის უბანში, შიშის გამო კი არა, ვისი უნდა შემინებოდა მაგას?! არა. იმის ძმაკაცებთან ერიდებოდა. იციან, ვინ ვარ და სად ვარ და იქ რო გავიარო, შეიძლება ის გავაკეთებინო, რისი გაკეთებაც არ უნდათ და არც აპირებენო, მითხრა ერთხელ.  
 — ეხლა სად არი ეგ ჩაჩხიანი?  
 — მოკვდა. გაჩხვილას მანქანაში ჩამოეძინა ანთებული სიაგარეტი და ისე ჩაინვა, რო ცხედარი ვერ იპოვეს, თან ზუსტად იმ ადგილას, სადაც ის ბიჭი მოკლა. ნამო ეხლა, წავედიო!  
 მაღლა ავიხედე, ჩაყვითლებული მთის წვერზე, ქვის ნანგრევების მიღმა, ჯვრის უანგაიანი სახურავი მოჩანდა.  
 მუნანნიეც, ალბათ, უკვე დაამთავრებდა ლოცვების კითხვას.

„ცალთვალა“ მერე გახდა, მანამდე გიოს ეძახდნენ, სარუა იყო გვარად. რამდენიმე ქუჩით დაბლა ცხოვრობდა დედასთან ერთად, ოროთახიან პატარა ბინაში. მამა ავარიში ყავდა დაღუპული. დაბალი ბიჭი იყო, თხელი, ქერათმიანი და ცისფერთვალა, აი, ისეთი, მოდნი ჟურნალების ფერად ყდებს რომ ამშვენებენ.  
 დაუნდობელი იყო, დაუნდობელი, მჩაგვრელი და მამაცი. ამბობდნენ, საერთოდ არ იცის შიშო. ეგ კიდეც ის სამი თვისებაა, რომელიც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ხალხს უყვარდეს, ყოველ შემთხვევაში, მოჩვენებით და მაინც.

# ცალთვალა

გლავარს გაელიმა, ორი თითი მოკიდა თურმე ლოყაზე და რბილად უჩქმიტა, თან თავისიანებისთვის უთქვამს, კაი ბავშვი ყოფილაო.

ადგა ეს სუფრიდან — უკაცრავად, ტულაღეში მინდაო. სამზარეულოში დიდი პურის დანა დაითრია, ჩაიდო სვიტრის სახელოში, მოვიდა, დაჯდა და დაღუევა გააგრძელა.

ერთად გავიდნენ ამ გოგოს სახლიდან. სადარბაზოში რო მოხვდნენ, გიომ სახელოდან დანა ამოაცურა, ის გლავარი მოაბრუნა, ერთი ნუთითო და ტარამდე ჩაარჭო მარცხენა მხარში (როგორც მერე გაირკვა ლამის გულამდე ჩასულა ეგ ჭრილობა), ამოაძრო, ისევ შეაბრუნა და ეხლა ზურგიდან, მარჯვენა მხარეს, ბექთან დაარტყა. დანარჩენები გაიქცნენ. მიაგლო ამან ეს ტიპი იქვე და სხვებს გაეკიდა, ერთს დაენია და ქუნაშივე აჩეხა. სამჯერ დაურტყამს — ორჯერ მუცელში და ერთიც ფეხში. ის ნორმალური ბიჭი იყო, თურმე სუფრაზე ამ თავის ძმაკაცებს აჩერებდა. ყველაზე მეტად მაგის დაჭრა არ მინდოდაო, უთქვამს მერე გიოს,

გაუმართლა, ორივე გადარჩა, მაგრამ გიო კერესელიძეებს დაეჯახა, თან მაგრად დევნა დაუნყეს.

ერთი-ორჯერ გამოიჭირეს კიდეც და მოკვლას უპირებდნენ, გიომ „ლიმონკა“ გახსნა (მაშინ უკვე ის მურტალი დრო იდგა და იარაღის შოვნა ქალაქში უპრობლემოდ შეიძლებოდა), მესვრით და ავაფეთქებთო, იმათ შეეშინდათ და გაიქცნენ, შერჩა გიოს გახსნილი ყუმბარა ხელში, სად წაიღებდა?! ეგრეც მისულა ძმაკაცებთან, ამოულია ჯიბეში დამალული, დაბუჭებული, ისამინფრაქცული მუშტი და იქამდე არ გაუხსნია, სანამ თბილისის ზღვაზე არ აიყვანეს და იქ არ გადააგდებინეს წყალში.

ბოლოს მაინც მოიგდეს, მთვრალი მოდიოდა მარტო. ისინი ოთხნი ყოფილან — კერესელიძეები, ბუხარა და ერთი იმათი ძმაკაცი, ჩიპო. უფროსმა კერესელიძემ, რომელიც ძალიან მაგარი მსროლელი იყო, სამჯერ ესროლა, სამივე მოარტყა, მერე თავზე წაადგა ნაქცეულს და თავში დაუმიზნა:  
 — რას შვები, არ მოკლა, — დაუყვირა ჩიპოს, ხელი აუკრავს იარაღზე, მაგრამ ამას მაინც მოუხსნია გამოკვდა, თუმცა შუბლისკენ დამიზნებულ ტყვიას გეზი შეუცვლია და მარცხენა თვალში მოხვედრია გიოს. თვრამეტი წლის იყო მაშინ.

გადარჩა, ექვს თვეში ფეხზეც დადგა, მეტსახელი „ცალთვალა“ დაირტყა და კიდევ უფრო საშიში გახდა. ერთს შემოგხედავდა იმ დარჩენილი ცისფერი თვალით და ძალაუნებურად დაგახრევენებდა თავს, კაცი არ იყო მისი მზერისთვის გაეძლო. ერთხელ მეც შემომხედა ეგრე და სულ ტანში გამცრა.

ერთი შვედი დარბოდა ჩვეთან უბანში. ეგ უცხოელები ხო იცი, რა უცნაური ხალხია, ჯანსაღი ცხოვრების წესი და რამე, თორე ვინ ირბენდა მაშინ ჩვენს ჩაბნელებულ, ერთმანეთში გადაქსაქსულ ქუჩებში მორტებით და ბრეტელეებიანი მაიკით, თანაც ღამით! დიდი ბეხლენი იყო, მოხეული, ქერა.

ღამეა. მე და თიკა ვართ ერთად, მაშინ ჯერ მარტო შეყვარებულები ვიყავით, ვსხედვართ ეზოში ხის სკამზე ჩვენთვის,

ერთმანეთს ვეხვევით, ვკოცნით, ჩაირბინა ამ შვედმა. ეს არი-მეთქი, ვანიშნე. შენ კიდეც მიუბნები, თქვენი უბანი ციხეაო და ამ დროს გაისმა ტყაცანის ხმა, აი, ძვალი რო გადაიმტვირევა, რაღაც ეგეთი. ნამოვბტი, მეთქი, ამ დებილს მანქანამ დაარტყა. გავვარდი გარეთ და რას ვხედავ: ეს შვედი უფროდ აგდია ძირს, გატეხილი ცხვირიდან სისხლი სდის, ცალთვალა ჩამოხლულა და ჯიბეებს უჩხრიკავს, მარცხენა ხელი კი სისხლში აქვს მოთხვრილი. ქუჩაზე მოდიოდა ეს შვედი, რო შეეჩეხა. ეტყობა, ეგრევე გლიჯა მუშტი და გაავარა. მიუხედავად იმისა, რო ეგეთი პატარა და გალეული იყო, მაგრა ირტყემინებოდა.

ნაბიჯების ხმა რო გაიგო, ჯერ შარვლის უკანა მხარეს, იარაღისკენ წაიღო ხელი, მერე თავი ასწია, შემომხედა და რო ნახა, მე ვიყავი, წამოგდა. ამ შვედს მოშორდა და სწრაფი ნაბიჯით გაქრა ჩვენებურ ვიწროუბანში.

ღღემდე მახსოვს ის თვალი, დაუნდობელი და საშიში, გეგონებოდა ყინვის კოცონი ანთია შიგნითო.

ატყდა ერთი ამბავი ამ შვედზე. მილიცია, გამოძიება, ერთი სამჯერ წამათრიეს განყოფილებაში, არ გავთქვი და ვერ გავიდნენ ცალთვალაზე. ხო არ გგონია, მადლობა მითხრა ან რამე ეგეთი? არა, ახლოს არ გამკარებია, არც გამცნობია, უბრალოდ, იმის მერე ვხვდებოდი, რო უბანში ვილაცხვებოდა სხვათაგან, უფრო მეტი პატივისცემით მიყურებდნენ.

პირველი ჩიპო მოკვდა, საკუთარ სადარბაზოსთან იპოვეს შუბლგახვრეტილი, მეორე — უმცროსი კერესელიძე, მესამე ბოქლომად და სულ ბოლოს — უფროსი, რომლის, ღორებისგან სანახევროდ შექმულ სხეულს სანახევრეზე მიაგნეს მილიციელებმა.

ცალთვალა კი აფხაზეთის ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. უბანში ხმა მოვიდა, აფხაზეტს ჩაუვარდა ტყვედ და წამებით მოკვლესო.

არ მახსოვს, ვინ თქვა: მარადიურობდა და მაგაზე დაიჭირესო, ჩემმა ძმაკაცმა ნახა მოჭრილი ყურებისგან გაკეთებული მძივით დადიოდაო და ყველა დაეთანხმა.

დიდი დრო გავიდა იმის მერე. ომი დამთავრდა, დედამისმა სახლი გაყიდა და ჩვენი უბნიდან გაქრა, გაქრნენ ცალთვალას ძმაკაცებიც თუ მტრებიც — ზოგი ციხეში მოხვდა, ზოგი მოკვდა, ზოგი გალთოდა ან გამორჩინესო.  
 მე თიკა შევირთე, სამსახური დავინყე და, ალბათ, არასოდეს გამახსენდებოდა ცალთვალა, რომ არა ერთი ამბავი.

ძალიან დამჭირდა ფული და ჩემს სიმამრთან მივედი სასესხებლად. სახლში იყო, ერთ გამხდარ, ოდნავ შეჭალარავე-ბულ და ჩირვით დამჭყნარ, დანაოჭებულ ტიპთან ერთად სვამდა არაყს. გაიციანი, ეს ჩემი ბავშვობის ძმაკაცი ზაზააო, მითხრა და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

მერე დავსხედით და დაღუევა დავინყეთ, უფრო სწორედ, მე დავინყე, იმათ — გააგრძელეს. ზაზა ძალიან მაგრად დათვრა, ნელ-ნელა უმძიმდებოდა გამოხედვა, ხმელი, დამშრალი ხელები ნერვიულად ეკაკვებოდა მუშტად. ჩემმა სიმამრმა შეამჩნია, რომ დავიძაბე და ამიხსნა — აფხაზეთის ომშია ნამყოფი და ტყვედაც ჩავარდნაო.

— ეხლა რო იძახიან რუსეთი, რუსეთიო, იცი რას გვიშვებოდნენ?! — ბოლმისგან ყელზე ვენები დაებერა ზაზას, — არა, არც ჩვენ ვიყავით ანგელოზები და ნაბიჭვრებს

რა დაღუევი, მარა, მე სადაც ვიყავი, იქ გვყავდა ერთი ეგეთი დედამოტყნული, მისაის ეძახდნენ, დათვრებოდა და მერე ევასებოდა ხალხის ცემა, დაბამდა და ხელით ან ღუბინკით ცემდა ხოლმე გასისხვლამდე... მარა დედა მოუტყენს... ვინ, ტო? თბილისელ პატარა ბიჭებზე ვინც იტყვის, არ უომიათო, სახეში თუ არ შევაფურთხო...  
 — მაგარი ისტორიაა, მოუწმინდე, — მითხრა სიმამრმა და მაგიდაზე დადგა არყის დაცლილი ჭიქა.

ერთ დილასაც გამოგვყარეს მთელი ქართველები გარეთ, თურმე ვილაღ ჩვენებური დაუჭერიათ, ღამე მოდგომია ბანაკს, ლაზიკა გაუყვითებია და თერთმეტი ტიპი ზურგით გაუყვანია გარეთ, აზრზე ხარ, ტო, თერთმეტი! და მეთორმეტეჯერ რო მობრუნებულა ბანაკში და მეთორმეტე მასტი აუკიდა, გაატყენს. თურმე, ეგრევე გაუძვრია იარაღი, ეს ზურგზე აკიდებული დაუბრუნდა, იმიტო, რო სანამ ის სხეუბი მიყავდა, უთქვამს, ჩვენები აქა და აქ არიან და არ ინერვიულო, არ დაგტოვებ, შენც წაგიყვანო. ეს დაუბრუნდა, რო ისინი არ გაეყიდა და ამათვის დაუშვია, მაგრამ ორ ადგილას დაჭრეს და დაითრია. ჰოდა, გამოვიდა ეს მიხაი გარეთ, მთვრალია გაგლეჯილი, თან პირიდან სუნი ამოსდიოდა მაგ დედამოტყნულს, წაგაქცევდა, გამოვიდა და ხმამალა გვეუბნებდა: ნუ შას პასმოტრინე კაკ რასკოლიცა გრუზინსკა-ია პაღლა!

გამოიყვანეს ეს ბიჭიც. პატარაა, ტო, ესე, ლეტ დვაცატ, ქერა, დაბალი, თხელი, ცისფერთვალა, პროსტა ცალი თვალი არა აქვს, ფეხზე ძლივს დგას, ბარბაცებს, დაჭრილი ხო არი, თან მაგარი ნაცემია, მიადგა ეს მიხაი და უყვიროს, ნუ კალისო, ჩვენ ვდგავართ ეგრე, ადგილიდან ვერ ვინძრევით. შეხედა ამ ბიჭმა და დანა და ჭიქა მომიტანეთ და ვიტყვიო. გაუკვირდა მიხაის, მარა ეგრევე მოატანინა... თუ ოდესმე დამავინყდეს, ბოზის დივილი ვიყო... გაიხადა ამ ბიჭმა მაიკა, მისივე ისე და მუცელზე, სისხლი ჭიქაში ჩაასხა, მიხაის ცხვირთან მიუტანა, იოზ ვაშუ მან რუსკი-იო, უთხრა და დალია. ეგრევე გაიყვანეს და, ალბათ, დახვრიტეს, იმიტო, რო მეტი აღარ გვინახავს, მარა იქ ვინც გადავრჩით, ნაღდად მაგ ბიჭით გადავრჩით. ისე ვიყავით, რო უკვე აღარ შეგვეძლო, გვეკიდა, მაგან კიდე...

მაგრად იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა. უბანში ღამით მივედი და ეგრევე ცალთვალას ეზოსკენ დავიძარი. ჩამუშქებულ სადარბაზოში ისევ იდგა ნესტის სუნი, ხის ფარლალა კედლებიდან ისევ ისმოდა ადამიანების მოგუდული ხმები, თუნუქის ნაცრისფერი სახურავების თავზე ისევ იწვა შავი, თბილისური ცა, უბრალოდ ის ბიჭი აღარ იყო აქ, მისგან აღარავინ დარჩენილიყო ამ პატარა ეზოში — არც ერთი მოგონება, არც ერთი წარწერა კედელზე, არავინ, ვისაც მართლა უყვარდა ან უმინოდა.

და მე უცბად დავინახე ის სახე, რომელიც ვინ იცის, რამდენი წელია აღარ მინახავს — დაუნდობელი, მკაცრი, საშიში, მაგრამ ამასთანავე ლამაზი და მშვიდი, აუღელვებლად, ზიზღნარევი ღმილით რომ შესცქერის სიკვდილს, თავისი ერთადერთი ცისფერი თვალით.

ყველა ადამიანში არის რაღაცა კარგი, უბრალოდ პოვნა უნდა. ნეტავი, იმ მიხაიმ თუ გაუძლო ცალთვალას გამოხედვას, თავი ხომ არ დახარა? თუ ოდესმე ისევ შეეხვდი ზაზას, აუცილებლად ვკითხავ.

მე და ლექსები

ჰოი, რამდენჯერ, არდანანებით მე ამომწურეს ჩემმა ლექსებმა! რამდენჯერ შუქი შორი ზმანების მე შემრჩა მხოლოდ როგორც შეგრძნება!

რამდენჯერ უცებ დაემხო რწმენა და შემოდგომას გაჰყვა ხალისი, ან მერამდენედ გაფანტა ზენამ სიტბო არასდროს ნახულ ქალისა!

ო, ნუთუ ნავა ეს სიჭაბუკე და მტირალ გრძნობას ცრემლს არვინ მოწმენდს? ცეცხლებმა გული როგორ დაბუგეს, ნუთუ არავინ იქნება მოწმედ?

ნუთუ ვიშფოთებ და დავინვები მე — თვით ნაწილი ჩემი სულისა, და ციდან დაბლა დანამინები ჩაქრება ფიქრი დასასრულისას?

მე გაზაფხულის სურნელს ვიერთებ, ვარ გრძნობით სავსეც და გაძარცვულიც, ამოუცნობად გავეყურებ ეთერს და მესმის სუნთქვა ვინმე ქალწულის.

მე ვარ ნათელი, როგორც აისი, და იდუმლობით მიმწუხრს მივგავ, მე ალბათ განვვლე ჩემი გაისი და გუშინდელი დღე არ მინახავს.

ჩემს წინ იწყება გზა სამარადო, მე მას ვუღიმი ამ მწვერვლიდან, მე შემიძლია მუდამ ვანათო, ან უცებ გავქრე ყველას თვალიდან.

ნუთუ ჩაქრება ეს სიჭაბუკე და შეუცნობი დავრჩები მოძმეთ? ცეცხლებმა გული როგორ დაბუგეს, ნუთუ არავინ იქნება მოწმედ?

მაგრამ არ ვშიშობ; მთელი სამყარო ცეცხლია, ჩემგან დანაკვესარი, მე შეიძლება ფიქრმა დამლაროს, მაგრამ დიდებაც სწორედ ეს არი.

მე გამიგებენ სხვა აზავებით, რადგან დიდების მადლით ვცხებულვარ, და არასოდეს არ დავმთავრდები, რადგან არასდროს არ დავწყებულვარ!

წვიმა და ფიქრები

ახლა ამ ფიქრების ერთად ამოკითხვას სჭირდება ტიტანი. ადამიანები ცხოვრობენ და იტანენ. გარეთ წვიმს. ხეები იცდიან და იტანენ. არსებობს იდეა. ყველანი იწყებენ და არვის უცდია ბოლომდე მიტანა!

მე ახლა ვფიქრობ ვიღაცის მაგივრად. მაგონდება სოფელი. დღეს მივხვდი, რომ ისიც გულცივი ყოფილა. არ არის გაგება! ცხოვრობენ გულგრილად, და ეს მე სრულიად არ მაკმაყოფილებს.

მე უკვე არ მახსოვს ფიქრების სათავე. ჯიუტად წვიმს. ადამიანები არ არიან ჯიუტნი. თითქოსდა მათ ყველას ვიღაცა მართავდეს. თამაშობენ როლებს და არავის სურს იყოს მართალი.

აკაციები გაილუმენენ. ვატყობ, არ იდარებს. წვიმამ უკვე მთელი ცა ჩამოიტანა. მე ვწუხვარ. ტყუილად არსებობს იდეა: ყველანი იწყებენ და არვის უცდია ბოლომდე მიტანა.

შეღამებისას

შეღამებით (ამოდ ფიქრი ეკეკლუცა ბედს!) მწუხარება ჩააქრობს შთაგონებას უცაბედს. შეღამებით, როდესაც ზეცას ალი ედება, ლაჟვარდები ვარსკვლავთა ჯარით მოიჭედება. შეღამებით თვით მზერა, თუმცა ასგზის ავლესე, კვლავ უმიზნოდ გადარბის ვარსკვლავთ ზღვა სიმრავლეზე, და იქ, სადაც მნათობნი სჩანან ურიცხვ გუნდებად, იგი ვერას პოულობს! იგი უკან ბრუნდება! შეღამებით ძნელია ხოლმე ბინის მოგება, შეღამებით ფიქრს იტანს ეჭვი და გაოგნება. დაღლილ მზერას სივრცეში აღარ გაეხედება, მაინც იგი შორეთში მარად დაეხეტება. ოცნებებო, უფსკრულთა სიღრმეებს ეხამებით, სულის დაიმედება ძნელია შეღამებით!

შალვა საბაშვილი

ო, სასტიკ შემოტევას აურაცხელ ხმებისას უძლებს ჩემი სივრცენი ყველა შეღამებისას...

\* \* \*

ფერი ფერს ერთვის, აჯგუფებს, ჰკონის, ტონი ტონს ავსებს, ჰფერავს და აქრობს, ლელავს ნარევი გრძნობის და გონის, ხსოვნა ფსკერს ფიქრებს ახსნის და აკრობს, ფერი ფერს, ხმა ხმას, ტალღები ტალღებს, ნათელი ნათელს, ჩქერები ჩქერებს დაცლის და ავსებს, აგებს და არღვევს, ძარცვავს და ისევ ამშვენიერებს. ნუხილი ტკობას, ნაღველი ხალისს ერთვის და სულის უნაზეს წყობას მოაფენს ფიქრის, მშვიდის და მფრთხალის, მთრთოლის თუ წყნარის უსაზღვროობას. ფერი ფერს ინვევს, ბგერა ჰქმნის ბგერას, ანთებს, მიღვევს აღარ ანებებს, და ყოველივე მოითხოვს ცქერას, ხილვას, მონუსხვას, აღფრთოვანებებს. . .

ახალ სურვილებით

თითქოს არაფერი აღარ მინდა, თითქოს აღარაფერს აღარ ველი, არ მსურს არც დატკობა ნალართა, აღარც ფიქრი, შუბლის დამლარველი.

აღარც შორეული ჯირითები, აღარც ნახტომები ისართ ხელა, აღარც მდინარეში ქვირითები, აღარც ცისკიდურზე ცისარტყელა.

იყვნენ წლები, მაგრამ ჩაიარეს, იყო საიდუმლო — დაუმალეს, კვალიც არ ატყვია ნაიარევს, არრა აჩნევია ნაურმალეს.

მზერა აღარა ჰკვეთს ცას ლულებად, მალე რექვიემიც დაიწყება, რალა დამრჩენია? — დასრულება! რალა მელოდება? — დავინწყება!

თუმც ხმა ასეთნაირ განსჯას იწყებს, მახსოვს: ასე ადრეც მიფიქრია, მაგრამ დაღლილობამინაინწყებს ფიქრიც უფრო მეტად მიბეგრია;

სრული უარყოფა რას მიქვია! სრული დავინწყება სად იქნება! თუ სულს ლაშქარი და რაზმი ქვია, მწამს, ის უთვალავჯერ გარდიქმნება.

ხშირად დაღლილობაც მოერევა, მაგრამ მაისის თქემს გადაისხამს, ზოგჯერ ნაყოფებიც მოელევა, მაგრამ გაზაფხულზე კვლავ დაისხამს.

შრომას გააგრძელებ ოფლიანი, ვინმემ ბილიკები თუ არია; უნდა გაიშიფროს მსოფლიონი - რა დროს ძიებაზე უარია!

ეს კი - სურვილების ამოკლება, სევდა, ნუხილში რომ ამომავლო,

არის გარდუვალი ძალმოკრება, ჩაფიქრება არის სამომავლო...

გავლენ ეს ნუთებიც. გამოცვლილი ფამი აფეთქდება აისებად, სული, სურვილთაგან ამოცლილი, ახალ სურვილებით აივსება...

აზრის კიაფი

ნივთის კიაფი აზრის კიაფს ვერ შეედრება, თავს ნუ დაკარგავ - შეისმინე ცათა ვედრება!

თვით უნდა იყო შენთვის ელვარ დიდების მფენი, რაც გარეთ სუფევს, ვერასოდეს გახდება შენი.

თუკი არაფრით დაამშვენე სულის ქარგები, კვალს ვერ დატოვებ, სამუდამოდ დაიკარგები.

არაფერს ნიშნავს სამყაროსთვის არსი იაფი. ვერ შეედრება აზრის კიაფს ნივთის კიაფი. . .

ახალ იდეით

დღემდე უხილავ ვარსკვლავთ მმაღავი ამოკიაფდა ცა უთვალავი, ამოვარჩიე ფიქრების გუნდი, სადღაც შორეთში გასალაღავი, მოვიდა უცხო ვინმე ოსტატი, ფერებგადასულ ნივთთა მკალავი, მან მოიტანა აღდგენის სიო და შეცვლის ჟინი დაულაღავი. წინ — უწმინდესი გრძნობები ჩანდა, ცხოვრების ცეცხლზე მოსახალავი, თვისკენ მიხმობდა ათასი მხარე — ყველა ერთურთის იყო მძალავი, შორს ინთებოდა სხვა აღმფრენა, ცისარტყელებად მოსარკალავი, იქვე მეგზურიც იბადებოდა, უვალ მხარეთა გზაგამკვალავი; ჩანდნენ მგზავრებიც, იყვნენ მჭვრეტელნიც, ზოგი — დამხმარე, ზოგი — მთვალავი, ყრმასავით ვიდექ დროის ზიგზაგთან — ახალ იდეით გასამსჭვალავი...

შეღამება შავ ზღვაზე

ეექსინოს პონტოს ეფინება ფერი მომწვანო, საღამო დგება. ფიქრი ითხოვს: მკვიდრად მომწანო!

მჭვირვალი გახდა ახლა წყალი. ჰგავს ფსკერი რიყეს, ხოლო სიღრმიდან ისევ ჩუმი სიბნელე გიყევს.

მჭიდროდ იკვრება ჰორიზონტი, სევდა მატულობს, ჰოი, კოლხეთო, თეთრ ეტრატზე ამოხატულო,

რა არ გადაგხდა! — ისტორიის ბრუნავდა კალო, კვლავ გინერია — ხან წრფით ვლიდე, ხან მრუდი რკალო.

დრო გრიგალია, როცა ავობს, სხვა დროს — ზანტია, კვლავ ზღვით მოდიან — სულ სხვა რომი და ბიზანტია;

რალაცას საშიშს ძალუძს გაჩნდეს თვითეულ ჩქამზე, ვინ მოიხილოს, ხვალ როგორი ამოვა სხვა მზე?

ან კი შემუქდა არე—მარე, ეშვება ბინდი; ახალო ფიქრო, გამანათე, ამომიბრწყინდი!



„მილინკა, დედა ძალიან მოხვია, რომ გამოგეზავნა, არ გაგეცინოს!

პეტარი, ვხარხარებ.“

ჩემი ძმა მწერდა უსაგნოდ და მოუკითხავად. აუდიო ფაილის ჩამოტვირთვისთანავე პირზე შემაშრა პეტარის პასუხად გამზადებული ღიმილი, დედა „უსპავანკას“ მღეროდა. გუშინწინ მეგონა მესუმრა, ინსომნიის გამო ნამლები არ გაიკარო, მე ვიცი, რასაც გამოგიგზავნიო. ნეტა, როგორ წარმოუდგენია, მისი ნამლერი იავნანა მშვიდ ძილს მომგვრის ამაღამ თუ ერთიანად გადმოანგრევს თვალის უბებთან ამოკავებულ ჯვებებს. ერთის მაგივრად ორი საძილე აბი მივიღე და საწოლზე პირაღმა გავიშხლართე.

ისევ ის სიზმარი ვნახე, ვითომ დედა სასონარკვეთილი ბრუნდება სახლში — შვილი მანამ არ გეყოლება, სანამ ვინმე არ გავა გაღმა ჩვენი ოჯახიდან, ისე ამოგვიწურავს სულელების ღიმილი, არავის გავფრთხილებივართ, თორემ მეორე შვილს ხომ აღარ გავაჩენდიო, პეტარზე. მერე ვითომ მამა უთქმელად ტოვებს სახლს და სულელების ბატონთან მიდის, იქნებ რამე გაანყოს, მაგრამ ხელცარიელი ბრუნდება — ათამდე სული ჰყავდა გამომწყვდეული მალაქიტის ზარდახშაში, ისეთი ავები, მეორედ მოსვლას რომ არავინ აღირსებსო. სიზმარშიც ვიცი, რომ სიზმარია, მაგრამ მაინც ვბრაზობ მამის უნიათობაზე. მერე ვითომ დილით გაღვიძებულს დედა აღარ მხვდება სახლში, ფეხშიშველი გავრბივარ მდინარისკენ და ვხედავ, დედა უკვე ნავში ზის, ხმამაღალი, თვალისჩინდაკარგული და უგრძობი, ვერ მხედავს და აღარც ჩემი ესმის, ტუჩებზე ხელი აქვს აფარებული და სივრცეში უმისამართოდ იყურება. რვანი სხედან ნავში, რვავე გაქვავებული გულითა და მზერით. სიმნოსგან ხმამაღლა ვყვირი და მეჩვენება, რომ ნავი კი არა, ჩემი ჯებირი შორდება ნავს. დედა აინუნშიც არ მაგდებს, სული აქვს პირში ჩაგუბებული და ცდილობს, როგორმე მეორე ნაპირამდე მიიტანოს და გზაში არ წაართვან სულით მოვჭრე მეკობრეებმა.

ტელეფონის ზარმა შემაფხიზლა, ძილბურანში მეგონა სახლში ვიყავი, ნოვი სადში. ფეხით დაფუწე ქებნა ჩემი ბავშვობის საწოლის კიდეს, რომ ზემოთ ავწეულიყავი და აბრტყელებულ ბალიშს თავით მივწვდენოდი. კიდე ვერ ვიპოვე და ისეთივე შიშმა შემიპყრო, როგორც პირველად დუნაში შეცურვისას ფსკერი რომ ვერ მოვსინჯეთავე ვიფხიზლებ და სულელივით ვფიქრობ, რომ არასოდეს გავაჩენ შვილს, ოღონდ ყველაფერი ძველებურად იყოს, დედა იცოცხლოს, პეტარის ფეხებზე ვეკიდო და მამას არაფერი გაეგებოდეს ჩემი. რა თქმა უნდა, სიზმარს დედას არც ამჯერად მოუყვები, ისედაც მინიშნებით ცხოვრობს და სულ იმას ცდილობს, მეც დამანახოს სახიფათო კავშირები: თვალს იმიტომ დაგაკლდა, რომ უსარგებლო დეტალებით ინტერესდები; ყაბზობა იმიტომ განუხებს, რომ არაფრის დათმობა არ გასურს წარსულიდან; ინსომნია იმიტომ გტანჯავს, რომ შენი ბიოლოგიური რიტმი აქ აითვალა — ნოვი სადში და არა საათობით დაშორებულ ქალაქშიო.

რომელიღაც კომპანიის აგენტი რეკავდა, რაღაცას მთავაზობდა, ორი თვე უფასოდ, მესამე თვეს ექსკლუზიურ ფასად, დღესვე დამონტაჟებით და მრავალფეროვანი სერვისით. ვისწავლე ჭკუა, უთენია ზარებზე აღარავის არაფერზე ვთანხმდები, თორემ მერე მინევს მობოდიშება და იმის განმარტება, რომ დარეკვისას ჯერ კიდევ გამოღვიძების ჰალუცინაციებში ვიყავი, მეგონა ვილაღე მეკითხებოდა, „ისევ გენატრება ჟანი?“ და მე, რა თქმა უნდა, „დიახ“ ვუპასუხე თუ გიპასუხებთო. ამ ბინაში ერთი კვირის გადმობარებული ვარ და ისედაც ვერ გამოვივა, რატომ მძინავს იქ, სადაც არ ვვასშობ და კითხვას როგორ ვუდებ გულს იმ ოთახში, სადაც ჩაიდნის კივილი არ მიხმობს ყურთასმენას და ჩემი კოსმოპოლიტური კულინარიის არომატი არ იფრქვევა.

ავდექი თუ არა, ელექტრონული ფოსტა შევამოწმე, უსიამოვნო ღამის მერე დღე ჩინებულად დაიწყო — ჩემი აბსტრაქტი პარმელის რენესანსზე ამერიკანისტთა ყველაზე პრესტიჟულ კონფერენციაზე მიიღეს, ნაცნობ ბუკინისტთან კი შემთხვევით აღმოჩნდა დოროტი ვესტის რომანის პირველი გამოცემა! კმაყოფილები-


სგან ჯემპრის სახელურები ხელის მტევნებში მოვიქციე, თვალეები დავხუჭე და გავიზმორე. კოტონიც ამყვა, ხელში ავიყვანე და ყელთან მივიხუტე.

\*\*\*

დანიელ მონტოია აკოსტას სახელზე მოსულ წერილებს ერთ უჯრანში ვინახავ იმედით, რომ ოდესმე მოიკითხავს ადრესატი. დიდი არაფერია, სარეკლამო ფურცლები, ქვითრები, გაზეთები — მოკლედ, ათასი სისულელე, მაგრამ ასე ხელალებით ვერ ვყრი, რამე მნიშვნელოვანი არ გადავაცილოთქო. დანიელს გამო ჩემი საფოსტო ყუთი სულ გადატვირთულია. სადარბაზოში შემოსვლისას, როგორც კი ჭრილიდან ამოწვერილ კონვერტებს დავ-

საოცარი დამთხვევა: რამდენიმე დღის წინ მეტროში სავარძელზე დატოვებულ გაზეთში სწორედ იმაზე ვკითხულობდი სტატიას, რომ ვარსკვლავებში გაუჩინარებული პილოტის დნმ-ი, შესაძლოა, მის მიერ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან გაგზავნილი კონვერტებიდან აიღონ. კიდევ ერთხელ მომხიბლა ძველმა დრომ, როდესაც ენის გასმით დალუქული კონვერტი, შესაძლოა, არანაკლებ ძვირფასი ყოფილიყო, ვიდრე მიგნით მოთავსებული წერილი.

კონვერტის კუთხეში გადაბმული ასოებით, გულუბრყვილო კალიგრაფიით ეწერა „ლილი“. გულწრფელად მომინდა სხვისი წერილის წაკითხვა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო, უფრო საკუთარი თავის მომერიდა. კონვერტი დანიელის თაროზე შევინახე და



რუსუდან რუხაძე

# ღმერთმა დალოცოს ამერიკა!

ინახავ, ვცდილობ გამოვიცნო ჩემ სახელზეა წერილი მოსული თუ დანიელის. ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ვერ ვასწრებ, ყუთის გამოღებისთანავე ისე გაიშლება ხოლმე ძირს მთელი ფოსტა. ჩავიშვებები, კონვერტებს ნამოკვრივ, ზოგს ნიკაპის ქვეშ ამოვიღებ, ნაწილს ხელში მოვაგროვებ და მკერდზე მიხუტებული მიმაქვს ბინისკენ. პირდაღებული და ხელბეჭდვით დასაფარებული კარს ფეხით ვაღებ, ხალხიჩაზე ვყრი დასტას და მეც იქვე ფეხბორთხმით ვვადებ. ყოველთვის მიყვარდა ფოსტის გადაჩრევა, წერილების და მისალლოცი ბარათების კითხვა, განადგურება კი. ბაბუა მეუბნებოდა, წერილის დახვევა უფრო დიდი გრძობის შედეგია, ვიდრე მისი შენახვაო. სულ ჟანის წერილს ველოდები, ნეტა, დახვებ თუ შევინახავ.

ამ დილითაც ცხელ-ცხელი კონვერტები ორად გავანაწილე, მარჯვნივ ჩემები, მარცხნივ კი დანიელის სახელზე მოსული წერილები დავაღებ. ჩემს მოსაწყენ ფოსტას თვალს რომ გადავავლე, დანიელის კონვერტები ხელის მტევნებში მოვიქციე, იატაკზე დაკვრით დასტა გავასწორე და სამზარეულოსკენ გავემართე. მეორე თარო დღემდე დანიელისაა, იქ ვინახავ დახვედრებულ ყავის ჭიქას და მის სახელზე მოსულ უსტარებს. არ ვწუნუნებ, სათავსოები მყოფნის, ჯერ ხომ იმ ასაკში არა ვარ, რომ ძველმანები ძვირფასი ვთვებოდე მექცეს. მესამე კვირა თავდება, ასე ვცხოვრობთ მე და დანიელი, ჩემს წარმოსახვაში საშუალო ასაკის ტანმორჩილი მექსიკელი, შუბლისა და თმის საფარის გასაყართან პატარა ნაკვეთი იარაღი. გადავწყვიტე, ხვალ მის არქივს გამოვიმშვიდოებო და ნავაგში გადავუახხხო. სამი კვირა, ვფიქრობ, გონივრული ვადაა, ფოსტა მოიკითხო, თუკი ის შენთვის მნიშვნელოვანია.

სწორედ მეორე დღეს მოვიდა ნითელი კონვერტი, ზედა კუთხეში დაკრულ მარკაზე ამელია ერჰარტის გამოსახულებით

მთელი დღე ავიკვირებ ფიქრი: ნეტა როგორ იწყება წერილი, „ძვირფასო დანიელ“, არა, „ჩემო ერთადერთო“, ან სულაც, „ყველაფერი დამთავრებულია!“ ნეტა გაბრაზებულია ის ქალი თუ შეყვარებული, იქნებ დედაა ან და, განშორების წერილია თუ პირიქით შერიგების; იქნებ ამ წერილზე ჰკიდია დანიელის ბედი, მთელი ცხოვრება თუ არა, ერთი დღე ან ერთი საღამო მაინც; იქნებ დანიელიც ჩემსავით მარტოსულად გრძნობს თავს და ეს წერილი წერდა ამ წერილს, ერთი ამოსუნთქვით თუ რამდენჯერმე გადახია და ეს მეათასე ასლია; ღამე იყო თუ დღე, სიფრიფანა პერანგი ემოსა თუ თავისივე მოქსოვილი თბილი ჯემპრი ფიფქების ორნამენტით. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ავადგები, თავს ნავაცლი კონვერტს და ერთიანად დასრულდება ჩემი ფიქრები, რომელმაც მთელი დღე ავაზაკურად წამართვათქო.

საშობაო მოპინგისთვის ჰიპერმარკეტს ვერ ავცდი. მძულს კვირის ერთხელ ერთი და იმავე წრეზე სიარული, რომელიც სტაფილოთი იწყება და ტულაღის ქალაღით მთავრდება. იმ დღეს პირველი, რაც ეტლში ჩავდე, კოტონისთვის ახალი თასი იყო, მინი-კაბებში გამოსყობილი თავუნიების გამოსახულებით. მთელი კვირის სამყოფი ყავის იოგურტი, ხილი, ყავა, ჩაი და ათასი სისულელე ვიყიდე, რის მომზადებასაც ხუთ ნუთზე მეტი არ სჭირდება. კიდევ ერთხელ გამიხარდა ბონუს ბარათის გატარებით ზუსტად იმდენის ჩამოყრა, რამდენიც ტაქსის ჩემს სახლამდე სჭირდება ხოლმე. ფული არასოდეს მყოფნის, რადროს დოროტი ვესტის წიგნი იყო! თურმე რუსულ ენაში მამა და ანუ მდიდარი ისაა, ვინც ღმერთთან არის. თუ ასეა, მაშინ მე უღმერთო როგორ გამამდიდრა დანიელის ფოსტამ, რომლის სახელზეც მოსული თითოეული კონვერტი ჩემს სიმარტოვეს

ყოველდღიურად ამოუცნობი სიტბოთი ავსებდა. სახლში დაბრუნებულმა ცელოფნის პარკები სამზარეულოში დავყარე და ძირს დამჯდარმა კრუასანითა და რძით ვივასხე.

\*\*\*

ჭიქა! ყავის ამოყვითლებული ჭიქა, რომელიც სამზარეულოში დამხვდა გამობარგებულს, რატომღაც არ გადავავდე და იმ თაროზე მივუჩინე ადგილი, სადაც ახლა დანიელის კონვერტებს ვინახავ. სწორად მახსოვდა, რომ ჭიქაზე რომელიღაც ორგანიზაციის ლოგო, რაღაც ფრაზა და მისამართი იყო გამოსახული. კარადა სწრაფად გამოვალე და ჭიქის სახელურზე შავი მელნის ლაქა მაშინდა შევამჩნიე. ძველი ყაიდის კაცი ჩანს ჩემი მდგმური, იქნებ სულაც მოხუცია, ისევ მელნით წერს, ხელბეჭდვით ითხუპნის და კონვერტებსაც ენის გასმით ლუქავს — ნელ-ნელა შემომაბერდა დანიელი.

„მზად ხართ მკვეთრი ცვლილებებისთვის?“ — ეს ფრაზა შუანელზე ერთხანად ერტყა ჭიქას. კომპანია, რომელიც პრინტერის კარტრიჯების შევსების საუკეთესო სერვისით იკვეხნდა, ჩემი სახლიდან შორს ჩანდა, მგონი იმ უბანში არც არასოდეს დამიდგამს ფეხი. მითითებული ტელეფონის ნომერი ავკრიფე, გარობოტებულმა ქალმა მამცნო, რომ კომპანია მუშაობას მანვარს აღადგენდა. შესანიშნავია! — ჩემთვის ჩავიბურღელხე ხელმოცარულმა ნაახალწვინი და გვიანებული მეჩვენა. საფუძველსმოკლებული აზრი, რომ წერილს დანიელთან ახალ წლამდე უნდა მივლენია, ვერაფერმა შემაცვლევინა. ინტერნეტში ქალაქის რუკას დავხედე, კომპანიის ოფისამდე მეტროს ორი ხაზი უნდა გამოემეცვალა.

ჩემივე წამოწყებული თავგადასავლით გატაცებულმა ქურთუკი მოვიცვი, ყავის ჭიქა და წერილი ზურგჩანთაში ჩავდე და გზას გავუყევი. ქუჩაში ბიჭები ამ ამბის საუნდტრეკს უკრავდნენ, რიტმულს და ენერგიულს. იქვე კაფეტერიაში შევედი, ქაფქეიქი და ყავა შევუკვრე და ცხელ ჭიქაზე გაყინული ხელები გავილგე. სიტბო ოფისამდე მიმყვა, დაცვის თანამშრომელმაც იგივე გამიმეორა, რომ ოფისი მუშაობას ნაახალწვებს განახლებდა. დანიელზე ვკითხე, კომპანიის თანამშრომელი ხომ არ არისთქო, მაგრამ მის შესახებ არაფერი სმენოდა. შევიპირე, რომ მუშაობის განახლებისთანავე გაარკვევდა მის ამბავს და ტელეფონით შემატყობინებდა. მთლად მომეწონა გული, ლილისა და დანიელის შეუმდგარი საახალწლო ეპისტოლარული პაემნის გამო. ღირდა ამაღლო არა, სასიათი ნამიხდა.

არ ვნანობ, უარი რომ ვუთხარი ქეთრინს მის ოჯახთან ერთად ახალი წლის შეხვედრაზე. საღამოს მომავალი წლის მოსასყიდად სუფრა ტკბილეულით გავანყე და ყავის ჭიქების ნაძვის ხეც დავდგი. გუამით მოხატული ამობრუნებული ჭიქები ერთმანეთზე პირამიდისებურად დავანყე — ხუთი, სამი, ერთი — და თავზე ვანილის სანთელი დავადგი საშობაო ყვავილის ხელოვნური გვირგვინით. თავუნებანი ფილა რძით გავუვსე კოტონს და ისიც, როგორც დღესასწაულებზე მჩვედა, ოთახის კუთხეში კი არა მაგიდაზე დავდგი, იქვე ელაგა ლილის წერილი და დანიელის ჭიქა. ვინ დაგტოვებს მარტო!

სამ იანვარს სამსახურში წასვლამდე დაპირებული ზარი გაისმა. ჩემს თანამშრომელს მარკეტინგის განყოფილების თანამშრომლისგან გამოურკვევია, რომ დანიელს შარშან სლოგანის კონკურსში გაუმარჯვია და კორპორატიულ ფინჯანზე სწორედ მისი ფრაზა ყოფილა გამოსახული, ტელეფონის ნომერი ორჯერ გავამეორებინე და გაზეთის კიდეს მივანერე. „მზად ხართ მკვეთრი ცვლილებისთვის?“ — უკეთესის მოფიქრებაც შეიძლებოდა.

\*\*\*

სამი რამის გამო შეიძლება დავიმეგობრო წიგნი: ყდა, ტექსტი და ავტორი. დღით ჩემ ნაცნობ ბუკინისტთან შევიარე და დოროტი ვესტის Living is Easy წამოვიღე. ვიცი, სათაურის გამო წიგნს თაროზე პირით ჩემკენ დავდებ ცხოვრების შესაძლებლებლად. მოკლედ, ოდესმე თუ წიგნი სადმი დავბრუნდი, აქედან მხოლოდ ბიბლიოთეკას გავიყოლებ. გზად სუპერმარკეტში შე

დასასრული მე-15 გვერდზე

**მეორადი ქაპარი**

ვინ იცის წელზე ვინ ისწორებდა —  
ნაჭდევეების მიხედვით  
პატიოსანი ღიპით დამშვენებული  
ტიპი ყოფილა.

ახლა სად არის?  
თვითონ თუ ფიქრობს ამ ქაპარზე  
აბზინდის ენას,  
ჩემს ნეკნებზე დახვეული,  
ანკარასავით რომ მისავესავეებს,  
და ენატრება ძველი პატრონი —  
ჩამოზვინულ ღიპქვეშ მოყოლილი  
გიგანტური ხელიკი.

**გრიგოლ!**

„დაემხო ჩემი სამშობლო...  
საფლავს ჩავდივარ სიმწარით!“

ფლოქესა სცემს მინას შავი ულაცი.  
გაბრუებული მუავე ბურახით,  
ტირის დენშიჩიკი, თვლემს სამოვარი.  
თარი, თათარი — შავი მსტოვარი.

ცხელი შუბლი და ცივი საფენი.  
ბინდი. სიზმარი. სხვა არაფერი.  
ლოდივით მკაცრი სიპის ბალიში.  
ჩავარდნილია სადღაც კლავიში.  
დაღვრემილია წინანდლის ვარდი —  
სცვივა ფურცელი.  
მერანი გარბის.

კოჭლი დისშვილი.  
იმედი ბერნი —  
სიკვდილს კი არა, სიცოცხლეს ებრძვის.

სამშობლოს ლექსით,  
ურჩ მთებს მახვილით,  
საშვილიშვილოდ თავს დაახსომებ,  
მაგრამ ვერ მოგწვდა გულის ძახილი,  
ვერ დაუაშებ ტატოს ნაწოლებს...

ეს ხვედრი გვერგო, უფრო მძიმდება,  
ორი სტრიქონი ღვთის ნაბოძები —  
გქონდა პატივი,  
გქონდა დიდება,  
საფლავში მაინც ჩახველ გოდებით.

სამარის კართან მაინც გიყელა,  
ხორცი დაადნო, სული დაფლითა  
ზიზილ-პიპილოს ყოველი ღერო  
ჩამოჭკნა, გაქრა შენი დაფნიდან.

დალესტნის გმირო.  
კოცონი გულთან  
როცა ბუგავდა უთქმელ სტრიქონებს,  
ვისაც გესმოდა ყვავილთა სუნთქვაც,  
დისშვილის კვნესა ვერ გაიგონე.

ცოტაც და მინას მონყდა ულაცი,  
სიცხემ ატუსა ბალახ-ბულახი.  
აღსავლის კარი.  
თვალეები ღია:  
— გახსოვს, ყაბახი, „ყაბახი, ძიავ“.

სული ობოლი,  
იმედი ბერნი —  
სიკვდილს კი არა, სიცოცხლეს ებრძვის.

\*\*\*  
გინდა, მაგრამ, ვერაგო,  
ვერაფრით ვერ წამშლი.  
ზუგდიდშიაც ისე ვარ,  
ვით საკუთარ სახლში.

მორთმეულ სავარძელში  
ვზივარ, როგორც მახვში.  
ოდიშშიაც ისე ვარ,  
ვით საკუთარ სახლში.

სხვანაირად რომ მოხდეს,  
თავს მოვიკლავ მაშინ —  
ზუგდიდშიაც ისე ვარ  
ვით საკუთარ სახლში.

\*\*\*  
აუხდათ გულის წადილი,  
ძალი ვედარ ცნობს პატრონს.  
ავანსცენაზე უხმობენ  
ამ ბუფონადის ავტორს.

კვდება სიცილით მელია,  
ვინც დაგვიმგვანა დომხალს  
ცხოვრება — საკვირველია  
კიდევ ცოცხალი რომ ხარ.



ყარს ყვავილების ქვეყანა,  
როგორც ავგიას თავლა.  
ვერ ვათქმევინეთ მტარვალს:  
— მე თქვენი ღირსი არ ვარ!

\*\*\*  
ძალიან შორს და ძალიან ახლოს  
მომძლავრებული გაზაფხული ბალებში ლალობს.

გამოვიზამთრეთ, ციებიან მარტს გაუფქელით.  
ფრთხილად, ფუტკარო,  
არ ატკინო ყვავილს ფურცელი.

ხეთა ჩრდილების კლავიშებზე —  
დინჯი პიანო.  
წვეთი — ჯიუტი მეტრონომი  
ყურთან ხმინაობს.

ტყისპირებიდან ფეხაკრეფით მოდის საღამო,  
რომ ნატკენ გულებს  
იის სუნის წასცხოს მაღამო.

\*\*\*  
გასული საუკუნე — მონყენილი ბებერი,  
ძველი ლიანდაგებით დროის მატარებელი —  
მიდის, მოსახვევებში თავის კუდთან თამამობს,  
კუპეს კარი ჯახუნებს —  
ჩაის ალბათ ყავა სჯობს.

ატორტმანებს მგზავრების ფუჭი აურზაური,  
ბნელ სადგურებს ჩაუვლის გნისათი და ხმაურით.

მხსნელ იმედებს ვშორდებით, რომ გეგონა — მივედით.  
ირგვლივ მთები დამდგარან გულხელდაკრეფილები.

დაჭრილი ნოემბერის აიჭრება ფერები,  
წვეთავს წითლად ძახვილის გადაჭრილი ვენები.  
მოხრჭილ ბორბლებით მკერდზე გადაგივლიან,  
მატარებლის ძრავაში მოჭიხვინე ცხენები.

სადღაც კვამლი ამოდის, ფშვინავს ბაკში მოზვერი,  
ფოთლოვანებს აცვდებათ ჭრელი შესამოსელი.  
მოუხნავი საყანე,  
ცარიელი სოფელი,  
მიჰქრის მატარებელი, შენი უარმყოფელი.

დაეხვევა ტრიბუნას განოლილი პითონი,  
გამოდიან, ფეხს ფხანენ წყვილ-წყვილები, თითონი.

მატრაკვეცა დიქტორი, ვირეშმაკა ცეტობა,  
მისი უმდაბლესობა ლოკავს უმრავლესობას.

მოჭრილ ტოტზე ჭყიპინებს  
ჭორიკანა ჩიორა,  
იცის მალე გაქრება, როგორც კვამლის ფიორი.

ჩვენი მონაპოვარი ავსულების ბუდეა,  
ჩიორასთვის — სამოთხე,  
ჩვენთვის — ნაცარტუტია.

ირგვლივ გაურკვეველი ბედისწერის გზებია,  
ასეთ საქართველოზე მე არ მიოცნებია.

ცრუპენტელოზს ეკრანი, რომ ერთხელაც დაიბნე,  
სადაც არის შიშველი ჩვენი მეფეც გაირბენს.

ისე დაიფხორება ჩვენი დროის გენია,  
საქართველოს ილბლისთვის ვითომ არ ურქენია.

„ჩემი კარგი ქვეყანა“ —  
ფარლალალა გომური,  
სევდა გაურკვევლობის,  
ჯანლი შემოდგომური.

ჩვენი მატარებელი არ წასულა არსაით,  
თურმე დროის ხახაში გაჩხერილა ფხასავით.

მაინც ვითომ მიდიან,  
და რასაც დრო ვალალებს,  
თვითონ ჩაასწორებენ ისტორიის ანალებს.

ტოკავს მატარებელი, ყალბი აურზაურით  
საქართველოს დერეფანს კუდის ქნევით ჩაუვლის.

ნარეკალზე ჩიორამ ხორხი ჩამოიხია —  
ვინც ვერ ხვდება რომ ამას იქით უკვე ჩიხია.

იყო, არა იყო რა,  
სულ ეს არის, რაც არის,  
ჩვენს იმედებს თვალეებში შეაყარეს ნაცარი.

ყალბი სემაფორები რიგრიგობით ქრებიან,  
ასეთ საქართველოზე მე არ მიოცნებია!

\*\*\*  
ჩემო პატარავ,  
ახლა მაინც ვთქვათ  
ის ციხე რომ გატეხილია,

ახლა მაინც გამოტყდი-მეთქი,  
რად მიგვატოვე  
ორი უცოდველი —  
მე და იანერის პირველი თოვლი.  
რად გაგვექეცი,  
თუ შორს მაინც ვერ წახვიდოდი,  
თუკი მუყაოს ყუთივით დედაკაცი დადგებოდი,  
დახლებს უკან გადაფაფხული  
მეორად ნიფხვებში რომ იქექება...

ჩემო პატარავ,  
ნეტავი ტყვია მომხვედროდა და ეგ თითები  
ასეთ დღეში არ მენახა —  
რაც არის, არის,  
ერთი ცალი მეც შემირჩიე,  
ჯოხის ბოლოზე რომ გამოვაბა  
და ქალაქის დასანახად ავაფრიალო...

ფრთებდაჭრილო ჭიამაიავ,  
ამ ხვედრისათვის რატომ გამწირე,  
ჩემი ალალი ხელისგული რად მიატოვე,  
გულცივ, მეორად დედაკაცად რატომ იქეცი...

აბა, ყოჩაღად,  
ხორცილ დამძიმებული მკლავები  
დაურიე, დაურიე,  
ემაც ტომარამ  
ოქროს თევზი იქნებ ამოაგდოს!..

ჩემზე რაღა ვთქვა —  
საფანელი ნლების ილევა.  
უკვე გასაღებდაკარგული ძველი კლიტე ვარ.

და ვგრძნობ, თანდათან, რაც უამი გადის,  
გულის ზამბარებს როგორ ღრღინის ჟანგი...

ჩემო პატარავ!..

**კუნძული**

კრიგოლ რუხიას

ამ ყრუ კუნძულზე ხელახლა რომ გადმომასახლეს,  
ჩემი ჩამოსვლა ჩემნაირი „კატორღელის“  
დაკრძალვით აღინიშნა.

ისიც, ოდესღაც,  
სკოლადამთავრებული ბოროლა,  
თავის ბავშვობას მოწყვიტეს და გადმოისროლეს,  
რათა ბოლოს,  
ძალაყინებით ამოტეხილ „ლოტკინის“ ქვა-ლორღებში,  
თავისი ძვლები ჩაეფიცებინა —  
წავიდა კაცი,  
პირზე შეახმა ღიმილის ყვავილი,  
ზამთარ-ზაფხულ მოლაღანე, წრფელი, ალალი,  
და როცა თავის არსებობას  
წააფარა მიწის საბანი,  
მაშინ მივხვდი —  
გადაშენების გზაზე დამდგარი,  
ჩვენ ვართ ბიზონები,  
აი, ისინი, ვინც ოდესღაც  
კუნძულს თავისი ველური, მაგრამ  
ლონიერი სისხლი რომ გადაუხსეს  
და ეროზიისაგან იხსნეს...

ვიცოდე მაინც, ხელმეორედ რად გამიხსენეს —  
არა, მადლობის მოსასმენად არ მომიყვანდნენ,  
არც ჩემს სახელზე დაწულ გვირგვინს დამახარებენ,  
მთავარ ქუჩაზე რკინის გალიით  
მეამბოხეთა ბელადივით,  
უფრო იმიტომ ჩამატარებენ,  
რომ მაგრძნობინონ, როგორ უცხო ვარ ამ გნიასისთვის,  
დავიწყებულია ჩემი სისხლის ამაგი,  
ისინიც ვერ გამიხსენებენ,  
ახლა ასაკის ფულუროებში რომ შეყუჟულან,  
სამაგიეროდ ხელისგულებს ჯერ კიდევ ახსოვთ  
მათი მკერდის და წელის სინორჩე...

გამიუცხოვდა მყუდრო ქუჩაბანდები,  
შავი „ჯიპების“ ნახირი —  
კორიდისაკენ გამოქცეული ხარებივით შემოცვნილები —  
ამაგებენ  
აბრდღვიალებული ფარების შუქზე...

მაინცდამაინც მეგობარი უნდა მოგიკვდეს,  
რომ მიხვდე, ყველას, სათითაოდ,  
მკაცრი დრო-ჟამი  
მოსატეხად რომ გვეჯაჯგურება?..

უცხოა, უცხო ახლა უკვე აქ ყველაფერი —  
არც მე მიყვარს და არც მე ვუყვარვარ —  
ასე უფრო იოლია ყოფნაც და წასვლაც...

მე ამ კუნძულზე...

\*\*\*  
ბალახზე ცვივა ჩამტკბარი თუთა.  
ბოსლის სარკმელში სანათი ბჟუტავს.

ორი დღის ბატკანს ბულული მალავს.  
შემოჰყოლია მზის სუნი ბალახს.

ურდულს აღვიძებს კარის ჭრიალი,  
რძე აქაფდება სათლში ჩხრიალით.

რა ნაცნობია ეს იდილია —  
გაბრწყინებული, როგორც იმ ღამეს,  
ბაგაშიც თივა ისე თბილია,  
თითქოს ახლახანს  
ყრმა იესო ამოიყვანეს.

**დილა პარკში**

უკეთესს რას ნახავს თვალი სასაიროს,  
მოჰყავთ პატრონები ძაღლებს სასაიროდ.

ღაღღავებს სტაფი და უხეში, დიდგული,  
ბილიკზე ენევა დედაკაცს პიტბული.

ყეფით ადევნებულ, ბაფთიან ფინიას  
შამპუნით განბანილ პუდელის ჟინი აქვს.

მკაცრი, შეუვალი, როგორც ფელდფებელი,  
წარბებდაფანჩული ბულდოგი, ბებერი.  
აფრთხილებს ლაიკას:

— როტმისტრო ნიკანდრო,  
თავის გაყადრება არც უნდა იკადრო.

გახსოვდეს, უჯიშო დარჩება უჯიშოდ,  
ამ ბანძებს მალალი ნოდების ბუში სჯობს!..

ცალკე დანანალებს ქართული ნაგაზი,  
უკვე გადაქეჩილ, ძვალს ეძებს ნაგავში.

და უცებ ნაღველი ყელს გადაუკეტავს,  
როცა ყოფილ პატრონს შეხვდება ბუნკერთან.

რა მოხდა, პატრონი რამ გააღატაკა —  
სინანულით უმზერს ბერიკაცს ამაგდარს.

განწყობილება პარკში საზეიმო,  
მოჰყავთ პატრონები ძაღლებს სასაიროდ.

ძველებს ემატებათ ახალი შევსება,  
არ უკვიროთ, ხვადი ხვადს თუ ეალერსება.

რა მოხდა — ძუ-ძუსთან...  
ყეფით და მალაყით,  
ირყვება, გიჟდება პატარა ქალაქი.

სულ გაუცხოვდა და სულ გაუდაბურდა,  
თავისი ძაღლი და კაციც აღარ უნდა.

ორივე, ქვეყნისთვის, ზედმეტი ბარგია,  
ჰოდა, გულნატკეპნი პარკიდან გარბიან...

როცა უცხოტომელ ძაღლებს, დაკუნთულებს,  
სძინავთ ნოყიერი ვახშმით დაბურთულებს,

უსმინე, გაბმული ყმუილით ნაღვლიან  
ქალაქს რომ აფხიზლებს, ერთგული ძაღლია.

\*\*\*  
მეც გავიხსენე ბავშვობა,  
გული ჩამიდგა საგულეს,  
მუხლებზე ქილა დავიდგი,  
მანონში პური ჩავგულე.

არავის არ მიეთავაზე,  
მარტო შევექეცე, ვინუნკე,  
ცხვირ-პირი ამოვიგუნგლე,  
პერანგი ჩამოვიწუნე.

სოფელი დგას და იცინის,  
ხორხოცით ლუკმებს მითვლიან.  
სუყველა დაცოცხლებულა,  
ვინც დღეს შავეთის მკვიდრია.

არც ის მანონი,  
არც ქილა  
და არც ბავშვობა არ მინდა,  
თუ ჩემმა ნატვრამ ოცნების  
ცაზე არ გაიამინდა —

გალიმებული დედილო  
მინდა ცოცხალი ვიხილო,  
წყალგალმა ამოღერილი,  
როგორც მაისის ღილილო.

\*\*\*  
ხელში ჩამხმარმა, მინდვრის ბალახმა  
გამახსენა, რომ ის აღარა ხარ.

წვიმამ, რომელმაც გადაიარა,  
ქარმა, რომელმაც გადაიქროლა.  
თვალეები, დილის ნამზე კრიალა  
დაუკითხავად თან გაიყოლა.

მერე რაა რომ მახსოვს ის ქარი,  
გასროლილია უკვე ისარი.  
გადავლილია უკვე ის წვიმაც,  
გამოიღვიძე,  
მორჩა სიზმარი.

**მწარლავის ძვრივაზი**

მწერლურ არქივის მძიმე ქანებში  
აღმოსაჩენი ჰყავთ გილგამეში.

როგორც ფირფიტა, ძველი კანრებით,  
უცხო სტრიქონით ან მინანვრით.

აღმოსაჩენი ქმრების გენია  
იქ ეგულება ყველას უკლებლივ.  
ამისი მეტი რა დარჩენიათ  
ბანკის ქონება თუ ზანდუკები.

ექებენ „ლუპით“, კალმით სათვალთ,  
ბოლო, ერთგული მცველები განძის,  
და თუ იმედს ვერ ათავთავებენ,  
დამტვერილ ფურცლებს ნაღველი აწვიმს.

მაინც არჩვენ, წიგნად კინძვენ —  
დღეს არა, ხვალე მაინც წინ წავლენ.


დაფათურობენ მათი თითები  
ქმრების არქივში, ვით შეთქმულები,  
რომ მოარჩიონ სურნელოვანი  
მეტაფორების მსუყე დუყები.

მაგრამ ძუნობენ უცხო შრეები,  
მათი წვალეზაც გაუფასურდა,  
ხელმოცარული მეხანძრეები —  
დგანან ქვრივები ჩამწვარ წარსულთან.

\*\*\*  
ველარ რეკავენ შენი ზარები,  
სულში ნაღველით,  
გულზე ბზარებით,  
ძვლების ჩხრიალით,  
მუხლში ქარებით  
მიემგზავრები, მიემგზავრები.

სული დათრგუნე, ხორცი დაღალე,  
წლების ნაჭუჭი გზაზე დაყარე,  
მხოლოდ გამჩენმა იცის, ბოლომდე,  
ვინ დააღონე, ვინ გაახარე.

ღირდა სიცოცხლე? —  
კითხვა განვალეხს  
ვით დასაცლელი შხამის ფიალა.  
ღირდა, მხოლოდ იმ სიყვარულისთვის  
ერთხელ გულში რომ შეიფრთხილა!



ხშირად მემართება ასე – ვისთანაც ახლო ვარ, არ მაგონდება, ზუსტად სად და როდის გავიცანი. მგონია, დაბადების დღიდან ერთად ვიყავით. ამგვარი განცდა მაქვს ზურაბ კიკნაძის მიმართაც. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და ვერ ვიხსენებ, უსიამოვნება მოგვსვლოდეს, რაიმე ხინჯი ჩამრჩენოდეს გულში.

უფრო უნივერსიტეტში შევეთვისეთ ერთმანეთს, როცა იგი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს ამთავრებდა, მე კი მასზე ორი-სამი კურსით უკან ვიყავი და ფილოლოგიურზე ვსწავლობდი. ყოველთვის მანცვიფრებდა ზურაბის ინტერესთა უფართოესი არეალი და მისი იმეოთი უნარი – დიდიდან სადამომდე თავაუღებლად მჯდარიყო მაგიდასთან, წიგნებში ჩაფლული, ნაირ-ნაირი ლექსიკონებით გარშემორტყმული.

მისდამი ლტოლვას და თანაგრძნობას ისიც აძლიერებდა, რომ ორივენი უმამოდ ვიყავით გაზრდილები; ჩვენს დედებს, სხვნიებს, ერგოთ უმძიმესი ხვედრი, ორ-ორი

ზურაბი დროის უმეტეს ნაწილს საწერ მაგიდასთან ატარებდა, მაგრამ გალაღობაც არანაკლებ უყვარდა, სამეგობრო სუფრასაც ხშირად უჯდა. ჩვენი უკვე შორეული წარსულიდან ერთი რამდენადმე საჩოთირო და, ცოტა არ იყოს, ზულიგნური შემთხვევა მინდა გავიხსენო. მთავარი დამნაშავე მე ვიყავი და სხვები, სრულიად ალალ-მართლები, ჩემი ახირების გამო დაისაჯნენ. ეს მოხდა ერთი წლით ადრე, ვიდრე უნივერსიტეტს დავამთავრებდი. ზურაბი მაშინ აკადემიკოს გიორგი წერეთლის წარმატებული ასპირანტი იყო და დიდი მომავლის მქონე მეცნიერად თვლიდნენ, რაც შემდგომ საესებით გაამართლა.

ახალ წლამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი. საერთო მეგობარმა გოგი გაჩეჩილაძემ, შობის დღესასწაულის შესახებ ვედრად, თავის სახლში, ასათიანის ქუჩაზე დაგვპატიჟა. ზურაბის გარდა იქ იყვნენ შოთა ჩანტლაძე, არლი თაყაიშვილი და გივი შაჰნაზარი. გოგის დედა, სიკეთით სავსე დედა ქსენია, დიდებულად გავი-

მოდან მომავალი მანქანის ფარებმა მომჭრა თვალი. მივხვდი, ცუდად იყო საქმე. პირველად დაწინაურებულს მიადგნენ, მკლავში ხელი ჩაავლეს და ღია კარისკენ წაუბიძგეს. გივი აღრიაღდა – იმ პირობით ჩავჯდები, თუ ხარფუხში წამიყვანთო. ხარფუხში კი არა შავ ჭირში წაგიყვანთო, შეუღრინა რომელიღაცამ და მუხლით შეტენა მანქანაში. მერე იმას არლი და ზურაბი მიაყოლეს. ჩემთვის აღარ იყო ადგილი. მე ორი შავგვრემანი ტიპი ამომიდგა იქეთ-აქედან, შუაში მომიქციეს, მაგრამ უხეშად არ დამლაპარაკებინ, პირიქით, დამიყვავეს. ერთმა, შედარებით სიმპათიურმა, გვარი მკითხა, ვუპასუხე. გამიცინა, ბიჭო, ჩემსავით გურული ყოფილხარ, მე მენალარიშვილი ვარო და ნამუსზე შემაგლო – რა გინდოდათ, რას ერჩოდით იმ მახინას, რა დაგიშავათ, ამ შუალამეში რომ დააგორეთო. ვუთხარი, რომ ოდნავ შევახეთ ხელი, მოულოდნელად დაიძრა, ჩვენი თვითონ გავიკვირდა-მეთქი. გაციინათ, კაი ახლა, მაგნაირი ზღაპრები სხვებს მოუყევიო. ამასობაში ბოცვაძის ქუჩის

სო. ამან ისევე დამაფრთხო. გათენებისკენ ჩემმა დამწყვეტულმა, სიცივისგან გათოშილმა მეგობრებმა საკნის კარს მუშტები დაუშინეს, გამწარებულები ღმუღუნენ. მორიგეს ვუთხარი, აქ ნულარ მამყოფებო, მეც მათთან ერთად უნდა ვიყო-მეთქი. ეს მალე მოხდებო, მიპასუხა და ჟურნალში რაღაცის წერა დაიწყო.

მართლაც, სამივენი სამორიგეოში შემოიყვანეს, ტიხართან დააყენეს. არლიმ გამგმირავი მზერა მესროლა. გაყინულს, ღამენათევს, თვლები ნაკვერჩხლებით უელავდა – კვიტიანიშვილო (სახელი არ უხსენებია), ეს რა იკისრეო, მომადახა, კინალამ სახეში შემაფურთხა.

მილიციის უფროსის მითითებით, ახსნა-განმარტებები ჩამოგვართვეს. ყველაზე სუფთა ქართულით, ლიტერატურულად, როგორც მახსოვს, გივი შაჰნაზარმა დაწერა თავის არხა. ის დაგორებული კოჭა გორგოლაჭად იყო მოხსენიებული. ამაზე ბევრი ვიცინებო. ჩვენმა გულგახეთქილმა პატრონებმა შუადღისას შეიტყვეს ყვე-

# ემზარ კვიციანიშვილი ერთად ბატარაბული წლები

## ზურაბ კიკნაძის გვერდით

შვილისთვის გაენათ პატრონობა. დღენიადგ მოფუსფუსე, უაღრესად ყურადღებიანი დედა ნინა წულუკიძის ქალი იყო, გაცრეცილი, პატარა ტანისა, ჟურნალ „მნათობის“ ძველი თანამშრომლის, კრიტიკოს ვანო წულუკიძის და.

მამაჩემი პროფესიით ბავშვთა ექიმი, 1956 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან, ზურაბის მამა კი, საუკეთესო ინტელიგენტი, დიდად განათლებული პიროვნება, ლიტერატურის, პოეზიის უსაზღვროდ მოყვარული, ოცდაჩვიდმეტი წლის სისხლიან რეპრესიებს ემსხვერპლა. კიკნაძეების ოჯახი მთანმინდის მახლობლად მალალოზზე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარისა ქუჩაზე ცხოვრობდა და ვინ მოთვლის, იმ პატარა, განაპირა ბინაში რამდენჯერ ვარნამყოფი. მათ მოპირდაპირე მხარეს ჩემი ასევე უფროსი მეგობრის, რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი ცნობილი ფილოლოგის, რეჟაზ ბარამიძის სახლი დგას. ნაკითხული მამკვს რეზოს მამის, გრიგოლ ბარამიძის (ისიც ცნობილი ლიტერატურათმცოდნე გახლდათ) მცირე მოგონებები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ეპიზოდი – შუალამისას როგორ დააპატიმრეს მისი მეზობელი, ზურაბის მამა. შინსახკომელები, ჩვეულებრივ, წინასწარ შერჩეული მსხვერპლის დასაპატიმრებლად ასეთ დროს მოდიოდნენ. ბატონი გრიგოლი ღამით მანქანის გაბმულ ღმუღს გაუღვიძებია და დაფეთებული მიჭრილა მესამე სართლის ფანჯარასთან, ჩემს ასაყვანად ხომ არ მოვიდნენო (მაშინ თბილისში თითო-ოროლა ასეთი მანქანა დადიოდა, ავად სახსენებელი შავი „ემადინი“ და მისი გამორჩენა ყველას თავზარს სცემდა). „დაუპატიჟებელი სტუმრები“ კიკნაძეების სადარბაზოში შელაგებულან და ცოტა ხნის მერე კიდევაც გამოუყვანია ოჯახის უფროსი – იმ ჯოჯოხეთური უწყების მანქანაში ჩაუსვამთ და დაღმართზე დაქანებულან. ამის მოხრობელი გრიგოლ ბარამიძე წერს (არ ვიცი, რა დავარქვა ასეთ გრძნობა) მივხვდი, გადარჩენილი რომ ვიყავი და ამოვისუსთქეთო. როგორი დათრგუნული უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, რომ ასეთი რამ გაეფიქრებინათ. პროფესორ გრიგოლ ბარამიძეს შეუძლებელია გახარებოდა კეთილი, ყოვლად უწყინარი მეზობლის დაპატიმრება, მაგრამ იმ ავბედით მანქანაში თვითონ რომ არ შეამწყვდიდეს, ამან დაამშვიდა, ერთგვარი შეება მოჰგვარა.

ცხოვრების გრძელსა და ძნელ გზაზე ზურაბმა და მე დავეკარეთ მისავალი ძვირფასი ადამიანი, რომელიც სახლში გვახარებდა და გვახალისებდა. რაღას ვიზამთ, მოგონებებში-ლა უნდა ვაცოცხლოთ ისინი და მოვეფეროთ, შესაფერი პატივი მივაგოთ.

მასპინძლდა. ოჯახის უფროსმა, ასევე დიდად კეთილმა ადამიანმა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა, ლიტერატურის თეორიის ჩინებულმა მცოდნემ, შესანიშნავი სახელმძღვანელოს ავტორმა სიმონ გაჩეჩილაძემ (მისი დაუვინყარი პორტრეტი შესაშური ოსტატობით არის დახატული ოთარ ჩხეიძის მოგონებათა მშვენიერ წიგნში „ჩემი საყვანე“) რამდენიმე სადღეგრძელო შესვა ჩვენთან ერთად და სასიამოვნო დროსტარება გვისურვა, თავის სამუშაო ოთახში შეიკეტა.

ჩვენ თანდათან შევედით ეშხში და ნამეტანი გაუტყით. ბოლოს დიდი თერმოსის სახურავით დავინყეთ სმა (ჭინჭილები და ჯამები აღარ ვიკმარეთ) და ამკარად გადავფრეთ. ღამის პირველი საათი იქნებოდა, საბურთალოდან რომ წამოვედით. ქუჩაში მძლოლებმა შეგვატყვეს, შეზარხომებულები რომ ვიყავით და მანქანას არ გვიჩერებდნენ. ხმაურითა და ღრიანცვლით მოვალნიეთ ზოოპარკამდე (მრგვალ ქვებს ფეხს უურტყამდით, ჩვენი ჭკუით ფეხბურთს ვთამაშობდით). იქ ორმა მილიციელმა გაგვაჩერა, კაცურად დაგვარიგეს — ბიჭებო, უფროსები, ღარიბაშვილი და შელია არიან შემოვლაზე, ფრთხილად იყავით, რაიმე ხიფათს არ გადაეყართო. ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ კეთილ რჩევას. შოთა ჩანტლაძე მელიქიშვილზე ცხოვრობდა, ღვინის ქარხნის წინ, გამოგვემშვიდობა და ვარაზის ხევს აუყვა. ამან გადაარჩინა უსიამოვნებას.

ოთხმა განვაგრძეთ გზა, თან ძველებურად ვხმაურობდით. ვერის ბალის შესასვლელს რომ მივალნიეთ, დავინახე ხის ვეებერთელა ცარიელი კოჭა (მერე გავიგე, თურმე 750 კილოგრამს იწონის), რომელზედაც მსხვილ, საკომუნეკაციო რეზინიან სადენებს ახვევენ ხოლმე. კოჭა (რუსულად „კატოკს“ რომ ეძახიან) წინა მხრიდან სილაში ჩაფლულ აგურებზე იყო შეყენებული. ამას აქ რა უნდა-მეთქი, წამოვიძახე და აგურები გამოვუშალე, უკნიდან მივუდექი და მივანექი. არლიც წამომეშველა (ჩემი არ იყოს, იმასაც თავის ბინამდე მისვლას აღარაფერი აკლდა, ორივენი პეროვსკაიაზე ვცხოვრობდით) მართალი ხარო, დამეთანხმა არანაკლებად ალგუნებული და აყიყინდა. კოჭა დაიძრა, არახრახნდა და თავდაღმართში თანდათან სისწრაფეს უმატა. სამშობიარო სახლს რომ გაუსწორდა, თითქოს რაღაცა ძალა მართავსო, გადაუხვია, გასწორდა და გამალეებით დაეშვა თავქვე. ვიზარე, კარგი ამბავი რომ არ მოხდებოდა და ბიჭებს ვუთხარი, სასწრაფოდ ბაღში შევცვივდეთ, დავიმალეთ-მეთქი. არ დამიფერეს, ხელი აიქნიეს. გივი შაჰნაზარი ჩვენზე ათიოდენაბიჯით წინ იყო წასული. ამ დროს ქვე-



მოპირდაპირე მხარეს, კუთხეში მოთავსებულ მილიციას მივადექით.

პაპიროსის კვამლით გაბოლილ მოზრდილ ოთახში რომ შემეყვანეს, იქ ყურისნამლები ღრიანცელი იდგა. ჩემი დაკავებული მეგობრები თურმე კატეგორიულად უარყოფდნენ წაყენებულ ბრალდებას, კოჭა თვალთაც არ გვინახავს, რაებს გვწამებთო. ის ჩემთან გაშინაურებული გურული კაცი სამორიგეოში მყოფ გენერლებს გამოეჭიმა – უფროსებო, ყველაფერი გარკვეულია, მავათ ნულარაფრის ეკითხებით, ავერ პატიოსანი კაცი მოვიყვანეთ, ყველაფერი აღიარაო. სამივეს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ხმა ვეღარ ამოიღეს. არ ვიცოდი, რა მექნა. ისინი გაიყვანეს და საკანში დამწყვედიეს. მომესმა რკინის კარი ჯახა-ჯუხი. ცუდად გავხდი. მე ცალკე, პატარა, თბილ ოთახში შემეყვანეს, ჟურნალები დამიწყვეს, გადაათვალიერეთო. საწოლი რომც მქონოდა, რა დამაძინებდა. მაგიდაზე თავჩაქინდრული ვიყავი, სანამ გათენდებოდა. აფორი-აქებულს ათასნაირი ფიქრები მიტრიალებდა გონებაში.

კიდევ კარგი, ამ თავანყვეტილ საქციელს მსხვერპლი არ მოჰყოლია. მილიციის ახლოს მომლოდინე გენერალ ღარიბაშვილის მძლოს, რომელიც ბედად ფხიზლობდა და გაზეთს კითხულობდა (ხომ შეიძლებოდა ჩათვლემოდა), საშინელი ჭახჭახი გაუგონია, დაუნახავს, როგორი უბედურება მოექანებოდა მისკენ, ხელად დაუქოქავს მანქანა და გვერდზე გადაყენება მოუსწრია. ის გამოქანებული კოჭა ჭადარს შესკდომია, გეზი უცვლია, მილიციის უფროსის, პოლკოვნიკ მათიაშვილის მანქანისთვის გაუკრავს წინიდან, კარბურათორი ჩაუჭყლეთია (ამლათვის მერე, სასამართლო უწყებით, ცალ-ცალკე გადაგვახდევინეს ფულადი ჯარიმა) და, ბზრიალ-ბზრიალით, ბოცვაძის ქუჩაზე გაჭრილა, იქ მოუდენია ზღართანი. კარგა ხანს ეგდო შუა ქუჩაში.

მილიციის ერთ-ერთ თანამშრომელს შევეკითხე, ხნერ კაცს – რაიმე სასჯელი ხომ არ გველია-მეთქი. არა, ბედი გქონიათ იოლად გადარჩებითო, მერე მორიგემ ვილაცის სატელეფონო ზარს უპასუხა — ბოროტი ხულიგნობა ჩადენილი და რამდენიმე დამნაშავე დაპატიმრებული გვყავ-

ლაფერი და ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. არლის თავისმა ცოლმა, ჯინარომ, თბილი პიჟამო შემოუგზავნა. დახუფული ქვაბებით ნაირნაირი საქმელები მოჰქონდათ, დიდ პატივში ვიყავით, ჭამა-სმა არ გვაკლდა, მაგრამ დამლაშობით გვიჭირდა, სიცივე სულს გვამოხრებდა. საქონლის ბაგასავით ამალელებულ ხის იატაკზე ვეყარეთ და თავები ერთმანეთის ფეხებზე გვედო, გათენებამდე წრიულად ვბრუნავდით.

გენერალი ბოჩია შელია, მინისტრის მოადგილე, ფოთელი კაცი იყო, დედაჩემი ბავშვობიდან იცნობდა, მისულა მასთან სახლში და შეხვეწინა, ეს ბიჭები არ დალუპოთო. იმას უთქვამს – შენს შვილს ეტყობა, ოჯახში რომ არის გაზრდილი, დანარჩენებმა ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება, დაწყნარდი, ყველას მალე გამოეშვებო.

არლი ნამეტანი ღელავდა – ჩემზე ორსამ დღეში აკადემიიდან შტატი უნდა დაუშვან, მე აქ ვზივარ და ვაითუ ჩემს მაგივრად ის შტატი სხვას მისცენო. ვანყნარებდი, ინსტიტუტში ყველას უყვარხარ და ასეთი რამე არ მოხდება-მეთქი. მართლაც, სიმნრით მოპოვებულ არლის შტატს საფრთხე არ დამუქრებია.

რანაირი შემთხვევის მომსწრენი არ გავხდით იმ ხუთ დღეში. ერთხელ ახალგაზრდა ებრაელი ბიჭი შემოაგდეს ჩვენთან, გვარად მიხელაშვილი, ძალიან მიაშიტი, ოდნავ ქერქეტიც ჩანდა. ცირკის კიბესთან რომელიღაც ლამაზ ქალს გაარაშიყებოდა. ის ქალი თურმე ქმარს ელოდა. მოსული ქმრისთვის ეთქვა ცოლს, ეს აბეზარი გადამეკიდა, არ მასვენებსო. იმანაც მოშორებით მდგარ მილიციელს გააცნო ვითარება. კანონის დამცველმა არც აცივა, არც აცხელა, მოტოციკლეტში ჩასვა მორიშიყე და ჩვენთან მოაგრილა. დაკავებულმა დაკითხვისას თავისი ნამდვილი გვარი დამალა, ეშინოდა მის ოჯახს უეცრად არ დასცემოდნენ. ვინაობის დადგენის მერე ეს უწყინარი ხრიკი ცალკე დანაშაულად ჩაუთვალეს და აქტი გაუშანშალეს. ჩვენთან შემოყვანილი ნერვილოზისგან ცმუკავდა და დავეთათბირა. თავი რომ გაგვერთო, ზურაბმა და მე ჩუმად მოვილაპარაკეთ და იმ გულუბრყვილო ებრაელს ვუთხარი: თუ საკნის მეთვალყურე კარის ჭუჭრუტანაში სტაფილოს

წერილი შემოიკრიბა, შინი საქმე კარგად წავა, თუ ჭარხალი გამოაჩინა, ეს ცუდის ნიშანი იქნებაო. დაგვიჯერა საწყალმა და მთელი საათი იმ მრგვალ სამეთვალყურეო ჭურჭლთან იყო მიმტერებული. ერთი თვის შემდეგ შემხვდა ქუჩაში და მითხრა, რომ მისი გამოხსნა პატრონს კარგა გვარიანი თანხა დაჯდომოდა.

ერთ საღამოს ჩვენი ოთხეული მილიციის ხელმძღვანელობამ ყაჩაღური შემთხვევის გასახსენლად გამოიყენა. ჩვენთან შემოიყვანეს ოციოდე წლის მაღალი, ქერა ყმაწვილი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი აღმოჩნდა, ოზურგეთელი, გვარად სურგულაძე. მთვრალი საღამოხანს ტროლეიბუსის გაჩარებასთან გოგონას დახვედროდა და ოქროს საათი წაერთმია, ხელიდან შეეხსნა. ამ ჯაჯგურში დავარდნოდა თავისი რვეული, რომელზედაც ზუსტად ეწერა მოძალადის ასავალ-დასავალი. გოგომ ის რვეული მილიციამი წარადგინა და დამნაშავე მეორე დღესვე გაქაჩეს. გამომძიებელმა იგი ჩვენ შორის ჩააყენა. მალე დაზარალებული შემოიყვანეს ჩვენს საკანში ნათესავთან ერთად. გოგოს გამომძიებელი შეეკითხა – ხომ ვერ გამოიცნობდით, თქვენი გამძარცველი ამთავან რომელი იყო. გოგონამ სათითაოდ შეგვათვალაღირა და მაშინვე იმისკენ მიათითა, ზოზლიანი გამომეტყველებით განუცხადა გამომძიებელს: რა გამოცნობა უნდა, ეს გათახსირებული იყო, ხელი გადამიგრისა და საათი წაშორდა. ბიჭს ხმა არ ამოუღია, გაიყვანეს ჩვენი საკანდან. ციერ არც მისთვის მიუსვიათ. როგორც ბევრჯერ მომხდარა, ეს ამბავიც ჩაიფარცხა.

დანარჩენ კურიოზულ შემთხვევებზე აღარაფერს ვამბობ. ისედაც გაიგებოდა და სიტყვა. პატიმრობის მეოთხე დღეს გვითხრეს – ხელა უმაღლეს სასამართლოში (ყოფილი ათარბეგოვის ქუჩაზე) გავსაუბრებინა და მერე სახლში გაგიშვებნო. დილით მართლაც წავიყვანეს. იქ ყველაფერი დანერგვით გამოგვიკითხეს (კეთილად იყვნენ განწყობილები), ბევრი იცინეს, ეს სახელოვანი ხალხი ასე რამ გადაგვრიათ, სხვა დროს ჭკუით მოიქცეოდით, დაგვარჩევს. განსაკუთრებით ერთი შავგვრემანი, ჭარმაგი კაცი დამამახსოვრდა, ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე სახიდან ღიმილი არ მოშორებია, დიდი დარბაზის კარებამდე გამოგვყვებოდა. ახალ წელიწადს ოჯახებში შევხვდით და მერე მუდამ მხიარულ გუნებაზე გვაყენებდა ამ არც მთლად სასიამოვნო ამბის გახსენება.

კარგად არის ცნობილი, „მკვდარი ენების“ როგორი იშვიათი მცოდნეა ზურაბ კიკნაძე. კოლოსალური შრომა გასწია, რათა ქართულად აემტყველებინა გილაგამების გენიალური ეპოსი და „ძველი შუამდინარული პოეზია“, რასაც უღრმესი გამოკვლევები და კომენტარებიც მოაყოლა. თიხის ფირფიტის ნამსხვრევებზე შემორჩენილ, აქადურიდან და შუმერულიდან ჭეშმარიტი შთაბეჭებით თარგმნილ განსაცვიფრებელ ტექსტებს ახალი სული ჩაუდგა, უმდიდრესი ქართულით ააჟღერა, პიძინებისა და საგალობლების ღვთაებრივ ენას გვაზიარა. მუდამ მადლიერების გრძობით აღნიშნავდა, რომ ამ უძნელეს ამოცანასთან შეჭიდების უამის მისი გამამხნეველები და გზის გამკვალავი იყო უცხოეთში გარდაცვლილი დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი მიხაკო ნერეთელი.

სამოედე წლის წინ ეს თარგმანები ორ უმშვენიერეს წიგნად გამოსცა, რითაც უკვდავო მისი ცხოვრების თანამგზავრის, ძვირფასი მეუღლის ქალბატონ ლამარა გვარამაძის ხსოვნა.

პატივმოყვარეობის სენით შეპყრობილი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მიხარია და მუდამაყვება ის გულითადი წარწერა, საჩუქრად მოძღვნილ ამ გამოცემას რომ ახლავს: „ჩემს ძველთაძველ მეგობარს ემზარს წარღვნამდელი ამბების მოსაგონრად – ზურაბისგან. 25.03.2010“.

ხშირად ვუთხვებ ხოლმე ზურაბს – არაფრით არ ხარ, ჩემო ძმაო, ვლადიმერ შილეიკოზე ნაკლები (ანა ახმატოვას მეორე ქმარი იყო, გილაგამისა და სხვა შუამდინარული ტექსტების უებრო მთარგმნელი, დიდი მკვლევარი, მრავალმხრივი ნიჭის პიროვნება; აღნიშნავენ, რომ საბჭოური რეპრესიებისგან წაადგინებდა სიკვდილმა იხსნა). ამაზე მისებურად

ეცინება და ხელს ჩაიქნევს.

ბიბლიის სამაგალითო მცოდნე ასევე საფუძვლიანად იცის ძველებრაული და ამის გამოც შესძლო საუკეთესო ნაშრომი გამოეკვეყნებინა „ვეფხისტყაოსნის“ ბორის გაპონოვისეულ თარგმანზე, ქართული მკითხველისთვისაც სასვებით ცხადი გაეხადა, რომ გაპონოვის საარაკო ნაღვანი, აზრობრივად და ჟღერადობის მხრივაც ყველაზე მეტად უახლოვდება უკვდავი პოემის დედანს.

საათობით მონუსხული ვუსმენდი, როგორ კითხულობდა ორიგინალში ზურაბ კიკნაძე ჰომეროსსა და დანტეს, როგორ იჭერდა და გადმოსცემდა გენიალურ ქმნილებათა მელოდიას, მუსიკალურ რხევებს.

ზურაბ კიკნაძემ გამაცნო და შემაყვარა შექსპირის პირდაპირი მემკვიდრის, ჯონ მილტონის პირქუში და ულამაზესი პოეტური სამყარო. მანვე შემომთავაზა, მასთან ერთად მეთარგმნა მილტონის ორი მცირე დრამატული პოემა – „სამსონი“ და „კომუსი“. გართულების შემდეგ თარგმანის ტექსტი მივიტანეთ გამოცემლობა „ნაკვადულში“. შინა რეცენზიისათვის გადასცეს შოთა ნიშნიანიძეს (ასეთი წესი იყო). იმას უარყოფითი დასკვნა არ დაუწერია, მაგრამ გამოუთქვამს აზრი, რომ „კომუსი“ ძალიან მისტიკური, მითოლოგიური პერსონაჟებით გადატვირთული პოემაა და ახალგაზრდობისთვის არ იქნებოდა სასურველი მისი წაკითხვა. რაღას ვიზამდით – მხოლოდ „სამსონი“ დაიბეჭდა 1966 წელს. შოთა როცა შემხვდა, მომიბოდიშა, თარგმანი მშვენიერია, მაგრამ გამომცემლობა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ხელისუფლება უსაყვედურებდაო. აღარაფერი ვუთხარი, პატივს ვცემდი, როგორც ჩემზე ასაკით უფროსს და ამასთანავე ჭეშმარიტ, ნიჭიერ პოეტს.

რამდენიმე წლის წინ როსტომ ჩხეიძესთან საუბარში ვთქვი, მილტონის „კომუსი“ ზურაბ კიკნაძეს და მე გამოუქვეყნებელი რომ დაგვრჩა და მიზეზიც ვუთხარი. გაცოცხდა, ასეთი პოემის უქმად დადება როგორ შეიძლება, მოიტანე და ხელაღვე გამოვაქვეყნებო. მართლაც, მცირე წერილი დაეურთო და სათანადოდ გაფორმებული დაბეჭდა „ჩვენ მწერლობაში“. მისმა ბიძაშვილმა, ინგლისური ლიტერატურის ჩინებულმა მცოდნემ პაატა ჩხეიძემ აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა ამ თარგმანს. როსტომმა ორივე პოემის ერთად გამოცემაც შემომთავაზა (ამომწერავ კომენტარებს პაატა ჩხეიძე დაურთავდა და რედაქტორობასაც იკისრებდა). მე, ჩემი გაფანტულობის გამო, დღემდე ვერ დავაყენე საშველი ამ საქმეს, როგორც ბევრი რამე, ესეც მიმრჩა.

ზურაბ კიკნაძესთან ხანგრძლივი ურთიერთობიდან ძალზე ბევრი მაქვს მოსაგონებელი და მხოლოდ ერთზე ვიტყვი მოკლედ, შეკუმშულად. 1960 წლის მიწურულს პირველი შევხულება რომ მეკუთვნოდა, ვუთხარი, მოსკოვში ერთად წავიდეთ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდა, თვითონაც ჰქონდა იქაურ ბიბლიოთეკებში საქმე. მაშინ მწერალთა კავშირის წევრი არ ვიყავი და სასტუმროს ნომერი, აკადემიის ხაზით, ზურაბმა შეუკვეთა. მოვთავსდით ცენტრში, გორკის (ამჟამინდელი ტვერის) პროსპექტის უსახურ სასტუმროში „აკორში“, მაგრამ დირექტორმა, უკმეხმა და გულღრძო თვალმა, იმთავითვე ბოროტად დაგვადგა თვალში, გვიპაძულა, იქაურობა დაგვეტოვებინა. წინა დღით რესტორანში ერთი საუცხოო გოგო გავიცანი, ლამაზი გარეგნობა და ძალზე შთაბეჭდავი შავი, მონისლული თვალები ჰქონდა, ტატიანა ერქვა. იმ უბედური სასტუმროს ტელეფონის ნომერი მივეცი, შეხვედრაც დავთქვით მაიაკოვსკის მეტროსთან. საღამოს 8 საათზე მე მეორე მხარეს მივედი, ის თურმე ცენტრალურ შესასვლელთან მელოდა. ურეკავს სასტუმროში (მითხრეს გვიან დაბრუნებულს), მაგრამ ერთმანეთს ვეღარ შევხვდით. მეორე დღესვე გავგასახლეს და ეს შემთხვევა დღემდე სანანებლად დამრჩა. ვინავე, რატომ პუშკინის ძეგლთან არ დაუწინაშე პაემანი. ის ადგილი კარგად მქონდა დაცდილი.

საკმაო წვლებისა და ხეტიალის მერე, როგორც იქნა, სასტუმრო „პუშკინში“ დავბინავდით და როგორღაც აენყო ჩვენი ცხოვრება. დროსტარებდაც არ დაგვიკლია, დავდიოდით სხვადასხვა არტისტულ ფავ-




ებში. საგულდაგულოდ დავათვალაიერეთ პუშკინის სახელობის მუზეუმის მდიდარი, უნიკალური კოლექცია, ძირითადად კი ბუკინისტურ მაღაზიებში დავიარებოდი არბატსა და კაჩალოვის ქუჩაზე. ზურაბმა დიდად გაიხარა, როცა ერთგან დანტეს „ლეთაბრივი კომედის“ უძველეს, ტყავისყდიან გამოცემას წააწყდა (სკარტაცინის განთქმული კომენტარები ჰქონდა დართული), მეც არაერთი ჩემთვის საინტერესო ნიგნი და „სკირას“ რამდენიმე ალბომი შევიძინე.

საშინელ, ფრჩხილებისნამძრობ ყინვაში ერთად დავეწნარით საბჭოთა კავშირის თასის ფინალს. თბილისის „დინამო“ ძველ მეტოქეს, მოსკოვის „ტორპედოს“ ხედებოდა. მანამდე, ნახევარფინალი, დონცკის „შახტიორს“ მოუვგეთ. მიხეილ მესხმა აინყვიტა ერთ მომენტში, ყინულით გადალეხილი მინდორი ელვისებურად გადასერა და სასწაულებრივი გოლი გაიტანა.

ფინალის დღეს ლუწიკებზე სასტიკად ციოდა და როგორმე რომ შევმთბარიყავით, მუყაოს ჭიქებში ჩასხმულ ცხელ ყავას ვსვამდით. ოც-ოცი ჭიქა მაინც დავლიეთ სუსხისგან გალურჯებულებმა. ჩვენები (შოთა იამანიძე იყო კაპიტანი, შავი მაისურები და ტრუსები ეცვათ, უხდებოდათ) კარგად თამაშობდნენ, არაფრით ჩამოუვარდებოდნენ „ტორპედოელთა“ ძლიერ გუნდს, რაღაც დროის მონაკვეთში გოგონებ კიდევაც დავჯაბნეთ. მერე თავბრუდამხვევი დრიბლინგით წამოსულმა სლავა მეტრეველმა პენალტი აჰკიდა დაბნეულ ხოჭოლავას. მიკერძობით გამორჩეული კიეველი მსაჯი შაპოვეცი, ვინაც მანამდე უეჭველი პენალტი არ დანიშნა მოსკოველთა კარს, წამითაც არ შეყოვნებულა, მაშინვე გაიშვირა თითი საჯაროში მოედნიკენ, ანგარიში გათანაბრდა, 3:3 გახდა. ამას სხვა მარცხიც მოჰყვა. სერგო კოტრიკაძეს „ტორპედოელთა“ მეკარის, პოლიკანოვის მსგავსად, შალის რეიტუზები არ ჩაუცვამს. ეტყობოდა გაიყინა და რეაქცია დაუქვეითდა, თორემ ვალენტინ ივანოვის შორიდან დარტყმულ, იოლად ასაღებ ბურთს არ ვაუშვებდა. ამის შემხედვარეინი დავიზაფრეთ. მერე მსაჯმა რამდენიმე აშკარა უნამუსობა კიდევ ჩაიდინა ქართველების დასათრგუნავად. ჩვენი ბიჭები უკიდურესად აღელდნენ, შეჯგუფდნენ და პროტესტის ნიშნად, გაგულისეზულები, მოედნიდან გავიდნენ. მსაჯებთან და წესრიგის დამცველებთან მათ შეხლა-შემოხლაში მძაფრი, სამხრეთული ტემპერამენტი და ეროვნული სიამაყე იგრძნობოდა, არაფერს არ თმობდნენ. თხუთმეტი წუთი მაინც გრძელდებოდა გამაყრუებელი სტვენა და ღრინაცელი. არაყნასავამი, სახეუმული ტიპები სხვადასხვა შეურაცხმყოფელ გამოთქმებს ყრანტალებდნენ („Èâîî ãî è èèî“, „ãîî í æ î ù ã“ და მისთანანი). ბოლოს, რის ვაივავლახით, ჩვენი გუნდი მინდორზე გამოიყვანეს, მაგრამ თამაშს ძველი ლაზათი აღარ დაბრუნებია. თასი მოსკოვის „ტორპედოს“ გადაეცა. გაულდამძიმებულები დავბრუნდით სასტუმროში. მატარებლის ბილეთები შეკვეთილი გვქონდა და რამდენიმე დღის მერე კიდევაც გამოვემგზავრეთ თბილისისკენ.

ადრევე ვთქვი, რომ ბევრი ახლობელი დავკარგეთ. მახსოვს, როგორ განვიცადეთ შვიდი წლის წინ საცოდავი ედიშერ გიორგაძის ტრაგიკული დაღუპვა. სანოლში ცეცხლი გაუჩნდა. ალბათ კითხვისას ჩაეძინა, სანთელი საბანს დაეცა და ალი მოედო. მეორე ოთახში მყოფმა შეკედლებულმა აჩხანაგმა გვიან გაიგო, ხანძარი რომ გაჩნდა ბინაში.

ედიშერი ძალიან წიგნიერი, განათლე-



ბული კაცი იყო, ხელოვნების დახვეწილი მცოდნე. დედა ადრე გარდაეცვალა და ბებუის გაზრდილი, ადრე ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა ჩვენი გამოჩენილი მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის გვერდით. ხშირად ვიყრიდით მასთან თავს, ღვინოს შევექცეოდით, გვიან ღამემდე ვსაუბრობდით.

მსოფლიო მითოლოგიის ისეთ საფუძვლიან მცოდნეს, როგორიც ზურაბ კიკნაძეა, მეუძღვებელი იყო თავისი თვალსაჩინო წვლილი არ შეეტანა ქართული ფოლკლორის კვლევის ესოდენ საშურ და კეთილშობილურ საქმეში. იგი მრავალი წლის მანძილზე მეთავეობდა ჩვენი სულიერი კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს. მისი სამვილიშვილო ღვანლის დასტურად იკმარებს თუნდაც სამაგალითო მეცნიერული სიღრმით გამოცემული ორი ნიგნი – „ანდრეუები (ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გამოცემები“ (2009) და „ხალხური პოეზიის ანთოლოგია“ (2010), ტრისტან მახაურთან ერთად რომ შეადგინა. „ანთოლოგიაში“ შესაშური გემოვნებით, ზომიერად არის გამოყენებული ჩვენი საამაყო მხატვრის თენგიზ მირზაშვილის განუმეორებელი გრაფიკული ნამუშევრები.

მიუხედავად ასეთი თავაულებელი გარჯილობისა, ზურაბ კიკნაძეს დაღლის, ენერგიის დაშრეტის არაფერი ეტყობა. იგი ახალ-ახალი, საინტერესო ჩანაფიქრებით არის აღსავსე, რასაც ახლო მომავალში ძალზე საჭირო და ფასეულ ნიგნებად აქცევს.

ყოვლად გაუმართლებელი და უხერხული იქნებოდა, ისე დამესრულებინა ეს მცირე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონება, ორივე ჩვენგანისათვის უზომოდ ძვირფასი ერთი პიროვნება რომ არ მესხენებინა. შემოქმედებითად, ინტერესების არაჩვეულებრივი სიფართოვით, იღუმთალებათა შეცნობის დაუცხრომელი წადლით, უშურველი ხასიათით და ბევრი სხვა რამითაც, ერთმანეთს გასაოცრად ენათესავებოდნენ, ეთვისებოდნენ თამაზ ჩხენკელი და ზურაბ კიკნაძე. რამდენიმე წლისადას ერთად თარგმნიდნენ ჰომეროსის „ოდისეას“ და ესეც საკმარისი იყო, ბოლომდე რომ შეეცნოთ ერთმანეთის სული. საშინლად განვიცადეთ ზურაბმა და მე, თამაზის სხვა ახლობლებმა მისი მოურჩენელი სენით დაავადება და ასე მოსწარაფებული სიკვდილი. ამის ცაცნობიერება კიდევ დიდხანს მოგვიწევს.

ხსოვნას, წარმოსახვას არ შორდება ერთი ძველი ფოტო, ალბათ იმ დროისა, როცა მეგობრები „ოდისეას“ ერკინებოდნენ. მაგიდას უსხედან ისინი, საზაფხულოდ ჩაცმულები; თვალებში შესქეპრიან ერთმანეთს. წინ ღვინოა ბოთლი უდგათ. ზურაბს მარცხენა, ანეულ ხელში სიგარეტი უბოლავს. ეტყობა, ოდნავ გაღიმებული რაღაცის თქმას აპირებს. თამაზი ყურს უგდებს, გარინდულია. გულდასაწყვეტია, რომ ყველაფერი ეს სამუდამოდ წარსულშია დარჩენილი, აღარ განმეორდება. იმ სურათზე ზურაბს ჭალარა არ ურევია, მკვირცხლად გამოიყურება.

რას ვიფიქრებდი, ასე თვალის დახამხამებაში გაირბენდა მთელი ცხოვრება. ამ ცოტა ხნის წინ სევდანარევი ხუმრობის კილოთი მითხრა მწარე სიმართლე – მიხედა შენს რამეებს, ნუ გვიჩინა, რომ კიდევ ათეული წლები დაგვრჩაო.

ამასაც მოვესწარი – ზურაბ კიკნაძეს დაბადების ოთხმოც წლისთავს ვულოცავ და ახალ, დიდ წარმატებებს ვუსურვებ. ღვთის შეწევნით, საუკუნე კადაელუნოს ამ ხელხვავიან და მაღლიან კაცს, ვინაც მე ღვიძლ ძმასავით მიყვარს.

ლიტერატორი

ლევან ბრეგაძე

ლევან ბრეგაძე „ლიტერატურული გაზეთის“ რესპონდენტი უკვე მეორეაა. მასთან ინტერვიუ შარშან გამოქვეყნდა. თუმცა, ლიტერატურის კრიტიკოსთან, ლიტერატურათმცოდნესა და მთარგმნელთან, რომელიც თორმეტი წიგნისა და სამასზე მეტი მეცნიერული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომის ავტორია, რომელიც კვლავ ძალზე აქტიურად მუშაობს, აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს, წერს წიგნებს და მკითხველს ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემას ასმენინებს — მწერლობაზე საუბარი არასოდეს სრულდება. ამიტომ წელს ბატონ ლევანს კიდევ ერთხელ მივაკითხეთ.

მკითხველი კარგად იცნობს ბოლო დროს გამოცემულ მის წიგნებს — „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“, „მოთხრობები ლიტერატურაზე“, „მოგ ზაურობა“, „კაუკაზიმე პოსტის“ ფურცლებზე“, „მარგინალიები“... მათი ავტორი არაერთი ლიტერატურული ჟილდოს მფლობელია. სამჯერ — 2003, 2009 და 2012 წლებში — ლიტერატურულ კონკურსს „საბას“ ლაურეატი გახდა. ბატონი ლევანი წლევანდელი კონკურსის ნომინანტიცაა. საუბარი სწორედ მისი ახალი წიგნით — „ყოფითი რწმენა-წარმოდგენებით“ — დაიწყო.

— ბატონო ლევან, წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა, კონკურს „საბას“ ფინალური ეტაპი, ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება, კარგა მომდგარი. როგორც მისი ორგანიზატორები გვამცნობენ, წელს არნახული რაოდენობის წიგნი — რომანი, მოთხრობების, ლექსების, კრიტიკული წერილების კრებულები, ესეისტიკა, თარგმანი, დოკუმენტური პროზა, სცენარი — არის წარდგენილი, 80%-ით მეტი, ვიდრე გასულ წელს. აქედანაც ჩანს, რა ხდება თანამედროვე ქართულ მწერლობაში, რაოდენ აქტიურად შრომობენ ჩვენი მწერლები. თუმცა ძალიან გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციის „შორთ ლისტში“ მხოლოდ ორი ავტორის თითო წიგნია — ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი“ და ოქტაი ქაზუმოვის „129 გვერდი ლიტერატურაზე“. თქვენ წარდგენილი ხართ ნომინაციაში „საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა“ წიგნით „ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“. თითქმის ყოველ წელს კონკურსის ნომინანტებს შორის ხართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთობ ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობთ. ჯერ თქვენს საკონკურსო წიგნზე გვესაუბრეთ, რა სახის ლიტერატურას განეკუთვნება იგი, რა შინაარსისაა.

— ჰო, ცოტა უცნაური წიგნია. ანოტაციას ნაგვიკითხავთ და მიხვდებით, რას წარმოადგენს: „წიგნი შეიცავს საქართველოში წინა და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებულ ხალხურ ყოფით რწმენა-წარმოდგენებს, ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებში წარმოდგენილ, აგრეთვე ნიმუშებს შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებით და ციტატებით პოეტური და პროზაული ტექსტებიდან, რომლებშიც ხალხური რწმენა-წარმოდგენები ავტორთა მიერ მხატვრული დანიშნულებით არის გამოყენებული“.

2001 წელს „კავკასიური სახლის“ გაზეთში „ალტერნატივა“ გაგრძელებებით გამოქვეყნებულ ჩემ მიერ რაჭაში, ნიკორწმინდაში (ჩემი დედუღეთი) ჩანერილი ორასამდე რწმენა-წარმოდგენა (ცრურწმენებს რომ ეძახიან), რამაც, ჩემდა მოულოდნელად, ყველა ასაკის მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. თითქმის ყველა ტელევიზიამ მოამზადა ამ თემაზე გადაცემა ჩემი მონაწილეობით. სხვებმაც მომბაძეს: იმავე გაზეთში დაიბეჭდა, მაგალითად, პანკისელ ქისტებში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები, ნონა ხანგოშვილის მიერ შეკრებილი.

მენა-წარმოდგენებზე დაკვირვებით დგინდება ან ზუსტდება საგანთა და მოვლენათა სიმბოლური მნიშვნელობები, რაც აუცილებელია როგორც პიროვნული, ისე კოლექტიური არაცნობიერის წარმატებული კვლევისათვის. გარდა ამისა, ხალხური რწმენა-წარმოდგენები ბევრ მინიშნებას გვანდის ძველი საზოგადოებების ცხოვრების წესის შესახებ და მათზე

სამ კრიტიკოსს დავასახელებ


დაკვირვება ამ მხრივაც ძალიან სასარგებლოა.

ზოგი რწმენა-წარმოდგენა საერთაშორისო გავრცელების მქონეა (მაგ კატაზე, რიცხვ 13-ზე, ოთხფურცლიან სამყურა ბალახზე...), ზოგს სხვა ქვეყნებში პარალელი არ ეძებნება. სხვაგან ვერ მივაგენი, მაგალითად, ჩვენში ძალიან გავრცელებული ამ რწმენა-წარმოდგენის მსგავსი: „თუ წამნამი ნახო ლოყაზე ან გულისპირზე ჩამოვარდნილი, აიღე, ჩაუთქვი რამე და უბეში ჩაიდევ — აგისრულდება“. წამნამის სიმბოლური მნიშვნელობის დადგენაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

იოსებ გრიშაშვილი ნატო ვაჩნაძისადმი მიძღვნილ ლექსში ასეთ რამეს წერს: „შვიდ მაისში მოსული თვალუფუნა წვიმა ხარ“, გიორგი ლეონიძე ასე აღწერს ქართლის ბალს: „ელავს ბალი — ხობხის ყელი — შვიდ მაისის წვიმით მოურალი“.

რა მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხი შვიდ მაისის მოსულ წვიმას, ეს წიგნში განმარტებული გვაქვს სანდო ავტორებზე, თედო სახოკიასა და ვახტანგ კოტეტიშვილზე დაყრდნობით.

თანამედროვე მწერლებიც იყენებენ მხატვრული დანიშნულებით ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს. დამონებული გვაქვს ნიმუშები ლაშა ბულაძის, ნაირა გელაშვილის, ზაალ ებანიძის, გიორგი კეკელიძის, ზვიად კვარაცხელიას, აკა მორჩილაძის, ზაალ სამადაშვილის, დავით




ქართველიშვილის, ნინო ყულოშვილის, მანანა ჩიტიშვილის, მამუკა ნიკლაურის, რეზო ჭეიშვილისა და სხვათა თხზულებებიდან.

ხალხურ რწმენა-წარმოდგენებზე გოეთეს ასეთი რამეც აქვს ნათქვამი: „ცრურწმენა ადამიანის არსების ნაწილია და როცა გვგონია, სავსებით განვდევნეთ იგი, მას თურმე საოცარზე საოცარ კუთხე-კუნჭულებისთვის შეუფარებია თავი, საიდანაც ისევ გამოძვრება, როგორც კი რამდენადმე უსაფრთხოდ იგრძნობს თავს“.

— თქვენ თვითონ თუ გნამთ ასეთი წარმოდგენების?

— როდესაც მეკითხებიან, თუ გნამთ ამგვარი წარმოდგენებისო, იმ ანეკდოტით ვპასუხობ, რომელსაც ნილს ბორზე, გამოჩენილ დანიელ ფიზიკოსზე, ნობელის პრემიის ლაურეატზე, ჰყვებიან (ეს ანეკდოტი წიგნის ყდაზეც მოვათავსე, უკანა მხარეს): „თავისი აგარაკის კარზე ნილს ბორმა მიაჭედა ნალი, რომელსაც, ხალხური რწმენის თანახმად, ბედნიერება მოაქვს. ერთმა სტუმარმა, ნალი რომ დაინახა, წამოიძახა: „ნუთუ ისეთ დიდ მეცნიერს, როგორც თქვენ ხართ, მართლა შეიძლება სწამდეს, რომ კარზე მიჭედებულ ნალს



წარმატება მოაქვს?“ — „არა, — უპასუხა ბორმა, — რა თქმა უნდა, მე ეს არ მჯერა. ეს ცრურწმენაა. მაგრამ, იცით რა, ამბობენ, მას მართვისაც მოაქვს წარმატება, ვისაც ეს არ სწამს“.

აი, ასეთი — ალაგ მხიარული, ალაგ საშოში — ამბებით სავსე წიგნია ეს!

— რატომ მოხდა, რომ ლიტერატურული კრიტიკის ნომინაცია ასე მწირადაა წარმოდგენილი „საბას“ კონკურსზე? თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ეს? განსაკუთრებით დასაინია, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსები, შემფასებელნი პროცესისა, არ ჩანან. არადა, ახალგაზრდა ავტორთა ასეთი არმია ქართულ მწერლობას დიდი ხანია არ ჰყოლია. ძალიან სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ლიტერატორთა წრეებში ნაკლებად ჩანან მათი ასაკის, მათი თაობის მკვლევარები, შემფასებლები, კრიტიკოსები. ალბათ სხვა ეფექტი აქვს, როცა თანატოლისგან ისმენ კონსტრუქციულ კრიტიკას, როცა შენი თაობის წარმომადგენელი გაფასებს პროფესიონალურად. ეს კიდევ უფრო გაცხოველებდა ლიტერატურულ ცხოვრებას, უფრო გაანსაღსა და საინტერესოს გახდებოდა, რომელიც და მკითხველსაც.

მგონი, დღეს სწორედაც რომ ბევრი სამუშაო აქვს ლიტერატურათმცოდნეს, კრიტიკოსს, ვინაიდან საკვლევი თუ თვალისმისაღვენი მასალა უხვად

არის, დანყებულ სრულიად ახალბედა ავტორების პირველი პუბლიკაციებით, რომელთაც ზოგჯერ საზოგადოების გამოწვევის, მასთან წინააღმდეგობის მძაფრი სურვილი ამოძრავებთ, გაგრძელებული საშუალო თაობისა თუ გასულ საუკუნეშივე სახელმწიფო ავტორების ახალი წიგნებით.

ასე რომ, სარბიელი ვრცელია კრიტიკული ანალიზისთვის.

— შარშანაც მხოლოდ სამი წიგნი იყო „საბას“ ამ ნომინაციის ფინალში. მართლაცა, რატომ უნდა იყოს ასე მწირად წარმოდგენილი ლიტერატურული კრიტიკა „საბაზე“, როცა ამდენი შესანიშნავი კრიტიკოსი იღვწის ლიტერატურის ამ დარგში? ზაზა აბზიანიძე, ივანე ამირხანაშვილი, გია ბენიძე (მარსიანი), ანდრო ბუაჩიძე, ამირან გომართელი, თამაზ ვასაძე, ნუგზარ ზაზანაშვილი, მანანა კვაჭანტირაძე, ნუგზარ მუზაშვილი, სოსო ტაბუცაძე, როსტომ ჩხეიძე, მალხაზ ხარბედა, მაია ჯალიაშვილი, მაკა ჯოხაძე... მათი კრიტიკული ოპუსები კარგი მოთხრობებით იკითხება...

ისე კი, კრიტიკოსობა რომ ერთობ ძნელი საქმეა, ეს უდავოა. დიდი კრიტიკოსები ყოველთვის ცოტანი იყვნენ.

თქვენ რომ კრიტიკის ნომინაციის ფინალში გასული წიგნი ახსენეთ — ოქტაი ქაზუმოვის „129 გვერდი ლიტერატურაზე“, მისი წინასიტყვაობა მე დაგწერე და ამ წიგნის ავტორის შესახებ ასეთ რამეს ვამბობ: „ლიტერატურულ კრიტიკაში გაუკვალავი გზებით სიარულს რომ არ უფრთხის, ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ წიგნში შესული წერილების თითქმის სახევარი თავისი თანატოლი, ანუ ახალგაზრდა, ქართველი მწერლების შემოქმედებისთვის მიუძღვნია, რაც ფრიალ დასაფასებელია, ვინაიდან ერთობ იშვიათი მოვლენაა“.

დიახ, ძნელია გაუკვალავი გზებით სიარული ლიტერატურის სანახებში (ანკი სხვა რომელ სფეროშია ეს ადვილი!), — დამოუკიდებელ აზროვნებას მოითხოვს, რასაც, საზოგადოდ, ცოტანი ახერხებენ; იმასაც მოითხოვს, რომ არ გეშინოდეს შეცდომის დაშვებისა, და არც იმისი, რომ ვინმე შეიძლება შემოგვადავოს.

ვის არ ახსოვს ილია ჭავჭავაძის წერილის სათაური — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. მაგრამ, აბა, იკითხეთ, რას მიიჩნევს ილია კრიტიკის არარსებობის მიზეზად-თქო და ნახავთ, რომ ეს თითქმის არავინ იცის. (ჩამიტარებია ასეთი ექსპერიმენტი და იმიტომ ვამბობ). დამოუკიდებელი აზროვნების უნარის უქონლობას მიიჩნევს ილია ჭავჭავაძე კრიტიკის არარსებობის მიზეზად. ამ უნარს იგი „თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას“ უწოდებს. დამოუკიდებელი აზროვნების უნარმოკლებულთა ნიმუშად იგი გოეთეს „ფაუსტის“ პერსონაჟ ვაგნერს ასახელებს, რომელიც, მისი სიტყვით, „სწორედ ზედამოჭრილი სახეა იმგვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების უნარი კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის არ მიუმაღლებია“ „ტარების“ აქ ნიშნავს — „სიარულის“. იქვე ილია ჭავჭავაძეს ასეთი რამეც უწერია: „თუ რომელსამე საგანზედ ჩვენებურს „ინტელიგენტს“ სხვისის აზრისათვის ყური არ მოუკრავს, თუ რომელსამე საგანზე სხვა უცხო ენის წიგნებსა და გაზეთებში აზრი არ ამოუკითხავს, ის საგანი იმისათვის ყოვლად ბნელია და იმ საგნისათვის იგი ყოვლად მუწჯია: ვერას იტყვის, იმიტომ, რომ თვითმსჯელობას, თავისის გონების გაძლიერებას იგი ჩვეულ არ არის“.

მე ახლა სამ ახალგაზრდა ავტორს, სამ კრიტიკოსს დავასახელებ, რომლებმაც ამ ბოლო დროს სწორედ დამოუკიდებელი აზროვნებით, გაბედულებით, პოლემიკის ფინით და ისეთი ერუდიციით მიიპყრეს მკითხველი საზოგადოების ყურადღება, რაც მათ ასაკში მოულოდნელიც კი არის: ნიკა აგლაძე, ლევან ბებურიშვილი, ლექსო დორეული. მათ უკვე „გახსნეს ცეცხლი“ და გამოაცოცხლეს ლიტერატურული ცხოვრება.

— ბევრი ლიტერატურათმცოდნე პირად საუბრებსა თუ პუბლიკაციებში ლაპარაკობს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში შემოჭრილ ახალ მძლავრ ნაკადზე. მინდა გთხოვოთ, ისაუბროთ ამ ახალ შემოქმედებით

აფეთქებაზე, ახალ ნაკადზე ჩვენს მწერლობაში (ცხადია, თუკი თქვენც ფიქრობთ, რომ ასეთი რამ მართლაც მოხდა).

— სამი წლის წინ წინასიტყვაობა დავენერე მანანა ამირეჯიბის წიგნისათვის „მე და ჩემი წილი მამა“. ავტობიოგრაფიული თხზულებაა, 2010-ში გამოვიდა. მასზე მუშაობისას მთელი არსებით ვიგრძენი, რა ინტერესით იკითხება ნამდვილად მომხდარ ამბებზე კარგად დანერვილი წიგნი. ბევრი გამოდის ახლა ჩვენში ასეთი წიგნი, ნამდვილ ამბებზე დანერვილი, „წონფიქშენს“ რომ ეძახიან, და, ჩემი დაკვირვებით, ყველაზე პოპულარულნი სწორედ ისინი არიან. ეტყობა, დროის მოთხოვნებს და დღევანდელი მკითხველის გემოვნებას ესენი უკეთ აკმაყოფილებს, ვიდრე — მხატვრული გამოხატვანი. ბოლო დროს გამოსულ ამ ყაიდის წიგნთაგან რამდენიმეს დავასახელებ, რომლებმაც ერთბაშად მიიპყრეს მკითხველთა ყურადღება: დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყვილი“, როსტომ ჩხეიძის „ტრაგიკოსი კომედიანი“, გოგი გვახარაძის „ცრემლიანი სათვალე“.

ამ წიგნის პროზა დომინირებს ამჟამად და, მგონი, ეს ვითარება ერთ ხანს კიდევ გასტანს, რაც ძალიანაც კარგი იქნება — სინამდვილეს მონყვეტილნი ამან შეიძლება რეალობაში დაგვაბრუნოს.

„ახალ მძლავრ ნაკადზე“ ჩვენს პოეზიაში ნუგზარ ზახანაშვილმა წამოიწყო საუბარი რამდენიმე ხნის წინ და ამ „ნაკადის“ ნიჭიერი წარმომადგენლების შემოქმედებას ჩინებული წერილები მიუძღვნა, წარმოაჩინა მათი „მძლავრი პოეტური პოტენციალის უტყუარი ნიშნები“. ერთი სტატია, ნიკა ჯორჯანელის პოეზიის თავისებურებების შესახებ, ამ დღეებში გამოაქვეყნა ჟურნალ „ახალი საუნჯის“ მე-4 ნომერში.

მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არც დღევანდელ ჩვენს პოეზიას აწყენდა რეალობასთან მეტი სიახლოვე და მეტი უბრალოება. ხომ გახსოვთ, „დიდოსტატის მარჯვენაში“ მომაკვდავი მეფე გიორგი რომ ავალეხს პიპას, უბრალო მღვდელთაგანი მომგვარე ვინმე, უბრალო დიაკონის პუტუნის მენატრებაო. ერთი უცნაური ლექსი აქვს პაოლო იაშვილს, სათაურად „ნასაყდრალის გალავნიდან“ ჰქვია, რაღაც ნაირი ნატურალისტური თუ ნეონატურალისტური ლექსია, და იქ ასეთი რამეები წერია:

„სოფლად ბერძნების შეგვეჩვია  
ჩვენ მათხოვრები,  
გვთხოვენ სიმინდს და უსიმინდოდ  
დარჩნენ ღორები,  
და გადავწყვიტეთ სანახევროდ  
მათი გაცემა,  
ქორმა დაგვიწყოს წინილების  
ჩვენ მოტაცება,  
აამუშავა მოურავმა ორლულიანი,  
შემოდგომა მოწყენილი  
და ღრუბლიანი“...

ფინალი ასეთია:  
„კვირას ეზოში მომიხდა გავლა,  
მსურდა მოზვრების მე დაფეთება,  
მრუდედ დადგული მეჩვენა თავლა,  
დავინყე თავლის გადაკეთება;  
მერმე ვითვალე სახლზე კრამიტი,  
და ანგარიში რომ ამერია,  
უეცრად დადგა ცული ამინდი  
და მივაშურე შუა კერას“.

ასეთი მიმზიდველი უბრალოებით დანერვილი ლექსი ბევრი აქვს ვიქტორ გაბესკირიას. მისი პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში აკაკი ბაქრაძე წერს: „აღამიანური ყოფის უბრალო წერილმანებს, ჩვეულებრივ, ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, ისინი მნიშვნელობით, სილამაზით და სიყვარულით ივსებიან (...). ვიქტორ გაბესკირია ის აღამიანი იყო, ვის ყურადღებასაც, მღელვარე ზღვაზე მეტად, სველი ნაფოტი იპყრობდა: „ღელავდა ზღვა და შენ წინ ეგდო სველი ნაფოტი“.

მგონია, რომ ამგვარი, ერთი შეხედვით, უპრეტენზიო, ლექსებით უფრო შეიძლება დღეს მკითხველის გულთან მისვლა — თუკი, რა თქმა უნდა, ეს არის პოეტის მიზანი!

ესაუბრა თამარ ჟურული



დასასრული  
რუსუდან რუხაძე  
ღმერთმა  
დალოცოს  
ამერიკა!

ვიარე და ჩაისთვის ფრანგული ფუნთუშები ვიყიდე. ხურდის მაგივრად გამყიდველს სასაუბრო ბარათი გამოვართვი, ეს კვირა მეყოფა. მთელი დღე სარეცხს გადავყვი, სამრეცხაოში შეკრული ფუთების რიგი დამხვდა, სამჯერ მაინც ჩავაკითხე, სანამ ჩემი საცვლები ჯერი დადგებოდა. კარებზე ყოველი შემთხვევისთვის ყვითელი ბარათი მივაკარი — „დანიელ, ათ წუთში მოვბრუნდები“.

დანიელმა დათქმულ დროს გადააცილა, გავბრაზდი უსარგებლოდ შენახული წერილების და გამოქერქეტილებული მექსიკელის მოსაძებნად გამოდებული თავის კამო. ყავა შემოვდგი, კომპიუტერს მივუჯექი და კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი ჩემს კვლევას, მეორე ფანჯარაში ფოსტა გავხსენი. ჟანის ძველ წერილებს ხშირად, როგორც ნაუკითხავს, მოვნიშნავ და რამდენიმე წამით თავს ვიბეღნიერებ ხოლმე. სწორედ ის ნამია ახლა. კარებზე მოკრძალებული კაკუნის ხმა შემომესმა. ყავის ჭიქიანად წამოვდექი და კარი გავაღე.

— გამარჯობა, მე დანიელი გახლავართ, — არც ტანმორჩილი იყო და არც თმისა და შუბლის გამყოფ ზოლზე ჰქონდა იარა ჩემს მექსიკელ „მდგმურს“.

— ო, დანიელ! მე მილინკა ვარ, — სიბერემდე ბევრი აკლდა დანიელს, — მობრძანდით, — სიბრაზემ უცებ გადამიარა. დანიელმა თოვლისგან დასველებულ ფეხსაცმელებს დახედა და დიდი ნაბიჯებით გაემართა სავარძლისკენ, რომ იატაკი ნაკლებად დაესველებინა.

— ამ ჭიქით მოგაგენით, — გავუღიმე და დატოვებული ყავის ჭიქა გავუწოდე.

— უჰ, აქ დამიტოვებია! — საფეთქლებს ოდნავ შეეხო თითებით, გამომართვა და ისევ მაგიდაზე დადო.

— იცით, ამ წერილის მოსვლის მერე დავინყე თქვენი ძებნა, — ვუთხარი და წითელი კონვერტი გავუწოდე.

— ეს სულ ჩემია? — ჩაეღიმა მაგიდაზე დაყრილი წერილების დანახვისას და ერპარტის მარკიანი კონვერტი ფოსტას შეურია.

— დიახ, ყველა თქვენს სახელზეა მოსული. ჩემი ნუ მოგერიდებათ, თუ ერთი სული გაქვთ, გახსნათ და წაიკითხოთ, ასეც მოიქეცით, მე ყავას მოგიდუღებთ მანამდე და ფრანგულ ფუნთუშებზე დაგპატიჟებთ, — წითელი კონვერტის ბედი გულწრფელად მაინტერესებდა, წერილების გროვასთან გულგრილად შერევაც ხელოვნური მომეჩვენა.

— არა, ბრძანდებოდეთ, მაღლობელი ვარ თქვენი, ასე ბევრი არ მოიქცეოდა, — მსხვილად ნაქსოვი კაშნი მოიხსნა და სავარძლის თავზე შემოადო.

— შესაძლოა, თუმცა დარწმუნებული ვარ, თქვენც იგივეს გააკეთებდით სხვისთვის. გულისხმიერი აღამიანი იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ გვგონია, — დანიელის კონვერტებს დავუწყე დალაგება.

— ისევ ხმაურობენ მეზობლები? — თვალთ შეხედა მეზობელზე მანიშნა.

— კი, მხიარულად ცხოვრობენ, — გავუღიმე, მოსალოდნელი პაუზის გამო წინასწარ ვიგრძენი უხერხულობა და პასუხს შეკითხვა მივაბი, — დანიელ, მაპატიეთ, სწორად მივხვდი, რომ ეს წითელი კონვერტი ძალიან ძვირფასი უნდა იყოს თქვენთვის?

— კი, მილინკა, ძვირფასია! — პასუხი იმაზე მოკლე იყო, ვიდრე ველოდი.

— როგორ გყოფნით მოთმინება, აქვე არ წაიკითხოთ?! — ანკესი გადავავადე.

— მოდი, თქვენ გახსენით კონვერტი! — სავარძელს მიეყუდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მარჯვენა ხელის იდაყვი სავარძლის თავს ჩამოადო.

— არა, რას ამბობთ, ეს რომ მდომოდა, სულაც არ მოგძებნიდით, ისე გავხსნიდი და წავიკითხავდი, — წამოვდექი და სავარძლის უკან გადავარდნილი კაშნი მივანოდე, ჩემიც თითქმის ასეთია, კაცური, ოღონდ მწვანე.

— გთხოვთ... — თითებით ყელზე გამობერილ ადამის ვაშლს შეეხო.

— დანიელ, არასოდეს წამიკითხავს სხვისი წერილები... — სამზარეულოში გავედი და ყავა ჩამოვასხი.

— მოდი, ასე ვქნათ, თქვენ გახსენით და მე ზეპირად გეტყვი, რა წერია წერილში. თამაშია ასეთი! — სამ წუთში სითამამე შეეპაროდა ხმაში. ხმამალა არ მითქვამს, მაგრამ გულში კი გავიფიქრე, ნეტა წერილის ბოლოს არ ეწეროს დაჯეტი ახლავე, რომოცდაათჯერ გადანერე ხელით და მსოფლიოს ჭეშმარიტი ბედნიერების შესახებ ამცნეო.

დანიელს გამომცდელად გავხედე და კონვერტის გახსნას შევუდექი, გული ამჩქარდა. წერილი შავი მელნით და გაკრული ხელით იყო შედგენილი, ერთ გვერდსაც არ ავსებდა.

— დავინყოთ? — თავი გვერდით განია და ცალი თვალი მოხუჭა.

— დავინყოთ! — წელში გავიმართე და მოსასმენად რატომღაც ხმა ჩავინმინდე.

— „ძვირფასო დანი! მოგისმენია ქარისთვის, როგორ უხმობს დაკარგულ სატრფოს? ისევ ნაპირ-ნაპირ გეძებ მთელი საღამო, არავინ იცოდა შენი ასავალ-დასავალი...“

— უხერხულად ვგრძნობ თავს! — წამოვდექი და წერილის კითხვა შევანწყვეტინე.

— რატომ მილინკა, არ მაქვს უფლება ჩემივე დანერვილი წერილი წავიკითხო?

— როგორ?!

— დიახ, ეს წერილი ჩემი დანერვილია. ლილი ქარიშხალია, რომელმაც იმ წელს დაუარა სანაპიროებს, მე რომ ახალი ჩამოსული ვიყავი ემიგრაციაში. მგონი პირველი „ქალი“ იყო, ვინც გავიცანი.

— ჰაჰ, მოცებთ დანიელ, ერთი შეხედვით გულცივი ფინანსისტი ჩანხართ! — ძირს დავჯექი ფეხმორთხმით.

— არაფერი გამეგება მაგ საქმის. „ლილიმ“ ბევრჯერ მიხსნა. ეს წერილი ადრე გამოგზავნილი და ამ მისამართზე დათქმულ დღეს უნდა მოსულიყო, ასეც მოხდა. სულ ეს არის! იმ კვირიდან ჩემი ფოსტა თქვენთან აღარ მოვა, მაპატიეთ შეწუხებისთვის.

— სულ ეს არის? — რაღაც მეტი მინდოდა განმარტებისთვის, რომ საკუთარი თავისთვის ამეხსნა, ამხელა ამბავი რატომ წამოვიწყე.

— დიახ, სულ ეს არის, მილინკა! მაპატიეთ, ამ ბანალურ ამბავში რომ გავხეიეთ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, თოვა იმატებს და ჯობს, ვიქარო, — დანიელის ფეხებქვეშ გამლღვარი თოვლისგან პატარა გუბე დამდგარიყო.

— დანიელ, ჩემი მისამართი იცით, თუ რამე დაგჭირდათ, ყოველთვის მზად ვარ, — სათვალე გავისწორე და შარვლის ჯიბეში ჩავილაგე ხელები.

— მილინკა, თქვენც იცით, როგორ მომძებნოთ, — გრძელი კაშნი ორჯერ მოიხვია ყელზე.

დანიელი კარებამდე მივაცილე, კიბის თავზე უკან მობრუნდა და გაღიმებულმა მითხრა:


„ღმერთმა დალოცოს ამერიკა!“  
ხელი დაუქნიე და კარი მივხურე, კონვერტები და ყავის ჭიქა კვლავ ჩემს მაგიდაზე ელაგა, მეც გამომრჩენოდა დანიელისთვის შესხენება. ისევ ისე იყო გამლილი ქვითრები, სარეკლამო ბროშურები, გაზეთები, წითელი კონვერტი, შუაზე გადახეული ამელია ერპარტის მარკა და წერილი ლილისგან შავი მელნით.

კომპიუტერთან დაჯექი, ხელები ჯერ მუხლებზე დავინყე პიანისტივით და შემდეგ ორივე მტევანი ერთდრულად და მსუბუქად დავალაგე კლავიატურაზე. ფოსტა გავხსენი, პეტარი მწერდა:

„მილინკა,  
დედამ დაიძინა.  
პეტარი, ვტირი“.

გადაყლაპულმა ცრემლებმა მუცელი ამინვა. პეტარის გამოგზავნილი „უსპავანკა“ ჩავრთე, ყურსასმენები მოვირგე და თვალები დავხუჭე. ახლალა შევამჩნიე ტეხილი ბზარი დედაჩემის ხმაში. აღარაფერი მშურდა პეტარის, დღეიდან ერთი და იგივე მანძილი დაგვაპორებდა დედასთან, მეც და მასაც. წამოვდექი, ტახტის საზურგეს, როგორც ჯებირს, ისე გადავეკიდე და ცრემლებით დაბინდული მზერა ძლივს მივანვდინე შორს მოტივტივე ნავს.

ესე იგი, დანიელი!





ლალი გულისაშვილი

ზაფხული. 1993.

ქრისტინეს

მთელი ზაფხული მქონდა სუნი ქინძის და კამის, აღარაფერი შემრჩა ელეგანტური დამის...

თეთრი მტრედით ვზარდე ერთი სურათი, ჩვილი: ეზო — ბალახი — ძაღლი — სკამი — გოგონა... „შვილი“.

გარბის თვალები — მამის, მხრები, მკლავები — დედის, მთელი ზაფხული მქონდა, ვით საჩუქარი ბედის:

ყველა სუნამოს მჯობი, სუნი ქინძის და კამის. ...შვილს მხოლოდ ფოტო რჩება, ელეგანტური დამის... (ინტელექტუალ დედის, მოლბერტთან მჯდომი მამის, გიმნაზიელი პაპის, დიდებულისა და მისთ.)...

მამას

სოფლის სასაფლაოზე სოფლის ინტელიგენტი, სოფლის მასწავლებელი ცოლთან ერთად მარხია, ბალახი და ეკალი ისე მომრავლებულა, აქ არავინ ყოფილა, ალბათ, დიდი ხანია...

მე კი ისე მაკლიხარ, ისე მიჭირს უშენოდ ამ ცხოვრების გატანა, რომ ხანდახან ვეცდები, ვფიქრობ, არ შემიძლია უკვე მეტის ატანა...

ან კი რა მიხარია, დილა რისთვის თენდება, სული რად არ ამომდის?... შენც არა ხარ, რომ თავზე ხელის გადასმასავით შემეკითხო: რა მოგდის?..

ჩემი ამხანაგების მამებს თვალს ვერ ვუსწორებ, შენთან ყოფნა მინდება, რაც დრო გადის, მით უფრო, აუტანლად მაკლიხარ, უშენობა მწყინდება... სოფლის სასაფლაოზე სოფლის ინტელიგენტის, სოფლის მასწავლებლის ფიქრები და ოცნება, მინას შეუჭამია, წვიმას გადაურეცხავს, ვერც კი ამოიცნობა...

\*\*\*

ისე შევეჩვიე ლოდინს, როგორც პატარძალი — ლოგინს, როგორც მორფინისტი — წამალს, ბიჭი — გოგოებში გავლას, უსენ — ფატმანისა ლალატს, ფატმან — ავთანდილის ხალატს... ისე შევეჩვიე ლოდინს, უკვე ცრემლიც აღარ მომდის, მგონი აღარც გელოდები, ისე შევეჩვიე ლოდინს...

\*\*\*

როგორ შეიძლება ამდენი ხნით სადმე წასვლა! მე უკვე დავინყე სხვაზე ფიქრი, მე უკვე სულ სხვა შემეყვარდა, სხვანაირ წიგნებს ვკითხულობ და სულ სხვა ხუმრობებზე მეცინება... როგორ შეიძლება ქალის ამდენი ხნით მიტოვება! წყალში გადაყარე უკვე ყველაფერი... აღარ გელოდები, სულ სხვა შემეყვარდა, სხვაზე დავინყე უკვე ფიქრი... როგორ შეიძლება ამდენი ხნით სადმე წასვლა! ჩქარა ჩამოდი, სანამ ის მაინც მახსოვს, რომ წასული ხარ, ანდა ის მაინც გამაგებინე, რომ საერთოდ აღარ ბრუნდები და მე ისევე დავინყებ შენზე ფიქრს, ტირილს და შეშლილობამდე მისული ერთგულებით დაგელოდები...

დავით გურამიშვილი  
ივედრაჟა საქართველოს

„ვინ გამიზრდის ამ ობოლსა“

სევდას ველარ გაუძეული, წელში ველარ გავიმართე, შენს სევდიან სანახებში ვერ ჩაფრინდა ჩემი მართვე . .

სასთუმალთან მიგალობე სევდიანი „სულთანა“, მეც არ ვიცი, როგორ მოხდა, უშენობა მსურდა განა?..

თოვლი მოდის... ვერ შევძელი, ყველაფერი დავიზარე, შემინდე და... თუ გადარჩა, ის ობოლი გამიზარდე...

\*\*\*

ჩემს სევდისფერ და საოცრად ლამაზ, ქოლგებითა და წვიმებით სავსე, მონატრებით და ლოდინით გამთბარ, დაუვინყებელ და მარადიულ ქალაქს, რომელსაც ბათუმი ჰქვია, ჩემი ტკივილით ვისხენებ დღესაც...

\*\*\*

საყვარელივით მოვიდა წვიმა, უცხო მგზავრით ჩამოდგა ბინდი, ხევეში ჩაკიდულ ბილიკის ბოლოს ტყის ალქაჯივით ყვაოდა შინდი...

იდგა სიჩუმე. მხოლოდ ხანდახან შეირხეოდა ტოტები ფიჭვის, რამ გამახსენა ზღაპარი ნეტავ, ტყეში დაკარგულ ობოლი ბიჭის?!

\*\*\*

გისხენებ და ჩემს თვალებში შავი ეშმაკები ხტიან, რა გინდოდა, რას მერჩოდი, ობოლსა და ოხერ-ტიალს?

მაყვლის ბუჩქში ვიჯექი და მამისათვის ვქსოვდი წინდას, როცა შენი თეთრი ცხენი ცისკარივით ამოზრწყინდა...

მძინებოდა ნეტავ ტყეში, დამემწყემა ცხვრების ფარა და შენს სავალ ბილიკებზე, ვარსკვლავები დამეყარა...

\*\*\*

გულზე ისეთი ნალველი მაქვს, რამე მიშველე, ჩემო ბები... ..შენ კი კედლიდან ილიმები და მამაჩემზე ფეხმძიმედ ხარ, ლურჯი ქიშმირის კაბა გშვენის, ოცი წლის ხარ და გიხარია...

გულში ისეთი ნათელი მაქვს, როგორ მიშველე, ღვთისმშობელო, თეთრი კედლიდან იმზირები და სულიწმიდით ალვისილი ხარ, დედობა ისე ძლიერ გშვენის, ოცი წლის ვარ და შემოგნატრი...

\*\*\*

გვიან დაუდგა კაპიტალიზმი ჩემს ქვეყანას, მაგრამ ხომ დაუდგა! ქალაქს რა უჭირს, აგერ, ჩემს კახეთშიც წამოგორებულან კუნთმაგარი ჯეელები ინგლისურწარწერიანი დახლების გვერდით და აღარც ახსოვთ, რომ შეჭამა თხამ ვენახი და ჟანგმა — თოფი... XIX საუკუნის მსხმოიარე ჟურნალ-გაზეთებიც, დიდი ხანია, რაც გაბერნდა და თვალის ერთი გადავლებით ვკითხულობთ ყველგან: ვეძებ ...

ვცვლი... ვყიდი... ვყიდი ნაღვით ან გადარიცხვით... ...დადიან ჩემი ქართველები უცხო გზებისკენ გაგზირებულნი და ვერ ხვდებიან, როგორ შეჭამა თხამ ვენახი, ჟანგმა — თოფი და თოფმა — შვილი... მიწამ კი...

მიწამ დიდი ხანია ის ქართველიც შეჭამა, სალი კლდეები რომ დაიფიცა, არ გავცვლიო... ...და მაინც ვეძებთ, ვცვლით, ვყიდულობთ, ვყიდი და არსად არ გვხვდება ამგვარი განცხადება: „არ ვცვლი ჩემს კეთილმოუნყოფელ ბინას სამყაროს გარეუბანში სხვის კეთილმოუნყოფელ სასახლეზე მსოფლიოს ცენტრში“...

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com